№ 1 2011

# მასწავლებელი

## ცხრა
## გზავნილი
## მასწავლებელს

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის
კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
დ. უზნაძის ქ. №52
ტელ: 438621

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43 ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

სტატიები განათლების საკითხებზე

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი“

კითხვის ეფექტური მეთოდები სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი

მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსები და მოსწავლის ქცევის კოდექსი

# რედაქტორისგან

- მე უნდა ვიყო სამართლიანი
- მე უნდა ვიყო ღია სიახლეებისთვის
- მე უნდა ვიყო შემოქმედებითი
- მე უნდა ვიყო ტოლერანტი
- მე უნდა ვიყო თვითკრიტიკული
- მე ვასწავლი და ვსწავლობ
- ვზრუნავ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე
- სკოლა ჩემი სახლია
- ვაშენებ სამოქალაქო საზოგადოებას

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩვენი ქვეყნის მასწავლებლებს ცხრა გზავნილი გაუგზავნა. გზავნილები მოკლე ტექსტური შეტყობინებაა იმაზე, თუ როგორი მასწავლებელი პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და როგორი მასწავლებლის მოთხოვნაა დღეს საზოგადოების მხრიდან. გზავნილები ეთიკის კოდექსის ერთგვარი გაგრძელებაა და როგორც ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი ამბობს, „არის მცირე სტანდარტი მასწავლებლისთვის“.

ამ გზავნილებს, ბუნებრივია, მასწავლებლები ვიცნობთ და თავადაც ვთვლით, რომ ამ მოთხოვნებს უნდა ვპასუხობდეთ. ცენტრის მიზანი კი ამის კიდევ ერთხელ შეხსენებაა და ჟურნალ „მასწავლებლის“ ეს სპეციალური ნომერი, რომელიც მთლიანად ცხრა გზავნილს მიეძღვნა, ამის ერთგვარი გაზიარების და მისი პოპულარიზაციის მცდელობაა.

ბუნებრივია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მხოლოდ ამ გზავნილების გამგზავნი არ არის და ის ძალისხმევას გაიღებს გზავნილების სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებისთვის. მასწავლებლებს სასურველი შედეგების მიღწევაში სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურით, საინფორმაციო გზამკვლევებით, კონფერენციასემინარებით, გაცვლითი პროგრამებით თუ ტრენინგებით მხარს დაუჭერს და დაეხმარება.

ჟურნალი „მასწავლებელი“ კი ღიაა გზავნილების ადრესატებისთვის და ელოდება მათ მოსაზრებებს და გამოხმაურებებს.

**ნატო ინგოროყვა**
*მთავარი რედაქტორი*


# მასწავლებელი

N1(13),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

**რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

**ნომერზე მუშაობდნენ:** ნინო რევიშვილი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ნათია ნაცვლიშვილი, თეო ნეფარიძე, რუსუდან კაიშაური, ნაირა ცხვედიანი, გიორგი გახელაძე, ირმა კახურაშვილი, გიორგი ალიბეგაშვილი, თამარ ტალიაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.



**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მისამართი: თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 43 86 22, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ინტერვიუ

4 ნატო ინგოროყვა
**მასწავლებლობა – ძალაუფლებაა!**
ჟურნალ „მასწავლებლის“ კითხვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** პასუხობს

7 ნატო ინგოროყვა
**ცხრა გზავნილი ანუ „მცირე სტანდარტი მასწავლებლისთვის“**
ჩვენ ვეცდებით საზოგადოებისა და მასწავლებლის ყურადღება მუდმივად მოვაფხიზლოთ და მასწავლებლებმა ეს ცხრა გზავნილი მთავარ ორიენტირად გაიხადონ – ამბობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი**.

ცხრა გზავნილი მასწავლებელს

ნინო რევიშვილი
10 **მე ვზრუნავ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე**
21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს

ანა ჯანელიძე
14 **მე უნდა ვიყო სამართლიანი**
იმისთვის, რომ მასწავლებელმა ობიექტურობა დაიცვას, მან კარგად უნდა იცოდეს შეფასების სისტემა და შესაბამის სიტუაციებში შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენება

მერაბ ლაბაძე
18 **მე უნდა ვიყო ღია სიახლეებისათვის**
ინტერნეტში საჭირო მასალის მოძიება კიდევ ერთი ახალი უნარია, რომელიც, პრაქტიკულად, შეუზღუდავი რესურსებით გაამდიდრებს მასწავლებლის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესს.

ნათია ნაცვლიშვილი
22 **მე უნდა ვიყო შემოქმედებითი**
განათლების, სწავლებისა და პედაგოგიკის მიზანი, უპირველესად, პიროვნების სრული განვითარებაა. სწავლება ინტერაქტიული, ემპირიული და შემოქმედებითი პროფესიაა და სამომავლოდ პიროვნების სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობასაც განსაზღვრავს.

ირაკლი კაკაბაძე
26 **მე უნდა ვიყო ტოლერანტი**
თანამედროვე სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა – აღზარდოს პიროვნება, რომელიც ჰუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული იდეების მატარებელი და ერთგული იქნება.

# შინაარსი

## ცხრა გზავნილი მასწავლებელს

**თეო ნეფარიძე**

32 | **მე უნდა ვიყო თვითკრიტიკული**

სასწავლო პროცესის გაანალიზებისას თვითკრიტიკული მასწავლებელი ოთხ ძირითად ტექნიკას იყენებს: ჩანაწერების წარმოება; ანგარიშები; კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და ანალიზი; გაკვეთილების ჩაწერა და ანალიზი.

**რუსუდან კაიშაური**

36 | **სკოლა ჩვენი სახლია**

უკვე იმდენი ხნის მასწავლებელი ვარ, რამდენი წელიც თვითონ ვიყავი მოსწავლე და ჩემს თავს ვეუბნები, მთავარია, ყურები არ ჩამოყარო, ხალისი არ გაიქრო; შენი მოსწავლეების ასაკიდან შეხედო სამყაროს და გახსოვდეს, რომ მათზე მეტი გამოცდილება მოგეცა იმიტომ, რომ შეგიძლია შენზე უმცროსები გაახარო

**ნაირა ცხვედიანი**

39 | **მე ვასწავლი და ვსწავლობ**

გონივრული დათმობა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მათ იმის სურვილს უჩენს, რომ თავისუფლად იაზროვნონ, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები, ისწავლონ სხვისი მოსაზრებების მოსმენა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან თანაარსებობა. ამ ურთიერთობის დირიჟორი მასწავლებელია.

**გიორგი გახლაძე**

43 | **ვაშენებ სამოქალაქო საზოგადოებას**

თუ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევით გვსურს, სინამდვილედ ვაქციოთ ჩვენი ურყევი ნება – დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამკვიდრება, მაშინ ძალისხმევის მიმართულება ნათელია.

## მრგვალი მაგიდა

**ირმა კახურაშვილი**

47 | **ცხრა გზავნილი მასწავლებელს**

სამართლიანობა, სიახლეებისადმი ღიაობა, შემოქმედებითობა, ტოლერანტობა, თვითკრიტიკულობა, სხვისი სწავლებისა და სწავლის სურვილი, ზრუნვა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოებას მშენებლობა და იმის გაცნობიერება, რომ სკოლა სახლია – ესაა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც პროფესიონალი მასწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ.

## განათლების ისტორია

**გიორგი ალიბეგაშვილი**

51 | **კვალი ნათელი**

საუკუნეების მანძილზე მასწავლებლის უმთავრესი ფუნქცია, მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემის გარდა, სწორედ მათი აღზრდა, განათლების გონივრულად და შესაფერის დროს გამოყენების უნარის ჩამოყალიბება იყო; თუმცა ნებისმიერი გარჯა ფუჭი და ამაო აღმოჩნდებოდა, თუკი ყოველივეს საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა არ ედებოდა

**თამარ ტალიაშვილი**

54 | **გზავნილების ისტორია**

განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იაკობ გოგებაშვილი ახალი მეთოდების დანერგვას პედაგოგიურ პრაქტიკაში, რადგან, მისი აზრით: „უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვის გონებისათვის, თუ მისი ხეირიანათ მოხმარება შეუძლებელია სპეციალურად მოუმზადებელ მასწავლებლებისათვის“.

# მასწავლებლობა – ძალაუფლებაა!

ნატო ინგოროყვა

ჟურნალ „მასწავლებლის“ კითხვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** პასუხობს

> „ყველაზე მთავარი მიღწევა, რაც ერთად შევძელით, არის ის, რომ მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას. სხვაგვარად განათლების ხარისხის ამაღლებაზე ვერ ვისაუბრებდით. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზოგადი განათლება.“

**თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც ჟურნალი „მასწავლებელი“ თქვენი სტუმარი იყო. ჩვენ მაშინ ვისაუბრეთ ცვლილებებზე, რომლებიც განათლების რეფორმის მსვლელობისას უნდა განხორციელებულიყო. სანამ ახალ ცვლილებებს შევეხებოდეთ, გვითხარით: რას თვლის მინისტრი და განათლების სამინისტრო თავის ყველაზე დიდ წარმატებად განათლების მიმდინარე რეფორმების პროცესში?**

ყველაზე მთავარი მიღწევა, რაც ერთად შევძელით, არის ის, რომ მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას. სხვაგვარად განათლების ხარისხის ამაღლებაზე ვერ ვისაუბრებდით. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზოგადი განათლება. ჩვენ გავმიჯნეთ ზოგადი და უმაღლესი განათლება: სკოლა არ არის უმაღლესი სასწავლებლის დანამატი. ასევე, უმთავრესი მიღწევა არის ის, რომ დავიწყეთ მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, ბუნებრივია, გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება. იყო ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიდა განათლების სისტემის განვითარებას, მათ შორის იყო არასწორი ლოჯისტიკის საკითხებიც. ვგულისხმობ ტრიმესტრულ სწავლებას, შეფასების სისტემას, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პრობლემებს. ვცადეთ ამ პრობლემების მოგვარებაც და ვფიქრობ, ამ მხრივ, დღეს უკეთეს შედეგებზე გავდივართ.

**განათლების რეფორმა ცოცხალი და გრძელვადიანი პროცესია, სადაც შედეგის მიღწევას დრო და მოთმინება სჭირდება. რას აკეთებს სახელმწიფო იმისთვის, რომ მოსწავლემ სკოლიდან უმთავრესი – ცოდნა და თვითრეალიზაციის უნარი მიიღოს?**

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ტელეხიდის დროს, კარგი პასუხი გასცა მათ, ვინც განათლების ლიბერალიზაციის მომხრეა და ჩვენს მკვეთრ ნაბიჯებს და ცვლილებებს, რეფორმის ფარგლებში, სკეპტიკურად უყურებს. მოსაზრება, რომ სკოლებში სწავლების ლიბერალიზაციის პროცესი უნდა მოხდეს, არ გულისხმობს იმას, რომ ვისაც უნდა, იმან უნდა იაროს სკოლაში და თუ განწყობა არა აქვს, არ უნდა იაროს. ზოგადი განათლების მიღება ჩვენს სახელმწიფოში სავალდებულოა და ასევე, სავალდებულოა სკოლიდან ზოგადი განათლების წამოღებაც. მეც ვიყავი მოსწავლე, მეც მყავს შვილები და თუ ჩვენ არ ვიგრძნობთ, ან არ ვაგრძნობინებთ ჩვენს შვილებს, რომ ეს აუცილებელი და სავალდებულოა, მათ, ბუნებრივია, ექნებათ სურვილი და მცდელობა, აირიდონ გაკვეთილებზე დასწრება. ეს მოსაზრება არ ვრცელდება 18-19 წლის მოზარდებზე, რომლებსაც აქვთ ჩამოყალიბებული სამოქალაქო პოზიცია და თავად გადაწყვეტენ, სად და როგორ ისწავლონ. რვა წლის ბავშვი გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებელი ვერ იქნება.

რეფორმა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, გრძელვადიანი პროცესია და შედეგებს ოთხ წელიწადში ვნახავთ, მაგრამ მათი პროგნოზირება სრულიად შესაძლებელია. 2009 წელს რეფორმამ თავისი ნაკლოვანი მხარეები აჩვენა: სამწუხაროდ, მე-11 და მე-12 კლასელები აღარ დადიოდნენ სკოლაში და არ ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს; არ სწავლობდნენ ისეთ აუცილებელ საგნებს, როგორიცაა ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა; და როგორც ექსპერტებისა და ფსიქოლოგების დასკვნებმა

გვიჩვენა, ძალიან მალე დავრჩებოდით პირველი და მე-6 კლასების ამარა. ამბობენ, რომ მე ქირურგივით ჩავერიე რეფორმის პროცესში, მაგრამ ეს ქირურგიული ჩარევა, ვფიქრობ, აუცილებელი იყო.

**სერტიფიცირების პირველმა ტალღამ გადაიარა. საინტერესოა: რას ფიქრობს მინისტრი მიღებულ შედეგებზე და რამდენად კმაყოფილია? მიმდინარე წელს ყველა მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა, გამოცდები ჩააბაროს და მაღალი ანაზღაურება მიიღოს.**

შედეგი იყო აბსოლუტურად მოსალოდნელი. პრეტესტებმა აჩვენა, რომ ამ შედეგზე გავიდოდით. პროცესი დაიწყო და იმაზე ბევრად კარგად მიდის, ვიდრე წარმოგვედგინა მომხრეებსაც და ოპონენტებსაც. ძალიან ბევრი სკეპტიკურად უყურებდა მასწავლებლების მონაწილეობას სერტიფიცირების პროცესში, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მოსალოდნელზე მეტმა მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი, გადაემოწმებინა თავისი პროფესიული და საგნობრივი ცოდნა და ეპასუხა თანამედროვე განათლების ამ გამოწვევაზე. ასევე, სკეპტიკურად უყურებდნენ ოპონენტები იმ მოსაზრებასაც, რომ სახელმწიფო თავის დანაპირებს შეასრულებდა და სერტიფიცირებულ მასწავლებელს სახელფასო დანამატს მისცემდა. როგორც მოგეხსენებათ, სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ხელფასი 75 ლარით გაეზარდათ. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა – და ეს პროცესი ნებაყოფლობითია, მაგრამ სასურველი – მინიმალური კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლონ ისტ-ი, იცოდნენ ინგლისური ენა და მიიღონ 125-ლარიანი დანამატი, რაც, საერთო ჯამში, მათ ხელფასს 200 ლარით გაზრდის.

**ყველა საგნის სერტიფიცირებულ პედაგოგს**

> „მასწავლებლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. მან ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს თითოეულ მოსწავლესთან, რათა სწორი მიმართულება მისცეს მის ნიჭსა და უნარებს“

**შეუძლია გადალახოს ინგლისური ენის ცოდნისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობის მინიმალური ზღვარი, რაც დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს. აქვე ჩაგეკითხებით: ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა ყველა მასწავლებლისთვის თუ სასურველი? მინდა, დირექტორთა სერტიფიცირების შესახებაც გვითხრათ. რა ეტაპზეა ეს პროცესი და როგორ განვითარდება?**

განათლების ხარისხს, უპირველესად, კარგი მასწავლებელი განსაზღვრავს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 15 000 მასწავლებელი გადაამზადა. ბუნებრივია, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მოხერხდება ერთდროულად 60 000 მასწავლებლის გადამზადება. მთავარია, რომ პროცესი დაიწყო. როცა მასწავლებელი ფლობს ინგლისურ ენას და მან იცის ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, გაცილებით უფრო კვალიფიციურია და ეს სახელმწიფო დანამატიც სწორედ მის წახალისებას ემსახურება. სამწუხაროდ, ძალიან მწირი დამხმარე მეთოდოლოგიური ლიტერატურაა ქართულ ენაზე და საქართველოში, ჟურნალ „მასწავლებლის“ გარდა, სხვა აკადემიური და პროფესიული გამოცემა არ გვაქვს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება, როგორც რესურსი.

რაც შეეხება დირექტორების სერტიფიცირებას, ის მიმდინარე წლის მარტში ჩატარდება. საზოგადოება დაინახავს, რომ მათი შერჩევა იქნება სრულიად გამჭვირვალე და ღია პროცესი. არაფერია დასამალი იმაში, რომ დირექტორების ლოტოტრონით შერჩევამ არ გაამართლა. დირექტორების შერჩევის პროცესი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი იქნება გამოცდა და მე-2 ეტაპი – გასაუბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები და ფსიქოლოგები. გამოცდასაც და გასაუბრებასაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს. მე მაქვს ძალიან დიდი მოლოდინი, რომ ამ პროცესში აღმოვაჩენთ ბევრ კარგ ადამიანს, რომელიც იზრუნებს სკოლის სწორ მართვასა და ორგანიზებაზე. ჟურნალის მეშვეობით, მინდა, ჩემი პოზიცია გავუმხილო საზოგადოებას. არის მოსაზრება, რომ დირექტორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი, მე კი ვთვლი, რომ, სასურველია, იყოს კარგი მასწავლებელიც, მაგრამ, უპირველესად, ის უნდა იყოს კარგი მენეჯერი.

**რას იტყოდით პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მნიშვნელობაზე და რა ეტაპზეა დღეს ეს პროექტი?**

უცხო ენის შესწავლის პროცესში, მოგეხსენებათ, მნიშვნელოვანია ამ ენასთან ურთიერთობა და პრაქტიკა. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ შვილებს განათლება საზღვარგარეთ მისცენ, მაგალითად, ოქსფორდსა თუ კემბრიჯში, მაგრამ ადამიანების ძალიან დიდ ნაწილს ამის საშუალება არა აქვს. ამიტომ უცხოელების ჩამოყვანა და ამ პროცესში ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ისინი წყვილში მუშაობენ საგნის მასწავლებელთან ერთად. ასე რომ, გაკვეთილზე არა მარტო მოსწავლეა მოტივირებული, არამედ მასწავლებელსაც აქვს საშუალება, გაიუმჯობესოს ენის ცოდნა და პრაქტიკა. კვლევამ აჩვენა, რომ იმ სკოლებში, სადაც 6 თვეა, ასეთი მასწავლებლები შევიდნენ, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი

გვაქვს ენის შესწავლაში, ვიდრე იქ, სადაც ჯერ არ შეგვიყვანია ინგლისურენოვანი მასწავლებლები. ამავე პროცესში აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელო, რომლითაც ჩვენი მოსწავლეები ინგლისურ ენას სწავლობენ, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნების სტანდარტებს. ჩვენ მივემგზავრებით ლონდონში, სადაც მაკ მილანის გამომცემლობასთან ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, ჩვენმა მოსწავლეებმა ისწავლონ იმ სახელმძღვანელოებით, რომლებითაც სწავლობენ დიდ ბრიტანეთში. ამასთან, ისინი მზად არიან, ინგლისური ენის ყველა მასწავლებელი თავადვე გადაამზადონ საქართველოში. ჩვენს მასწავლებლებს უფასოდ დაურიგდებათ სახელმძღვანელოების და მეთოდური თვალსაჩინოებების პაკეტი.

**ერთი წლის წინ ჩვენ ვისაუბრეთ უსაფრთხო სკოლაზეც. ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით, თუნდაც მანდატურების ჩართვით სკოლის ცხოვრებაში. როგორ ფიქრობთ, გაამართლა მანდატურების სკოლაში შეყვანამ?**

დიახ, გაამართლა. ეს იყო ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა. მესმის, რომ მანდატურების შესვლა აღიქმებოდა, როგორც „უცხო სხეულის“ შესვლა სკოლაში, მაგრამ, როგორც კვლევამ გვაჩვენა, სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით სკოლაში ძალადობის ფაქტები 85%-ით შემცირდა. მანდატურების შესვლას სკოლაში მშობელთა დიდი ნაწილიც მხარს უჭერს.

**ახალი წლიდან, სწავლების მეორე სემესტრიდან, სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდება. როგორც ვიცით, შემუშავდა ფორმულა, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს როგორც მაღალმთიანი სოფლების, ასევე დიდი ქალაქების სკოლებს. მნიშვნელოვანია, საზოგადოებას, მასწავლებლებს უფრო დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ აღნიშნული მოდელის შესახებ. რას გულისხმობს ის და რაში მდგომარეობს ახალი მოდელის უპირატესობა?**

სკოლების ვაუჩერული დაფინანსება ერთადერთი სწორი და უალტერნატივო გზაა, 2005 წელს, როდესაც ფორმულა შემუშავდა, განათლების სისტემის წინაშე სხვა გამოწვევები იდგა. ამ ექვსი წლის განმავლობაში ბევრი კარგი რამ გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 2005 წელს შემუშავებულ ფორმულას სერიოზული ხარვეზები აღმოაჩნდა. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში სკოლების დაფინანსების ახალი ფორმულის შექმნა.

საქართველოში სულ 2200-მდე სკოლაა. თავად გააანალიზეთ: აქედან სკოლების 60-65%-ს დანაკლისი ჰქონდა, ანუ 1600-მდე სკოლას საშუალება არ ჰქონდა, საკუთარი ბიუჯეტით მასწავლებელთა ხელფასები გაეცა და კომუნალური გადასახადები გადაეხადა. ამ დანაკლისს მათ სამინისტრო უნაზღაურებდა იმის მიხედვით, თუ წლის რომელი პერიოდი იყო და სკოლა რა საჭიროებების წინაშე იდგა. ეს კი ვაუჩერული დაფინანსება აღარ არის. მართალია, 2010 წელს, სწორი ეკონომიკური მიდგომით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 15 მილიონი ლარის დაზოგვა შეძლო, მაგრამ ამის მიუხედავად, დანაკლისმა 40 მილიონი შეადგინა. ამას ვერანაირი სწორი მენეჯმენტი ვერ გამოასწორებდა.

ახალი ფორმულის მიხედვით, ყველა სკოლას გაუჩნდება გარკვეული სახსრები იმისთვის, რომ ინფრასტრუქტურა განივითაროს. ეს გახდის სკოლას უფრო დამოუკიდებელს და ხელს შეუწყობს სკოლების დეცენტრალიზაციას. სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი მოსწავლეთა რაოდენობაზე, სასწავლო გეგმებსა და სკოლის საჭიროებებზეა მიბმული.

ახალი ფორმულა ითვალისწინებს: ა) ბავშვთა რაოდენობას; ბ) ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმას; გ ) საბაზისო დაფინანსებას.

თითოეულ სკოლაში დაითვლება, მაგალითად, მათემატიკის რამდენი საათი უნდა ჩატარდეს თითოეულ კლასში, რამდენი მასწავლებელი სჭირდება ამ საათების ჩატარებას და რა თანხაა ამისთვის საჭირო. ასევე ითვლება კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული ხარჯები და სკოლას განსაზღვრულად, საჭიროებისამებრ ეძლევა საბაზისო დაფინანსება. მნიშვნელოვანია, რომ ფორმულა შემუშავდა არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტების მონაწილეობითაც და პროექტი მთლიანად დააფინანსა ამერიკის მთავრობამ. ბუნებრივია, ფორმულა არ არის იდეალური, მან შეიძლება განიცადოს ცვლილებები. სწორედ ასეთი ცვლილების მაგალითია „არასტანდარტული სკოლების კომპონენტი“. ასეთი 200 სკოლა გვაქვს საქართველოში: სკოლები, სადაც სექტორული სწავლება მიმდინარეობს, მაგალითად, აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე, მსოფლიო ბანკის მიერ აშენებული დიდი სკოლები, რომლებსაც გათბობისთვის მეტი თანხა სჭირდებათ და სკოლები, რომლებიც რამდენიმე შენობაშია გადანაწილებული სოფლის სხვადასხვა ტერიტორიაზე. 2200 სკოლიდან დაფინანსება 300-მდე სკოლას შეუმცირდა, მაგრამ მაინც იმაზე მეტი დაფინანსება აქვთ, ვიდრე სჭირდებოდათ.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სკოლა კერძო ბიზნესია, მათ ვაუჩერულ დაფინანსებას სამინისტრო, მცირე კორექტივებით, კვლავ გააგრძელებს. საქართველოს მთავრობისთვის კერძო სკოლების სექტორის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამისათვის ყველაფერი კეთდება. ამას მოწმობს საგადასახადო შეღავათიც: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეული განათლების მომსახურება დღგ-სგან გათავისუფლებულია.

**ახალი სასწავლო წლიდან ნეთბუკს ყველა პირველკლასელი მიიღებს. ივნისისთვის საქართველოში აშენდება ქარხანა, სადაც პირველკლასელთა კომპიუტერები აიწყობა. დაწყებითი კლასებიდანვე გაძლიერდება უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება?**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კომპიუტერულ კომპანია „ალგორითმს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია „ალგორითმი“ 2011 წლის ივნისისთვის უზრუნველყოფს საქართველოში კომპიუტერების ქარხნის აშენებას. ახალი კომპიუტერული ქარხანა ნეთბუკებს გამოუშვებს, რომლებიც, პრეზიდენტის ინიციატივით, წელს ყველა პირველკლასელს უსასყიდლოდ გადაეცემა.

ამასთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მოამზადებს 4000-მდე პირველი კლასის მასწავლებელს და ასწავლის მათ ამ ნეთბუკების გამოყენებას.

**და ბოლოს, ტრადიციულად, რას ეტყოდით მასწავლებლებს, ჟურნალ „მასწავლებლის“ საშუალებით?**

მასწავლებლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. მან ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს თითოეულ მოსწავლესთან, რათა სწორი მიმართულება მისცეს მის ნიჭსა და უნარებს. ჩერჩილი ამბობდა: „მე ვნატრობ, მქონდეს იმდენი ძალაუფლება, რამდენიც მასწავლებელს აქვს“.

# ცხრა გზავნილი, ანუ „მასწავლებლის“ მცირე სტანდარტი

ჟურნალ „მასწავლებლის“ კითხვებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი** პასუხობს.

**ნატო ინგოროყვა**

**სახელმწიფო დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს განვითარების პროცესში. საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამ საქმეში, დამეთანხმებით, მასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელს ცხრა გზავნილი შესთავაზა, როგორც ძირითადი ორიენტირი. რამ განაპირობა ამ ცხრა გზავნილის შექმნა?**

ცხრა გზავნილი არის „მცირე სტანდარტი“ მასწავლებლებისთვის. ფაქტობრივად, ის ეთიკის კოდექსის ძირითადი გზავნილებია და წარმოადგენს იმას, თუ როგორი  უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი. თუ ამ ცხრა გზავნილიდან რომელიმე პუნქტს მაინც არ აკმაყოფილებს, მან უნდა იფიქროს თავისი პროფესიის არჩევანზე.

ბუნებრივია, მასწავლებელმა ამ გზავნილების შესახებ იცის, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მას ის მუდმივად ესმოდეს, ამაზე კეთდებოდეს აქცენტი და მასწავლებლები ამ გზავნილების გარშემო იყვნენ ორგანიზებულები. ამ თემას მივუძღვნით სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს. გაკეთდება სპეციალური გზამკვლევი მასწავლებლებისთვის თითოეულ გზავნილზე.

ვეცდებით, სხვადასხვა აქტივობით მივაპყროთ საზოგადოებისა და უპირველესად, მასწავლებლის ყურადღება ეთიკის კოდექსებისა და ამ გზავნილების განხორციელების აუცილებლობას.

**ბუნებრივია, ინტერვიუს ფორმატში, თითოეული გზავნილის ცალ-ცალკე მიმოხილვას ვერ შეავუდგებით, მაგრამ ერთ გზავნილს მაინც გამოვყოფდი: „ვზრუნავ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე“. ცხადია, მასწავლებელმა კარიერის დაწყების დღიდან მუდმივად უნდა იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე. პედაგოგებისთვის საინტერესო იქნება: რა იგეგმება და რას აკეთებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ამ კუთხით?**

თანამედროვე მსოფლიოში უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის მთავარი არგუმენტი მასწავლებელთა სერტიფიცირებაა, რომელიც 2014 წლიდან საქართველოშიც სავალდებულო ხდება.

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება არსებითია არა მხოლოდ მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად, არამედ უკეთესი საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევადაც. ამასთანავე, უკეთესად მომზადებული მასწავლებელი უფრო დაფასებულია არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ სკოლის დირექტორის, კოლეგებისა და მშობლების მიერ.

სერტიფიცირებული მასწავლებელი, მასწავლებლობის უფლების მოპოვების შემდეგ, ერთვება მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში და ქმნის საკუთარ პორტფოლიოს, აგროვებს კრედიტ-ქულებს, რის საფუძველზეც მას შეუძლია შეინარჩუნოს მასწავლებლობის უფლება და აღარ გავიდეს მომდევნო სასერტიფიკაციო გამოცდაზე. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში მკაფიოდ არის გაწერილი, თუ რის საფუძველზე უნდა დააგროვოს მან ეს ქულები. პროფესიული განვითარების ასეთი მოდელი ყველა განვითარებულ ქვეყანაშია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს ტრენინგების მომზადებასა და განხორციელებას იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ემზადებიან, მათ შორის, ზუსტი მეცნიერებებისა

და საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებისთვის. ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების გასაძლიერებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011-2015 წლების სტრატეგიის თანახმად, მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას აპირებს. შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2011-2012 წლების საქმიანობაც სწორედ ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების გაძლიერებაზეა ორიენტირებული. იგეგმება ტრენინგების ჩატარება პროფესიულ უნარებშიც, კერძოდ, სწავლებისა და განვითარების თეორიებში და სწავლების თანამედროვე მეთოდებში.

„თანამედროვე მსოფლიოში უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის მთავარი არგუმენტი მასწავლებელთა სერტიფიცირებაა, რომელიც 2014 წლიდან საქართველოშიც სავალდებულო ხდება.“

**რა საერთაშორისო გამოცდილების მიღება შეუძლია მასწავლებელს? აქ მინდა, ვისაუბროთ მასწავლებლების გასვლაზე სხვადასხვა ქვეყანაში, გაცვლით პროგრამებში მათ მონაწილეობაზე, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.**

2011 წელს, მასწავლებელთა დამხმარე საგანმანათლებლო ელექტრონული თამაშების პროექტში მონაწილეობის მისაღებად, 25 მასწავლებელი შეირჩა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მე-2 დონის ისტ ტრენინგებში და შექმნილი საგანმანათლებლო ციფრული რესურსების გამო მაღალი შეფასება დაიმსახურეს შემფასებელი კომისიის მხრიდან. 2 მასწავლებელი და 2 ტრენერი მონაწილეობას მიიღებენ ევროპული სასკოლო პროექტის 25-ე საერთაშორისო კონფერენციაში, დანიაში. კონფერენცია ყოველწლიურად იმართება და სასკოლო ცხოვრებაში ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას და სასკოლო, თანამშრომლობითი, ისტ-ზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას უწყობს ხელს. მსგავს ინიციატივებში მასწავლებლების ჩართვა მათ პროფესიულ ზრდას და მოტივაციის ამაღლებას განაპირობებს.

14-მა ქართველმა ფიზიკის მასწავლებელმა კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსი გაიარა შვეიცარიაში, ნაწილაკების ფიზიკის კვლევითი ცენტრის, CERN-ის ლაბორატორიაში. ამჟამად პედაგოგები მუშაობენ ტრენინგ-მოდულზე, რომლის მიხედვითაც ისინი განახორციელებენ ფიზიკის მასწავლებელთა ტრენინგებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, შერჩეული ტრენერების პროფესიული განვითარების მიზნით, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზებას გეგმავს. შესაძლოა საზაფხულო სკოლის ორგანიზებაც.

**სანამ თბილისში მასწავლებელთა სახლი გვექნება, იქნებ მოკლედ გვითხრათ: რა დატვირთვა ექნება ამ სახლს და რა ძირითადი აქტივობები ხორციელდება და განხორციელდება ცენტრში მიმდინარე წელს?**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცენტრი ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და ეხმარება მათ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მომზადებაში. ამასთან, ხორციელდება სხვადასხვა საინტერესო პროგრამები: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგები, „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთვის“, „ქართული, როგორც მეორე ენა“, მაძიებლობა, დამხმარე სახელმძღვანელოებით მასწავლებელთა უზრუნველყოფა და სხვ.

სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ტრენინგების ფარგლებში, 4900-მდე მასწავლებელმა მოამზადა ისტ-ით გამდიდრებული საგაკვეთილო გეგმა და სასწავლო პროექტი და ინტერნეტში განათავსა შესაბამისი ციფრული რესურსი (ბლოგები, პრეზენტაციები, შეფასების რუბრიკები, აუდიო-ვიდეო ფაილები და ა.შ). 2010 წელს ტრენინგები 2123-მა მასწავლებელმა გაიარა. საბაზო კურსი მიზნად ისახავს მასწავლებლების მიერ კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. 2010 წელს საბაზო კურსისთვის დამუშავდა და დაიბეჭდა სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზო კურსი მასწავლებლებისთვის“. სახელმძღვანელო უსასყიდლოდ გადაეცათ საბაზო კურსის ტრენინგის მონაწილეებს. 2011 წელს საბაზო ტრენინგები, ძირითადად, კვლავ რეგიონებში განხორციელდება და მათში 3180 მასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას.

„ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ – ამ პროგრამით, 2010 წელს, 3587 მასწავლებელი მომზადდა. კურსი მიზნად ისახავს საგნის მასწავლებლების ხელშეწყობას სასწავლო პროცესში ისტ-ის ინტეგრირებაში. სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ უსასყიდლოდ გადაეცათ ტრენინგის მონაწილეებს. 2011 წელს 9000 მასწავლებელი მომზადდება ისტ-ის მეორე დონის ტრენინგ-კურსში.

მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობს 87 მენტორი და 226 მაძიებელი თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის 71 საჯარო და კერძო სკოლიდან. დამტკიცებულია მაძიებლობის წესი, რომელიც მენტორისა და მაძიებლის შერჩევის პროცედურასა და ზოგადად, მაძიებლობის პერიოდს არეგულირებს.

დაიხვეწა მენტორის შერჩევის პროცესი: მენტორი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაღალი ქულის მქონე სერტიფიცირებული პედაგოგი, რომელსაც ცენტრში გასაუბრება უტარდება. სკოლებში იქმნება მაძიებლის შესარჩევი კომისიები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, თავად შეარჩიონ შესაფერისი მაძიებელი, სკოლის საჭიროებიდან, ინტერესებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. 2011-12 სასწავლო წელს გვექნება მაძიებლის სტანდარტი.

დაწყებით კლასებში გააზრებული კითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან თანამშრომლობით, 2010 წლიდან ახორციელებს მასწავლებელთა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამას. აღნიშნული პროგრამა საპილოტეა. ამ ეტაპზე, ის, წიგნიერების მიმართულებით, მოიცავს თბილისსა და საქართველოს სამ რეგიონს: კახეთს, მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს. ეს სწორედ ის რეგიონებია, სადაც მოსწავლეთა რეიტინგი, PIRLS ტესტის მიხედვით, ყველაზე დაბალია. 2010 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ტრენინგი გაიარა 2163-მა მასწავლებელმა, ხოლო 2011 წელს 437 დაწყებითი კლასის მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა, გაიაროს შესაბამისი ტრენინგ-პროგრამა. რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს, 2011 წელს, საქართველოს მასშტაბით, 400 მასწავლებელი გაივლის შესაბამის პროგრამას.

2009-10 წლებში შემუშავდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და შესაბამისი ტრენინგ-მოდული. 2011 წელს მოხდება სპეციალიზებული პროფილის მქონე მასწავლებლების გადამზადება სტანდარტის შესაბამისად, იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელსაც ატარებს სპეციალური პროფილის მქონე ესა თუ ის სკოლა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების პროექტის ფარგლებში, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლებიდან შეირჩევა და გადამზადდება 24 კონსულტანტი მასწავლებელი, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 700-მდე მასწავლებლის ტრენინგს ჩაატარებენ.

2009-2010 წლებში პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 800-მდე ქართული ენის მასწავლებელმა. მათგან ტესტირება და გასაუბრება წარმატებით 64-მა გაიარა. ახლადარჩეული მასწავლებლები გადიან შემდეგ ტრენინგებს: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა“, „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“ და აზერბაიჯანული ან სომხური ენის სწრაფი კურსი. ისინი მხოლოდ ამის შემდეგ ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების არაქართულენოვან სკოლებში.

პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების 49 სკოლაში ხორციელდება, ჩართულია 68 მასწავლებელი. 2010-2011 სასწავლო წლისთვის შეირჩა 36 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებიც მაღალმთიანი რეგიონების 16 სკოლაში განაწილდნენ. მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება პროგრამაში დამატებით 40-მდე მასწავლებლის ჩართვა. შერჩეულ კონსულტანტ-მასწავლებლებს სკოლებში განაწილებამდე უტარდებათ ტრენინგები პედაგოგიურ უნარ-ჩვევებში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, კონფლიქტის მართვისა და კომუნიკაციის საკითხებში. სასწავლო წლის განმავლობაში მონაწილეები გადიან ტრენინგებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია, როგორც სწავლების, კლასის მართვისა და კოლეგებთან თანამშრომლობის საფუძველი; კლასის მართვა და სწავლებისა და სწავლის ეფექტური მოდელები; ინკლუზიური განათლება.

პროგრამის მონაწილეებს ცენტრი უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით, დამხმარე სასკოლო რესურსითა და სასკოლო ინვენტარით, ასევე კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით.

ცენტრში ასევე მუშავდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი, დამხმარე სახელმძღვანელო, სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი. მზადაა სკოლის დირექტორის სახელმძღვანელო. მოგეხსენებათ, წელს სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი ჩატარდება. სკოლის დირექტორის სტანდარტი ადგენს იმ მოთხოვნებს, თუ როგორი უნდა იყოს სკოლის დირექტორი. ბუნებრივია, სერტიფიცირებას სკოლის დირექტორობის მსურველებიც გაივლიან.

2011 წელს, დაგეგმილი პროექტების უკეთ განხორციელებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ცენტრი განახორციელებს ინტენსიურ მონიტორინგსა და შეფასებას. გარდა ამისა, ცენტრის საქმიანობების დასახვეწად, ჩატარდება საჭიროებების კვლევა, ასევე სხვადასხვა მასშტაბის სოციალური კვლევები. ამისათვის ცენტრს აყვანილი ჰყავს კონსულტანტები, რომლებიც დაგეგმავენ და განახორციელებენ სოციოლოგიურ კვლევებს, საჭიროების შემთხვევაში – დამუშავებული მონაცემების ანალიზსა და დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენას.

რაც შეეხება მასწავლებელთა სახლს, ის მართლაც გახდება სახლი, სადაც მასწავლებელი შეძლებს მიიღოს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დამხმარე თუ მეთოდური ლიტერატურა, დაესწროს სხვების მასტერკლასებს და თავადაც მოაწყოს მასტერკლასი.

# მე ვზრუნავ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

ნინო რევიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება – ეს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ის ფრაზაა, რომელიც თანამედროვე მასწავლებლებს ყველაზე ხშირად ესმით. საზოგადოება მუდმივად ახსენებს პედაგოგს პროფესიული განვითარების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ბევრი მათგანისთვის მაინც ბუნდოვანია, კერძოდ რა ღონისძიებებს გულისხმობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რატომ არის ის ერთნაირად აუცილებელი როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი მასწავლებლისათვის და როგორ აისახება ეს პროცესი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

> 21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს.

## რა არის მასწავლებლის პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გულისხმობს იმ საქმიანობების ერთობლიობას, რაც მასწავლებელს პროფესიულ ზრდასა და კარიერული შესაძლებლობების მოძიებაში ეხმარება. ეს ღონისძიებები ხორციელდება როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში, იწყება საუნივერსიტეტო განათლებით და გრძელდება მასწავლებლის სკოლაში მოღვაწეობის ბოლო დღემდე. პროფესიული განვითარება მხოლოდ აკადემიური კურსების მოსმენას და პროფესიული ტრენინგების გავლას კი არ გულისხმობს, არამედ კოლეგებთან თანამშრომლობას, მენტორობას, აკადემიური პროდუქტის შექმნის პროცესს, საკუთარი პროფესიის, საქმიანობის, რესურსებისა და შესაძლებლობების ახლებულად გადაფასებასაც. ეს ის ღონისძიებებია, რომლებიც მასწავლებლის როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ განვითარებასაც ემსახურება, შესაბამისად, პროფესიული განვითარება ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.

## რატომ უწყვეტი პროფესიული განვითარება

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასწავლებლისთვის გასაგებია, რას გულისხმობს მასწავლებლის პროფესიული განვითარება, ხშირად ბუნდოვანია, რატომ არის პროფესიული ზრდა მნიშვნელოვანი და რატომ რთულდება ამ პროცესის სათანადოდ დაგეგმვა, განხორციელება და მომავალ პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება.

თანამედროვე მსოფლიოში უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის მთავარი არგუმენტი მასწავლებელთა სერტიფიცირებაა, რომელიც 2014 წლიდან საქართველოშიც სავალდებულო გახდება. თუმცა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება არსებითია არა მხოლოდ მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად, არამედ უკეთესი საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევადაც. ამასთანავე, უკეთესად მომზადებული მასწავლებელი უფრო დაფასებულია მოსწავლეების, სკოლის დირექტორის, კოლეგებისა და მშობლების მიერ.

მასწავლებლის პროფესია ადამიანისგან დიდ ძალისხმევასა და პიროვნულ სიმტკიცეს ითხოვს. საერთაშორისო კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებელს საკუთარი პროფესიული მოვალეობების აღქმა და მოსწავლეებთან ურთიერთობის პრინციპები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან ერთად, ხშირად ეცვლება. შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ასეთი ცვლილებები გამოწვეულია როგორც მასწავლებლის პიროვნული გარდაქმნით, ასევე პროფესიული გარემოსა და გარშემომყოფების მიერ მისი როლისა და სტატუსის აღქმის შეცვლით. მეცნიერები მასწავლებლის პროფესიულ

ცხოვრებაში გარკვეულ სტადიებს გამოყოფენ. ჰაბერმანის შეფასებით, დამწყები მასწავლებლები, პედაგოგიური პრაქტიკის პირველი ხუთი წლის განმავლობაში, როგორც წესი, თავს არიდებენ ექსპერიმენტებს და საკლასო ოთახში ბაძავენ ავტორიტეტებს, ვთქვათ, საყვარელ მასწავლებლებს ან ლექტორებს. ბევრი ვერც უძლებს სტრესს და ადრევე ტოვებს პროფესიას. შემდგომი 10-15 წლის განმავლობაში მასწავლებელი ხვეწს სწავლების მეთოდებს, იყენებს მეტ ინოვაციურ მიდგომას, ასევე ეძებს კარიერული წინსვლის ახალ შესაძლებლობებს, რაც ხშირად იმაში გამოიხატება, რომ ინოვატორი მასწავლებელი ადმინისტრაციულ სფეროში განაგრძობს მოღვაწეობას. მომდევნო ეტაპზე ის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მწვერვალს აღწევს. საბოლოოდ, კარიერის დასასრულს, მასწავლებელი გამოცდილი და კვალიფიციურია, მაგრამ მას ნაკლები ენერგია და ენთუზიაზმი აქვს საკლასო ოთახში ნოვატორული იდეების დასანერგად.

როგორც მკვლევარების მიმოხილვა ცხადყოფს, პროფესიული მოღვაწეობის ყველა ეტაპზე მასწავლებელმა გარკვეული სირთულეები უნდა გადალახოს. დამწყებ მასწავლებელს დახმარება სჭირდება იმისათვის, რომ საკუთარ ძალებში დარწმუნდეს და მეტად გამბედავი იყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას. გამოცდილ პედაგოგებს კი თანამედროვე მეთოდების გაცნობა განელებული მოტივაციის გაზრდასა და უფრო საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვაში ეხმარება.

ხშირად მასწავლებლის შემოქმედებითი კრიზისი შეუმჩნეველი არც მოსწავლეებს რჩებათ. შესაბამისად, აუცილებელია, პედაგოგმა ახალი მეთოდები და მიდგომები ეძებოს იმისათვის, რომ მისი გაკვეთილები საინტერესო და სახალისო იყოს. არავის უკვირს მკვლევარების ის დასკვნაც, რომ პროფესიონალი მასწავლებლის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების მისაღწევად.

## მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრაქტიკა მსოფლიოში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მნიშვნელობის გადაფასება  გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. ამ პერიოდში მსოფლიოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები განხორციელდა, რამაც მასწავლებლების მიმართ საზოგადოების მოთხოვნები შეცვალა. პედაგოგებს მოეთხოვებოდათ, მოსწავლეებისთვის ესწავლებინათ ეროვნულ სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით და ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე ზოგადი ტენდენციებიც აესახათ სწავლების პროცესში. ისინი ფასდებოდნენ არა მხოლოდ სწავლების პროცესის ეფექტურობის, არამედ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მიხედვითაც.

მასწავლებლისთვის წაყენებულმა ახალმა მოთხოვნებმა მისი გადამზადების აუცილებლობაც გააჩინა. თუ ადრე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, ძირითადად, საუნივერსიტეტო განათლებით და ფრაგმენტული, საგნობრივი კომპეტენციების შეძენაზე ორიენტირებული პროფესიული კურსებით შემოიფარგლებოდა, ახლა მეტი ყურადღება პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებასა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ეთმობა.

ახალი საგანმანათლებლო პარადიგმის შემოღებამ არსებული მოდელი ძირეულად შეცვალა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უწყვეტ პროცესად გარდაიქმნა, სადაც საუნივერსიტეტო განათლების მიღება მხოლოდ ერთი, საწყისი ეტაპია, ხოლო პროფესიული განვითარება და ზრდა სკოლაში გრძელდება. სკოლები და პედაგოგიური უნივერსიტეტები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ: პედაგოგების პრაქტიკული გამოცდილება და სკოლის წიაღში წამოჭრილი საგანმანათლებლო პრობლემები საუნივერსიტეტო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, ხოლო მოქმედი მასწავლებლები მუდმივად უბრუნდებიან პედაგოგიურ სასწავლებლებს სასურველი აკადემიური კურსების გასავლელად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შესაბამისად, პროფესიული განვითარება მუდმივი, ციკლური პროცესია და თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირს ეფუძნება.

დღეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელები ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტების მიხედვით განსხვავდება. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება სავალდებულოა ევროპის 20-ზე მეტ ქვეყანაში. საფრანგეთში, ჰოლანდიასა და შვედეთში პროფესიული განვითარების პერიოდული დადასტურება

პედაგოგებისათვის სავალდებულოა. ესპანეთში, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, სლოვენეთსა და სლოვაკეთში მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ნებაყოფლობითია, მაგრამ მჭიდროდ არის დაკავშირებული კარიერულ და ხელფასის ზრდასთან. ესპანეთსა და ლუქსემბურგში ის მასწავლებლები, რომლებიც პერიოდულად ესწრებიან პროფესიულ ტრენინგებს, ხელფასზე გარკვეულ დანამატს იღებენ. სხვა ქვეყნებში პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობით მასწავლებლები აგროვებენ პირობით კრედიტებს, რის შედეგადაც მათ ეძლევათ საშუალება, დაწინაურდნენ კარიერულ კიბეზე.

ზოგ ევროპულ ქვეყანაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი ტრენინგები ცენტრალიზებულად ტარდება (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ლიტვა, ლატვია, ფინეთი), ზოგ ქვეყანაში კი ეს პროცესი დეცენტრალიზებულია და უშუალოდ სკოლაა პასუხისმგებელი, იზრუნოს მასწავლებლის პროფესიულ ზრდაზე (გაერთიანებული სამეფო, დანია, ესტონეთი, შვედეთი).

**რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის**

საქართველოში განათლების რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ მასწავლებლების პროფესიული განვითარება და მათთვის მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება წარმოადგენს. 2006 წელს დაარსდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის უმთავრესი მიზანი მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

დასახული მიზნის მისაღწევად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მრავალ პროექტსა და პროგრამას ახორციელებს.

*სერტიფიცირება* მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ასამაღლებლად ერთ-ერთი სახელმწიფო ინიციატივაა. მასწავლებლის სერტიფიცირება ხელს უწყობს პროფესიის რეგულირებას, პროფესიული განვითარების მიზანმიმართულ დაგეგმვას და სწავლებისა და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. ამასთანავე, სერტიფიცირებულ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, ჩაერთოს *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში*, რომლის არსიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოტივირება და წახალისება. სქემა ხელს შეუწყობს მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას.

ამასთანავე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი კოორდინაციას უწევს სხვადასხვა საფეხურისა და საგნის მასწავლებლების *მიზნობრივი ტრენინგების* ჩატარებას. პროფესიული უნარებისა და საგნობრივი ტრენინგების ჩატარების პარალელურად, ცენტრი პერიოდულად იწვევს უცხოელ ექსპერტებს ადგილობრივი ტრენერების გადამზადების მიზნით. მაგალითად, 2011 წელს იგეგმება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტების მოწვევა ნოტინგენის უნივერსიტეტიდან (გაერთიანებული სამეფო) და ცერნის სამეცნიერო ცენტრიდან (შვეიცარია), ზუსტი მეცნიერებების მასწავლებლებისათვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მოეწყობა საზაფხულო სკოლა ნოტინგენში. ამასთანავე, საქართველოს მასშტაბით, ყველა ინგლისური ენის მასწავლებელს სპეციალურ ტრენინგ-კურსს ჩაუტარებს ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპერტი. გარდა ამისა, იგეგმება სპეციალური *ეროვნული კონფერენციების* მოწყობა მასწავლებლებისათვის.

21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს. თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება, უპირველეს ყოვლისა, სწავლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ინტეგრირებას გულისხმობს. დღეს, ღილაკის დაწკაპუნების შედეგად, მოსწავლეს წამებში შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერი მოვლენის შესახებ. შესაბამისად, თანამედროვე მოსწავლისათვის, შესაძლოა, მოსაწყენი იყოს მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით სწავლა. ამიტომ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს მასწავლებლებისათვის *ისტ საბაზო და ისტ მეორე დონის ტრენინგების კურსს.*

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ საკვალიფიკაციო ტრენინგ-კურსების მოსმენა, არამედ თანამედროვე პროფესიული ლიტერატურის გაცნობაც. ამიტომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგებს დამხმარე მეთოდური მასალით უზრუნველყოფს.**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ საკვალიფიკაციო ტრენინგ-კურსების მოსმენა, არამედ თანამედროვე პროფესიული ლიტერატურის გაცნობაც. ამიტომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგებს დამხმარე მეთოდური მასალით უზრუნველყოფს.

## როგორ უნდა იზრუნოს მასწავლებელმა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

აუცილებელია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა და სკოლამ პედაგოგს შესთავაზოს მრავალფეროვანი კურსები და რესურსები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. თუმცა უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელი თავად იყოს მოტივირებული და დაინტერესებული, იყენებდეს ყველა ხელმისაწვდომ შესაძლებლობას. ამისათვის, მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები:

- **მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პირადი პროფესიული განვითარების გეგმა,** რაც მას პროფესიული მიზნების დასახვას და განხორციელებას გაუადვილებს. ზოგ ქვეყანაში ასეთი გეგმის შემუშავება აუცილებელიცაა (მაგ., ბელგია, ლიტვა და გაერთიანებული სამეფო). ერთი შეხედვით, ამგვარი გეგმის შექმნა ფორმალურ და ბიუროკრატიულ ნაბიჯად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს წარმატებული პროფესიული განვითარების საწინდარია. პირადი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემო, სადაც მას უწევს საქმიანობა. პედაგოგმა უნდა იცოდეს, რას ითხოვს მისგან სკოლა, საზოგადოება, მოსწავლეები. მისი პირადი გეგმა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეებისა და სკოლის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. შემუშავებული გეგმით მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს პრიორიტეტებს, ახდენს შესაძლო რისკებისა და დაბრკოლებების იდენტიფიცირებას, საკუთარი შესაძლებლობებისა და მოლოდინების რაციონალიზაციას. პროფესიული განვითარების გეგმა არ არის მკაცრი ნორმატიული დოკუმენტი, რომლის შედგენა და დაცვა მძიმე შრომას მოითხოვს. ის წარმოადგენს მასწავლებლის გზამკვლევს, რომელიც მუდმივად იხვეწება და იცვლება პედაგოგისა თუ გარემოს მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად.
- **მასწავლებელი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს კოლეგებთან.** ის უნდა ითვალისწინებდეს კოლეგების აზრს პროფესიული განვითარების პირად გეგმაში. პროფესიული განვითარება არ არის მხოლოდ ერთ მასწავლებელზე დამოკიდებული პროცესი და ის მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას გულისხმობს. ხშირად რთულია პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი გზებისა და მეთოდების მართებულად დასახვა. პროფესიული განვითარების კურსების არჩევანი დიდია და მასწავლებელს უჭირს ყველაზე შესაფერისი რესურსის იდენტიფიცირება, რაშიც მისი დახმარება სხვა მასწავლებლებს შეუძლიათ. კოლაბორაციული სწავლების შედეგად პედაგოგებმა უკეთ იციან, რა უნარებისა თუ კომპეტენციების განვითარება სჭირდებათ მათ კოლეგებს.
- **მნიშვნელოვანია მასწავლებლის კრიტიკული მიდგომა სიახლეებისადმი.** ერთხელ ალბერტ აინშტაინმა თქვა: „ადამიანი, რომელიც ბევრს კითხულობს, მაგრამ არ იყენებს საკუთარ გონებას, მალე გადაეჩვევა ფიქრს“. მასწავლებელი, რომელიც კითხულობს ახალ მეთოდურ ლიტერატურას, ესწრება პროფესიული განვითარების კურსებს, აკვირდება კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, არ უნდა იყოს პროცესის პასიური დამკვირვებელი. მან უნდა სცადოს, გააანალიზოს ახალი მასალა, მოახდინოს მისთვის უფრო ღირებული ინფორმაციისა და ნაკლებად მნიშვნელოვანის დიფერენცირება და ისე გამოიყენოს პრაქტიკაში.
- **მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მიღებული ცოდნა სწავლებისას.** როგორც მრავალი კვლევა ცხადყოფს, პროფესიული განვითარების პროცესის ყველაზე პრობლემური ეტაპი სწორედ ახალი ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვაა. მასწავლებელს, შესაძლოა, საკმარისი ინფორმაცია ჰქონდეს ახალი მეთოდების შესახებ, მაგრამ არ ეყოს გამბედაობა, ისინი საკლასო ოთახში გამოიყენოს. ეს გასაგებიცაა: უფრო მარტივი და კომფორტულია ჩვეული, ნაცადი მეთოდებით სწავლება, მაგრამ აუცილებელია, პედაგოგი მუდმივად ცდილობდეს ახალი, საინტერესო გზებისა და საშუალებების ძიებას.
- **პროფესიული განვითარება არ ხორციელდება მხოლოდ ფორმალურ გარემოში.** არაფორმალური შეხვედრები კოლეგებთან, კონსულტაციის მიღება განათლების სპეციალისტებისგან, ახალი სასწავლო მეთოდების დამოუკიდებლად მოძიება, საგანმანათლებლო პროდუქტების (სასწავლო გეგმა, სამოდელო გაკვეთილები) შექმნა ისევე სასარგებლოა, როგორც პროფესიული განვითარების კურსების მოსმენა.
- **საბოლოოდ, პროფესიული განვითარება სკოლის კულტურის ნაწილი უნდა გახდეს.** კვლევა ცხადყოფს, რომ მასწავლებლის არჩევანი, იყოს თანამედროვე და ღია სიახლეების მისაღებად, მეტწილად მის პროფესიულ გარემოზეა დამოკიდებული. შესაბამისად, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სკოლის კულტურის ნაწილი უნდა გახდეს.
- ყველაზე მთავარია, მასწავლებელს ახსოვდეს, რომ პროფესიული განვითარება უწყვეტი განათლების მიღების პროცესია, ამიტომ კარგი მასწავლებელი ამავე დროს კარგი მოსწავლეც უნდა იყოს!

# მე უნდა ვიყო სამართლიანი

ანა ჯანელიძე

სასწავლო პროცესის დროს მასწავლებლის ობიექტურობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეთიკური თვალსაზრისით; ის დიდწილად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმატებას. თუმცა მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ სასწავლო პროცესის დროს ობიექტურობის დაცვა ხშირად მარტივი არ არის და შესაძლოა სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობას ქმნიდეს.

## რას ნიშნავს ობიექტურობა?

ობიექტურობა, ანუ სამართლიანობა პირველ რიგში, მოვლენების, პიროვნებების მიმართ მიუკერძოებელ, რეალობის ადეკვატურ დამოკიდებულებას გულისხმობს. სკოლის კონტექსტში ობიექტურობა რამდენიმე კუთხით შეიძლება განვიხილოთ:



- მოსწავლეთა შეფასება;
- მოსწავლეთა მიმართ დამოკიდებულება;
- სწავლების პროცესი, მოსწავლეებისთვის შესასწავლი მასალის მიწოდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი სფეროები ერთმანეთს გადაკვეთს, რასაც ქვემოთ დაწვრილებით მიმოვიხილავთ.

## ობიექტურობა მოსწავლეთა შეფასების დროს

შეფასება სწავლებისა და სწავლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლის მიღწევის შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შეფასების დროს ერთ-ერთ აუცილებელ პრინციპს სწორედ ობიექტურობის დაცვა წარმოადგენს. მოსწავლე ობიექტურად ფასდება მაშინ, როდესაც შეფასება არ არის დამოკიდებული მასწავლებლის პირად მოსაზრებაზე, მის სურვილზე ან დამოკიდებულებაზე. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, რთული იყოს შეფასების დროს ობიექტურობის შენარჩუნება. სკოლა ცოცხალ ორგანიზმს ჰგავს, სადაც აქტიური ურთიერთობაა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.

კონკრეტული დავალების შეფასებისას მასწავლებელს, შესაძლოა, გაუჭირდეს მოსწავლის ობიექტურად შეფასება, ვინაიდან იცის, როგორია მისი საერთო ცოდნა, მომზადების დონე და ა.შ. იმისათვის, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებებისთვის ადგილი არ დარჩეს, საჭიროა, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო შეფასების კრიტერიუმებითა და სქემებით იხელმძღვანელოს. ამგვარი კრიტერიუმებით შეფასება, ობიექტურობის გაზრდასთან ერთად, აადვილებს მოსწავლესა და მშობელთან კომუნიკაციას. მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები ქმნის იმის საფუძველს, რომ მოსწავლემ და მშობელმა ნათლად აღიქვან, თუ რისთვის და როგორ ფასდება მოსწავლე, რა არის მისი სუსტი და ძლიერი მხარეები.

იმისთვის, რომ მასწავლებელმა ობიექტურობა დაიცვას, მან კარგად უნდა იცოდეს შეფასების სისტემა და შესაბამის სიტუაციებში შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენება.

მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების ობიექტურად შესწავლის მიზნით, სასურველია, მასწავლებელი იყენებდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდს. რამდენიმე მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, უფრო სრულყოფილ სურათს აძლევს მასწავლებელს მოსწავლის ცოდნის შესახებ. მას შეუძლია გამოიყენოს შეფასების შემდეგი მეთოდები: ტესტირება, დაკვირვება, მოსწავლის თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, კომენტარი. შეფასების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა დაიცვას მაქსიმალური ობიექტურობა. შეფასების მეთოდების ცოდნა და პრაქტიკაში მათი ეფექტიანად გამოყენება დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე, რაც წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

## ტესტირება

ტესტირება მოსწავლის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია. ტესტი, უმრავლეს შემთხვევაში, წერილობითია, თუმცა ზოგჯერ, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ., პრეზენტაციის უნარის შემოწმებისას), შეიძლება იყოს ზეპირიც. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისთვის, რომ ტესტის შედეგები ობიექტური იყოს, აუცილებელია, მასწავლებელმა ისინი შეაფასოს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. წინასწარ შემუშავებული პასუხები მნიშვნელოვანია ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებისას (ღია ან დახურული კითხვების შემთხვევაში). შეფასების სქემით ხელმძღვანელობა კი მასწავლებელს უფრო სრულყოფილ სურათს აძლევს მოსწავლის მიღწევების შესახებ ამა თუ იმ აქტივობაში, ან ზოგადად, საგანში. შეფასების სქემით შეიძლება შეფასდეს, მაგალითად, თხზულება, ზეპირი პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა ან პროექტზე მუშაობა. შეფასების სქემა მოიცავს მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მათი გამოყენების წესებს. შეფასების კრიტერიუმები მაქსიმალურად კონკრეტული და ამომწურავი უნდა იყოს, ხოლო თითოეული მათგანისთვის წინასწარ უნდა განისაზღვროს მოსწრების სხვადასხვა დონე და შესაბამისი ქულა. ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ ერთი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას, არამედ მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ობიექტურად შეფასებასაც.

> **აუცილებელია საგნის სწავლების დროს მასწავლებელმა ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამით ის ხელს შეუწყობს მათში ობიექტური და კრიტიკული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.**

## დაკვირვება და კომენტარი

მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე დაკვირვება და შესრულებულ დავალებაზე ვერბალური ან წერილობითი გამოხმაურება მიმდინარე შეფასების მეთოდებია. ობიექტურობის დაცვის თვალსაზრისით, დაკვირვებისა და კომენტირების დროს მეტი სიფრთხილე მართებს მასწავლებელს. მისი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს რომელიმე მოსწავლე. იმისათვის, რომ მასწავლებელმა, თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვების საშუალებით, ინფორმაციის მოპოვება და

**„იმისთვის, რომ მასწავლებელმა ობიექტურობა დაიცვას, მან კარგად უნდა იცოდეს შეფასების სისტემა და შესაბამის სიტუაციებში შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენება.“**

ჩანიშვნა შეძლოს, სასურველია, თავად შეარჩიოს გაკვეთილზე ის მოსწავლეები, რომლებსაც დააკვირდება. დაკვირვებისა და კომენტირების დროს არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მაქსიმალურად მიუკერძოებელი იყოს, დააკვირდეს თითოეულ მოსწავლეს, ობიექტურად შეაფასოს მისი განვითარება, წარმატებები და პრობლემები და დროულად, ზომიერების დაცვით მიაწოდოს მოსწავლეს შენიშვნები მათ შესახებ.

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება

შეფასების ობიექტურობაზე მსჯელობისას ხშირად პრობლემურ საკითხად გვევლინება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა შეფასება. ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ სსსმ მოსწავლისთვის „სკოლამ უნდა შეიმუშავოს სასწავლო მიზნები, რაც გულისხმობს, რომ უნდა განისაზღვროს მოსწავლის მოსალოდნელი აკადემიური წინსვლა“. მოსალოდნელ აკადემიურ წინსვლასთან მიმართებაში უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც, შესაძლოა, სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას მოითხოვდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლის შეფასება ხდება მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონით. კვლევები ადასტურებს, რომ ბევრ მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს უსამართლოდ და არაობიექტურად მიაჩნია სსსმ მოსწავლისთვის მაღალი შეფასების მინიჭება, მაშინ, როდესაც სხვა მოსწავლეს ასეთივე ცოდნის  დონისთვის შედარებით დაბალი შეფასება აქვს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ინკლუზიური განათლების პრინციპები, პირველ რიგში კი, თითოეული ბავშვის უფლება, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ისწავლოს და განვითარდეს თანატოლებთან ერთად. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ბავშვები ან მათი მშობლები ეჭვის ქვეშ აყენებენ მასწავლებლის ობიექტურობას, მიზანშეწონილია, მასწავლებელმა გაუზიაროს მათ აღნიშნული პრინციპები და ღირებულებები.

## ობიექტურობა მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში

დაუშვებელია მოსწავლეების მიმართ წინასწარი განწყობების ჩამოყალიბება მათი ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, სქესის ან სხვა მახასიათებლების გამო. ზოგადად, წინასწარი განწყობა, ნებისმიერ შემთხვევაში, იწვევს არასწორ მოლოდინებს. გადაჭარბებული ან მეტად მცირე მოლოდინი, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ბავშვის სწავლასა და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. არ არის გამორიცხული, მისი თვითშეფასება დაეცეს მაშინ, როდესაც ის ხვდება, რომ ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის მოთხოვნებს, ან პირიქით, როცა მასწავლებელი მას საკმარისად არ სთხოვს. მოსწავლემ, შესაძლოა, ჩათვალოს, რომ თუ მასწავლებელი, რომელიც მისთვის ავტორიტეტულ ფიგურას წარმოადგენს, არ მოელის მისგან წარმატებებს, მას სათანადოდ სწავლა არც შეუძლია. ამრიგად, მასწავლებლის ობიექტური დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც

შეუძლია პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს თითოეული მოსწავლის სწავლის შედეგზე.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აცნობიერებდეს, რომ ყველა ბავშვს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიური კუთვნილებისა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და სქესისა, აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც განპირობებულია არა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებით, არამედ პიროვნული გამოცდილებითა და იმ გარემოთი, რომელშიც ის იზრდება.

მოსწავლეთა განსხვავებულობის პატივისცემა თითოეული ბავშვის პიროვნული ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. მასწავლებლის ობიექტური დამოკიდებულება თითოეული მოსწავლისადმი, როგორც პიროვნებისადმი, ბავშვებს უყალიბებს განსხვავებულის მიმართ პატივისცემის, საკუთარი თავისა და სხვათა ობიექტური შეფასების უნარს.

კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პოზიტიური ემოციური ურთიერთობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლისადმი დამოკიდებულებაზე და მათ მიერ შეფასების ობიექტურობის შეფასებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს რეგულარულად მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია მისი წარმატებებისა და პრობლემების შესახებ. რჩევები და შენიშვნები, რაც შეიძლება, კონკრეტული უნდა იყოს, რათა მოსწავლემ შესაბამისი რეაგირება შეძლოს. კვლევები აგრეთვე ცხადყოფს, რომ მოსწავლის შეფასებისას და მისთვის ამ შეფასების გაცნობისას, პირველ რიგში, ყურადღება მის პოზიტიურ მხარეებზე უნდა გამახვილდეს, რაც მას თავდაჯერებულობას შემატებს. ცხადია, წარმატებებზე ხაზგასმით მოსწავლის მიღწევების ობიექტური სურათი არ უნდა დაიჩრდილოს.

მასწავლებლის ღირებულებათა სისტემა, პირველ რიგში, ვლინდება მოსწავლეებთან, მშობლებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობისას. ის მუდმივად უნდა ცდილობდეს აღნიშნულ ურთიერთობებში ობიექტურობის შენარჩუნებას და ისეთი სიტუაციებისთვის თავის არიდებას, რომლებმაც, შესაძლოა, ზემოქმედება მოახდინონ მის დამოკიდებულებებზე. მაგალითად, მიზანშეწონილი არ არის მოსწავლეებისგან ან მათი მშობლებისგან საჩუქრის მიღება. საჩუქრის მიღების შემდეგ მასწავლებელს, შესაძლოა, გაუჭირდეს ობიექტურობის შენარჩუნება.

### ობიექტურობა სწავლების შინაარსის თვალსაზრისით

ობიექტურობა აგრეთვე გულისხმობს სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიუკერძოებლად მიწოდებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული საგნების სწავლებისას. ცხადია, იმას, თუ რამდენად ობიექტურად ისწავლება საგანი, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმძღვანელო, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სათანადოდ შედგენილ სტანდარტს – სასწავლო გეგმას. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საგანი მაქსიმალურად ობიექტურად ასწავლოს. ისეთი საგნები, როგორიცაა ლიტერატურა და ისტორია მოვლენების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, თავად ეს ინტერპრეტაციები კი მიმდინარე კვლევის საგანს წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია, საგნის სწავლების დროს მასწავლებელმა ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამით ის ხელს შეუწყობს მათში ობიექტური და კრიტიკული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.

### სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა

სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობდეს სხვა მასწავლებლებთან. სხვა პედაგოგებზე დაკვირვება, მათთან ერთად საკუთარი გაკვეთილის ანალიზი, კლასის მართვის სტრატეგიების შეფასება, პრობლემებზე მსჯელობა მასწავლებელს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების საშუალებას აძლევს, რაც პირველი ნაბიჯია პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ.

თანამშრომლობა მიზანშეწონილია მოსწავლეთა შეფასების სისტემის უნიფიცირების მიზნითაც, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სკოლაში მოსწავლეთა ობიექტურად შეფასებას.

# მე უნდა ვიყო ღია სიახლეებისადმი

მერაბ ლაბაძე

**ცვლილებები თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად ხდება. სიახლის მიმართ დადებითი განწყობა ცვლილების უკეთესად გათავისებისა და პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას იძლევა. სიახლის ინიცირების საშუალება მასწავლებელსაც აქვს, განსაკუთრებით სასწავლო მეთოდებისა და გაკვეთილზე ინოვაციური მიდგომების დანერგვის კუთხით.**

საზოგადოების განვითარება, 21-ე საუკუნეში, სულ უფრო მეტად უკავშირდება სიახლეებსა და ცვლილებებს. თვით ცვლილება და ცხოვრებაში მისი გატარება კი სამეცნიერო კვლევის საგანი გახდა.

მე-20 საუკუნის ბოლოდან შემეცნებითი მეცნიერებების მიღწევები სულ უფრო მეტად აისახა სასკოლო გაკვეთილის ორგანიზების პრაქტიკასა და მეთოდებზე. ისეთი სიახლეები, როგორიცაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო ამოცანების ჯგუფური გადაწყვეტა, სწავლა კეთებით, სოციალური კონსტრუქტივიზმის მიდგომები და კომპიუტერის სასწავლო კონტექსტში გამოყენება უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესზე.

ამავე პერიოდში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმაც წარმოქმნა ახალი მოთხოვნები იმ ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და განათლების სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამასთან ერთად, ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და ცხოვრების რიტმის აჩქარებამ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა ბევრი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განათლების ყველა სისტემაში ნებისმიერი სიახლის ხორცშესხმა დიდ დროს მოითხოვს. რეფორმების დანერგვას წლები სჭირდება, ხოლო მათი შედეგები სრულად მხოლოდ მთელი თაობის ახლებურად სწავლების შემდეგ ვლინდება.

## მასწავლებელი – სიახლის მთავარი გამტარებელი

მასწავლებელს მთავარი როლი ეკისრება ახალი საგანმანათლებლო ამოცანების შესრულების საქმეში. სწორედ მისი სათანადო მომზადება და მზაობა სიახლეების გასატარებლად ქმნის იმის წინაპირობას, რომ სასკოლო გარემო 21-ე საუკუნის შესატყვისი ცოდნის კერად გადაიქცეს.

ასაკის მიუხედავად, თუ ღია ხართ სიახლის მისაღებად, ყოველთვის შეძლებთ გზების გამოძებნას მისი ეფექტიანად გამოყენებისთვის.

სიახლე შეიძლება ეხებოდეს სკოლის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირებას, სასკოლო გარემოს გაუმჯო-

ბესებას, ადმინისტრაციულ საკითხებს, თუმცა მასწავლებლისათვის, პირველ რიგში, ის ცვლილებებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომლებიც მის პროფესიულ საქმიანობას

> **მასწავლებელს მთავარი როლი ეკისრება ახალი საგანმანათლებლო ამოცანების შესრულების საქმეში. სწორედ მისი სათანადო მომზადება და მზაობა სიახლეების გასატარებლად ქმნის იმის წინაპირობას, რომ სასკოლო გარემო 21-ე საუკუნის შესატყვისი ცოდნის კერად გადაიქცეს.**

ეხება. სასწავლო გეგმები, სახელმძღვანელოები, გაკვეთილის ორგანიზება, შეფასების სისტემა – ყველა ამ სფეროში თქვენ ხშირად ხვდებით სიახლეს ან მოთხოვნას, რომელიც ყურადღებას, მობილიზებასა და ცოდნის გაღრმავებას ითხოვს.

## რესურსები

სამასწავლებლო პრაქტიკაში სიახლეების დასანერგად განათლების სისტემა სხვადასხვა დონის ტრენინგს, პროგრამასა თუ სასწავლო-მეთოდურ მასალას გთავაზობთ. სერტიფიცირების სქემა ახალ მოთხოვნებს გიყენებთ და მომავალი პროფესიული განვითარების სწორად დაგეგმვის საშუალებას გაძლევთ.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე და მისთვის შესაბამისი ცოდნის მიცემაზე. ამასთან, „სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება“.

> *ასეთი ინდივიდუალიზებული სწავლების სქემა სიახლეების განსახორციელებლად მასწავლებლის მზაობას გულისხმობს.*

## 21-ე საუკუნის უნარები

სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება, რომ ჩვენს აჩქარებულ დროში მოსწავლემ აუცილებლად უნდა განვითაროს ახალი ტიპის უნარები. მათ ხშირად 21-ე საუკუნის უნარებად მოიხსენიებენ. ესენია:

- კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- გუნდური მუშაობა, ლიდერობა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და მედია უნარები;
- საკუთარი სწავლების მართვა და ინოვაცია;
- კარიერის დაგეგმვა და სიახლეებთან ადაპტაცია.

მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მიერ მათი გააზრება, სათანადო მომზადება და სიახლეების ათვისება. აღნიშნული უნარების განვითარებისკენ მიმართული სიახლეები თანდათან ფართოდ დაინერგება.

## ახალი მოთხოვნები

ახალი მიდგომები მასწავლებელსაც ახალ მოთხოვნებს უყენებს. მაგალითად, სასწავლო გეგმების რეფორმა: ტრადიციულ სახელმძღვანელოებთან ერთად სხვა ტიპის სასწავლო მასალების გამოყენება მასწავლებლისაგან სასწავლო პროცესის ახლებურად ორგანიზებას მოითხოვს.

სტანდარტული შეფასების მეთოდებთან ერთად ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (მაგალითად, სასწავლო პროექტი) მასწავლებლისაგან ითხოვს ახლებური შეფასების მეთოდებისა და საშუალებების შექმნის უნარის განვითარებას. ამ მხრივ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობას, სოციალური ქსელების წარმოქმნასა და აქტიურ დისკუსიებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

## ციფრული მკვიდრები და ციფრული ემიგრანტები

თანამედროვე მოსწავლე დაბადებიდან გარშემორტყმულია კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების იმ საშუალებებით, რომლებიც არ არსებობდა ბევრი მასწავლებლის პროფესიული ჩამოყალიბების პერიოდში. ამდენად, ბუნებრივია, რომ კომპიუტერთან და ციფრულ მასალასთან თანამედროვე მოსწავლეს მეტი შეხება აქვს და უკეთესად იყენებს მას.




ერთ-ერთმა მკვლევარმა შემოიტანა ტერმინი „ციფრული მკვიდრები“ ციფრული ტექნოლოგიებისადმი ახალი თაობის დამოკიდებულების აღსაწერად. ამ ტერმინოლოგიით, მათი მასწავლებლები, ხშირად, „ციფრული ემიგრანტები“ არიან. არ უნდა დაგაბრკოლოთ ამ დაყოფამ. პირიქით, ციფრულ ტექნოლოგიებში მოსწავლეთა გაწაფულობა შეგიძლიათ სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენოთ. გაკვეთილში ისეთი ელემენტების შემოტანა, რომლებიც კომპიუტერის ან ინტერნეტის გამოყენებას მოითხოვს, პირველ რიგში, მოსწავლეთა გაზრდილ კომპეტენციებზეა გათვლილი. მნიშვნელოვანია რისთვის გამოიყენებენ ისინი ამ უნარ-ჩვევებს.

*თქვენ მიერ ამ პროცესის სწორად მართვას შეუძლია კლასში სწავლის დონის ამაღლება და ცოდნის ახლებურად მიღების კომპეტენციის განვითარება.*

## „ციფრულად მკვიდრი“ მოსწავლის გარემო

დღეს მოსწავლე სხვა ტიპის გარემოში ცხოვრობს და ამის გათვალისწინება აუცილებელია პედაგოგიურ პრაქტიკაში.

სკოლის გარეთ მოსწავლე მზარდი ინფორმაციული ნაკადის გავლენის ქვეშ ექცევა. მისთვის დამახასიათებელია როგორც მრავალ ამოცანაში ერთდროულად ჩართულობა, ასევე თითოეულ საკითხზე ნაკლები კონცენტრაცია და

**„ინტერნეტში საჭირო მასალის მოძიება კიდევ ერთი ახალი უნარია, რომელიც, პრაქტიკულად, შეუზღუდავი რესურსებით გაამდიდრებს მასწავლებლის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესს.“**

სიღრმისეული წვდომის დეფიციტი. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების სწორად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო კონცენტრაციას სასწავლო ამოცანის გადაჭრაზე, რომელიც შეიძლება ინოვაციური ფორმით იყოს წარმოდგენილი (მაგალითად, სასწავლო თამაში, სიმულაცია, ინტერნეტ-საინფორმაციო რესურსი, ვიდეო ან აუდიო მასალა და სხვ.)

*გაკვეთილზე ახალი ტიპის სასწავლო მასალების გამოყენება უზრუნველყოფს თქვენს წარმატებას სწავლების პროცესში.*

## ციფრული სასწავლო მასალები და მათი მოძიება

ინტერნეტ-რევოლუციამ ძირეული ცვლილებები შეიტანა ინფორმაციის გადაცემისა და ცოდნის მიღების ფორმებსა და მასშტაბებში. სულ უფრო მეტი სახელმძღვანელო თუ სასწავლო მასალაა ხელმისაწვდომი ელექტრონულ ფორმატში. მართალია, ხშირად ასეთი მასალის ენა ინგლისურია, რაც ჯერ კიდევ ბარიერს წარმოადგენს, თუმცა ეს ერთგვარი სტიმულია ამ ენის უკეთ დასაუფლებლად. მეორე მხრივ, ქართულენოვანი ციფრული მასალებიც სულ უფრო მეტი რაოდენობით იქმნება და ხელმისაწვდომი ხდება.

ინტერნეტში საჭირო მასალის მოძიება კიდევ ერთი ახალი უნარია, რომელიც, პრაქტიკულად, შეუზღუდავი რესურსებით გაამდიდრებს

მასწავლებლის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესს.

### თანამშრომლობითი სწავლება, დამოუკიდებელი უნარების განვითარება

კიდევ ერთი გამოწვევა და ახალი შესაძლებლობების წყარო სამასწავლებლო პრაქტიკაში თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების შემოტანაა. სალექციო ტიპის გაკვეთილები, როცა მოსწავლეთა ჩართულობა ნაკლებია, თანდათან ადგილს უთმობს უფრო ინტერაქტიურ გაკვეთილებს. მაგალითად, ჯგუფებად განაწილებულ მოსწავლეებს კონკრეტული პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა ევალებათ. მასწავლებელს, ამ შემთხვევაში, უფრო დამაკვალიანებლისა და პროცესის წარმმართავის როლი ეკისრება. მისი ამოცანა მოსამზადებელი მასალების გაცნობა და შემდგომი დავალებების მიცემაა.

ლექტორის როლიდან კოორდინატორის როლზე გადასვლა, შესაძლოა, ადვილი არ იყოს, თუმცა ასეთი ტრანსფორმაცია, სავარაუდოდ, მასწავლებლის ავტორიტეტს გაზრდის და კლასის, როგორც შემმეცნებელთა გუნდის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

### სიახლის ინიცირება

თქვენ თავად შეგიძლიათ იყოთ სიახლის წყარო. მასწავლებლის მიერ შექმნილი სასწავლო მასალები, იქნება ეს სახელმძღვანელო, ვიდეო-ილუსტრაცია, პროექტი, თამაში თუ გაკვეთილის გეგმა, ხშირად ყველაზე ღირებული რესურსია კოლეგებისათვის. ამ მასალების ინტერნეტში განთავსება და გაზიარებაც ადვილად შეიძლება, როგორც სპეციალურ პორტალებზე, ასევე პირად გვერდებზე თუ სოციალურ ქსელებში.

მასწავლებლების მიერ ინიცირებული საინტერესო თანამშრომლობითი ინტერნეტ-პროექტები ფართოდ დაინერგა და საყოველთაო მოწონებითაც სარგებლობს.

### სიახლის დანერგვის მოტივაცია

ახლებური მიდგომების დანერგვა, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში აისახება, რაც, საბოლოოდ, მათ სასწავლო შედეგებზეც მოქმედებს.

თქვენ მიერ გამოჩენილი ინიციატივა უყურადღებოდ არ დარჩება. მაგალითად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ყოველწლიურად აწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილების გეგმებისა და პროექტების კონკურსს. ამ კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციაში მიიღონ მონაწილეობა და ენთუზიასტ უცხოელ კოლეგებთან ერთად ახალი პროექტების დაგეგმვასა თუ განხორციელებაზე იმუშაონ. საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები ხშირად იჩენენ ინტერესს მასწავლებელთა ინიციატივების დასაფინანსებლად, რაც სიახლის დანერგვის წახალისების კიდევ ერთი საშუალებაა.

### რეზიუმე

მოსწავლისათვის სწავლა სიახლის შემეცნება და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარის განვითარებაა. ცოდნის გადაცემის ტრადიციული მეთოდები განათლების მყარ საყრდენს წარმოადგენს, თუმცა ყოველ ახალ თაობას სწრაფად ცვალებადი გარემო ახალი ტიპის ამოცანებს უყენებს. ამ სასწავლო ამოცანების ერთობლივად დაძლევის გზაზე სიახლის მიმართ ღია პედაგოგი უკეთესად შეძლებს იყოს მოსწავლის მთავარი მოკავშირე და გახსნას მისი ინდივიდუალური პოტენციალი.

# მე უნდა ვიყო შემოქმედებითი

ნათია ნაცვლიშვილი

**უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ბავშვის შემოქმედებითი წარმატებისა თუ მარცხის განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი მასწავლებელია. თუმცა დაფიქრება იმ კითხვებზე, თუ რა გავლენას ახდენს მასწავლებლის კოგნიტური, ინდივიდუალური და მოტივაციური ფაქტორები მოსწავლეებში შემოქმედებითობის განვითარების კუთხით, ან როგორ უნდა იყოს მოწყობილი გარემო, რომ ხელი შეუწყოს შემოქმედებითი უნარების განვითარებას, უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია სასწავლო პროცესის შემოქმედებითად წარმართვისაკენ. ხოლო პასუხი კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებით მასწავლებლად, მარტივია – ის, ვინც ზრუნავს მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.**

სამყარო დღეს ყველაზე მეტი სისწრაფით იცვლება, ვიდრე ოდესმე. და ამიტომ ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა უნარები, რომლებიც ახლებური ტიპის პრობლემებსა და სიტუაციებთან თავის გართმევაში გვეხმარება. დღეს, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანმა, თუ უნდა, რომ ფეხი აუწყოს თანამედროვე დინამიკას, სიცოცხლის ბოლომდე მოსწავლედ უნდა ჩათვალოს თავი. სწორედ ეს თანამედროვე დინამიკა ოჯახსა თუ სამსახურში, სახლში თუ გარეთ მუდმივად ახალ-ახალ გამოწვევებსა და პრობლემებს გვთავაზობს და მათ გადასაჭრელად სწორედ მოქნილი, შემოქმედებითი, განათლებასა და ცოდნაზე დამყარებული ბუნება გვჭირდება. ამ კუთხით, უპირველესად, სკოლას ენიჭება გადამწყვეტი როლი, რომ საზოგადოებას თანამედროვე ადამიანი შესთავაზოს.

> **„განათლების, სწავლებისა და პედაგოგიკის მიზანი, უპირველესად, პიროვნების სრული განვითარებაა. სწავლება ინტერაქტიული, ემპირიული და შემოქმედებითი პროფესიაა და სამომავლოდ პიროვნების სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობასაც განსაზღვრავს.“**

ხშირად გაიგონებთ, რომ თანამედროვე საკლასო ოთახში სასწავლო პროცესი უფრო და უფრო რუტინული და ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებული გახდა. რომ მასწავლებელი ზღვა ინფორმაციის მიმწოდებელია და დრო აღარ რჩება მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის. იმისათვის, რომ მათ შემოქმედებითობისკენ ვუბიძგოთ, შემოქმედებითი პროცესის მონაწილეები უნდა გავხადოთ; საკლასო ოთახში უნდა მივაღებინოთ გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების რეალობაში განხორციელება. ვინაიდან სწორედ შემოქმედებითობა შეიძლება იქცეს საუკეთესო პლატფორმად, მოსწავლეთა როგორც ცოდნის, ასევე ღირებულებების განვითარებისთვის; საყრდენად, რომ ისინი ღირსეულ მოქალაქეებად, ხალისიან ადამიანებად და კომპეტენტურ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

დღევანდელ, ცოდნაზე დამყარებულ, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ერაში მნიშვნელოვნად გართულდა მასწავლებლების გამოწვევა – გადმოსცენ თავიანთი ცოდნა და ღირებულებები ფორმალურ თუ არაფორმალურ, პირად თუ საზოგადო, უშუალო თუ ელექტრონულ გარემოში. საზოგადოება მასწავლებლისგან მოითხოვს, რომ მან ისეთი

მიიღოს ბავშვი, როგორიც არის, თავისი ინდივიდუალური მახასიათებლებით და განავითაროს მისი ნიჭი და პოტენციური შესაძლებლობები ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და სოციო-კულტურულად ჯანსაღ გარემოში. ამ ურთულეს მისიას ვერც ერთი ქვეყნის მასწავლებელი თავს ვერ გაართმევს, თუ სასწავლო პროცესს შემოქმედებითად არ მიუდგა.

როდესაც სასწავლო პროცესის შემოქმედებითობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია განვსაზღვროთ, რა არის  მასწავლებლის მიზანი ამ კუთხით: შემოქმედებითი აზროვნების განვითარება მოსწავლეებში, რაც შემოქმედებითად სწავლების შემთხვევაში მიიღწევა. ამას კი უფრო მრავალფეროვანი და ღირებული შედეგები მოსდევს. შემოქმედებითი მიდგომების მორგებას გაკვეთილის გეგმაზე და მოსწავლეების დაინტერესებას მრავალფეროვანი, მიმზიდველი მასალით, ნამდვილად შეუძლია არამარტო მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, არამედ, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

განათლებაში შემოქმედებითობა ზოგჯერ მარგინალიზებულია. ვინაიდან ხშირად

> „დღევანდელ, ცოდნაზე დამყარებულ, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ერაში მნიშვნელოვნად გართულდა მასწავლებლების გამოწვევა - გადმოსცენ თავიანთი ცოდნა და ღირებულებები ფორმალურ თუ არაფორმალურ, პირად თუ საზოგადო, უშუალო თუ ელექტრონულ გარემოში.“

განსაკუთრებული ყურადღებითა და უპირატესობით სწორედ ის მოსწავლეები სარგებლობენ, რომლებიც მასწავლებლის იდეებს ავითარებენ, და არა ისინი, ვინც საკუთარ, ახალ, თუნდაც ჯერ ჩამოუყალიბებელ იდეებს გვთავაზობენ. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესში შემოქმედებითობაზე აქცენტირება სულაც არ ნიშნავს სწავლებაში ნაკლებ სიმკაცრესა და აკადემიური მოთხოვნების შესუსტებას. პირიქით, მრავალი კვლევა სწორედ საპირისპიროს ადასტურებს, რომ გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შემოქმედებითობაზე. სწავლა-სწავლების ის მეთოდები, რომელიც შემოქმედებითობაზეა დამყარებული, დადებითად მოქმედებს მოსწავლის სწავლის მოტივაციაზე და მის დამოკიდებულებაზე, ზოგადად, სკოლასთან.

როდესაც შემოქმედებით ბუნებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავად შემოქმედებითობას ეს ე.წ. „ბუნება“ ანუ თავისი სუბსტანციური არსებობა არ აქვს. ეს ერთგვარი თვისებაა, რომელიც აღწერს ან ხსნის გარკვეულ ადამიანურ შესაძლებლობებსა და უნარებს. და დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის

აზროვნებისა თუ ქცევის მანერაზე. ზოგჯერ მკვლევარები შემოქმედებითობას განიხილავენ როგორც სხვადასხვა კომპონენტის კომბინაციას. აზროვნების სტილსა და სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტებია **ცოდნა, მოტივაცია** და **გარემო**.

ყველა თეორეტიკოსი თანხმდება იმაში, რომ მენტალურ ვაკუუმში ვერანაირი შემოქმედებითი იდეა ვერ განვითარდება. **ცოდნა** განიხილება, როგორც შემოქმედებითობის მთავარი ინგრედიენტი, ვინაიდან ძნელად თუ ვინმეს მიუღწევია შემოქმედებითი წარმატებისთვის გარკვეული ცოდნის  გარეშე. თუმცა ცოდნა აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა შემოქმედებითობისათვის. ხშირად სკოლა ცოდნის გადაცემით ამთავრებს საკუთარ პასუხისმგებლობას. ეს შეიძლება გადასაცემი ინფორმაციის სიუხვით იყოს გამოწვეული, შეიძლება პედაგოგების არაკომპეტენტურობით, შეიძლება იმით, რომ სკოლას ბოლომდე არ ჰქონდეს გააზრებული განათლების მნიშვნელობა. მასწავლებლისთვის სწორედ დაგროვილი ცოდნა უნდა იყოს შემოქმედებითობის ბაზისი. უბრალოდ, მას საინტერესო და მრავალფეროვანი გზების ძიება სჭირდება, რათა კონკრეტული ინფორმაცია ადვილად გასაგებად და საინტერესოდ გადასცეს კლასს. ანუ სწავლება უნდა განიხილებოდეს, როგორც შემოქმედებითი პროცესი, სადაც სათანადო ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი თავის საკლასო ოთახში ერთგვარ შემოქმედებით ავტონომიას ქმნის. შემოქმედებითი მასწავლებლები ყველაზე სწორად განსაზღვრავენ მიზნებსა და შედეგებს, ავითარებენ მოსწავლეებში საბაზისო უნარებს, წაახალისებენ მოსწავლეებს ამა თუ იმ სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ცოდნის დაგროვებისკენ, სტიმულს აძლევენ, რომ განუვითარდეთ ცნობისმოყვარეობა და ძიების უნარი, ზრუნავენ მათ მოტივაციაზე, თავდაჯერებულობაზე, რისკების გათვლაზე; დამხმარედ სთავაზობენ მაღალ მოლოდინებს, აძლევენ მათ არჩევანის გაკეთებისა და აღმოჩენის შესაძლებლობებს, უვითარებენ საკუთარი ქცევის მართვისა და მეტაკოგნიტურ უნარებს, მუდმივად სთავაზობენ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებიც ქმნის შემოქმედებით და საგნისთვის ადეკვატურ, კონსტრუქციულ გარემოს, სადაც ადვილად ვითარდება და მდიდრდება მოსწავლეთა წარმოსახვა და ფანტაზიაც.

რაც შეეხება **მოტივაციას**, როგორც დამხმარე ფაქტორს. შეუძლებელია ღირებული  შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, თუ არ გიყვარს ის საქმე, რასაც აკეთებ. ამ ძლიერი შინაგანი მოტივაციისა თუ სწრაფვის გარეშე, რთული იქნებოდა ჭეშმარიტად შემოქმედებითი დამოკიდებულებების გაჩენა. ბავშვისთვის მიმზიდველი ფორმებით მიწვდილმა საკითხებმა კი შეიძლება განაპირობონ კიდევაც საგნის სიყვარული.

შემოქმედებითი აზროვნების განვითარება ადვილად შეიძლება შეაფერხოს არახელსაყრელმა სასწავლო **გარემომ**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც „კლავს“ შემოქმედებითობას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ზრუნავს მასწავლებელი გარემოს შემოქმედებითად ორგანიზებაზე.

> „თანამედროვე დინამიკა ოჯახსა თუ სამსახურში, სახლში თუ გარეთ მუდმივად ახალ-ახალ გამოწვევებსა და პრობლემებს გვთავაზობს და მათ გადასაჭრელად სწორედ მოქნილი, შემოქმედებითი, განათლებასა და ცოდნაზე დამყარებული ბუნება გვჭირდება. ამ კუთხით, უპირველესად, სკოლას ენიჭება გადამწყვეტი როლი, რომ საზოგადოებას თანამედროვე ადამიანი შესთავაზოს.“

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- ყურადღება მიაქციეთ და წაახალისეთ მოსწავლეთა განსაკუთრებული იდეები თუ პასუხები;
- წარუმატებლობა თუ შეცდომა გამოიყენეთ როგორც დადებითი საშუალება იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გააანალი-

ზონ წარუმატებლობის მიზეზები, დასახონ გზები, თუ როგორ უნდა მიაღწიონ განსაზღვრულ შედეგებს დამხმარე და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში;

- რამდენადაც შესაძლებელია, გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები და იდეები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- შექმენით კლასში ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული შეთანხმებული გარემო მოსწავლეებსა და მოსწავლე-მასწავლებელს შორის, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ თავიანთი აზრების გაზიარება და ერთმანეთისგან სწავლა, როგორც მასწავლებლის მეთვალყურეობით, ისე – დამოუკიდებლად;
- მიმართეთ მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს;
- მიმართეთ აქტიური მოსმენის ტექნიკას. თბილი, კეთილგანწყობილი ატმოსფერო მოსწავლეს თავისუფლად და დაცულად აგრძნობინებს თავს, რაც საუკეთესო პირობებია აზროვნების განვითარებისთვის;
- მიეცით მოსწავლეებს არჩევანის გაკეთების საშუალება, ასევე, გახადეთ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესის თანამონაწილეები; გაუნაწილეთ, აგრძნობინეთ მათ პასუხისმგებლობა, რომ თავადაც არიან თავიანთი საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესის მაკონტროლებლები;
- მოსწავლეთა პროექტებისა თუ იდეების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით, ხელი შეუწყვეთ სასწავლო პროცესში სხვა დაინტერესებული პირების ჯანსაღ ჩართულობას.

როდესაც სასწავლო გარემოს მოწყობასა და ორგანიზებაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ სასწავლო ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას. უპირველესად, ეს ნიშნავს გარემოს გაშინაარსებას სასწავლო მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. იმისათვის, რომ უკეთ ავხსნა, თუ რას ვგულისხმობ სასწავლო მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად გარემოს გაშინაარსებაში, გავიხსენებდი სინგაპურის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის სამკითხველო-ბიბლიოთეკას, ზღაპრის პერსონაჟებით მოხატულსა და ბავშვის თვალისთვის სახალისო დეკორაციებით მორთულს. ამ გარემოში ფეხისშედგმისთანავე მივხვდი, რატომ უკავია, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების მიხედვით, სინგაპურს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წიგნიერებაში.

ჩვენს, და არა მარტო ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ხშირად მსჯელობენ, რამდენად მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების განვითარება მოსწავლეებში. სასკოლო განათლებისთვის თანაბრად საპატიო მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს **კრიტიკული აზროვნება** (რომელიც განაპირობებს იდეების განვითარებას) და **შემოქმედებითი აზროვნება** (რომელიც განაპირობებს იდეების გენერირებას). ერთმანეთისგან ხშირად მიჯნავენ კრიტიკულსა და შემოქმედებით აზროვნებას. კრიტიკულად მოაზროვნეს სერიოზულ, ობიექტურ და ანალიტიკურ ადამიანად, ხოლო შემოქმედებითად მოაზროვნეს კი გაუწონასწორებელ, ზოგჯერ ექსცენტრულ ადამიანად მიიჩნევენ. თუმცა ყველაზე სრულყოფილი საგანმანათლებლო შედეგები ამ ორივეს ბალანსითა და სინთეზით მიიღება. მომეტებული ფოკუსირება მხოლოდ ერთ-ერთზე ამ ორიდან, შედეგად გვაძლევს გაუწონასწორებელ პიროვნებას.

განათლების, სწავლებისა და პედაგოგიკის მიზანი, უპირველესად, პიროვნების სრული განვითარებაა. სწავლება ინტერაქტიული, ემპირიული და შემოქმედებითი პროფესიაა და სამომავლოდ პიროვნების სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობასაც განსაზღვრავს. სწორედ შემოქმედებითი მასწავლებლის დახმარებით ხდება მოსწავლეებში იმ უნარების ფორმირება, რაც საზოგადოების სრულყოფილად ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი.

# მე უნდა ვიყო ტოლერანტი

„ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, შენ მოგექცნენ...“

ირაკლი კაკაბაძე

„ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაციის“ თანახმად, ტოლერანტობა „მსოფლიო კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა – სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება“.

წარსულის სკოლა, სადაც ჩვენ ვსწავლობდით, შეუწყნარებელი იყო განსხვავებული შეხედულებების, აზროვნებისა და განსხვავებული ხედვის. ჩვენ ვსწავლობდით და ვცხოვრობდით მრავალეროვან ქვეყანაში, მაგრამ არაფერი ვიცოდით სხვათა ტრადიციის, ისტორიის და კულტრის შესახებ, ჩვენ აღვიქვამდით და ვხედავდით საერთო სტერეოტიპებით, რომლებიც დღემდე არ დამსხვრეულა და განაგრძობს თავის არსებობას ჩვენს გონებასა თუ ყოველდღიურობაში, ასეთი დამოკიდებულებების როლი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის კატაკლიზმებში ძალიან დიდია და ჩვენგან ჯერ კიდევ შეუსწავლელი.

მრავალფეროვნება არამხოლოდ სტიმულირებას უწევს კულტურის განვითარებას, არამედ, ასევე, შეიძლება დადებითი ზეგავლენა მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე. მრავალფეროვნება, შემოქმედებითობა და ნოვატორობა ერთად საუკეთესო პირობებს ქმნიან საზოგადოების განვითარებისთვის, როცა უთანასწორობა, პირიქით, სოციალურ კონფლიქტებს იწვევს, რომლებსაც

უმთავრესად დამღუპველი შედეგები აქვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის და ადამიანთა ღირსების კუთხით.

ცხოვრების განმავლობაში ადამიანს უამრავ განსხვავებულ პიროვნებებთან ურთიერთობა უწევს, ძირითადად, ადამიანური ხასიათის ან დამოკიდებულებების ეს განსხვავებები პროფესიული საქმიანობის დროს ვლინდება. არადა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კაცობრიობა არასაკმარისად ტოლერანტულია, ადამიანები ერთმანეთის მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილნი და მომთმენნი არიან, ნაკლებად არიან გამსჭვალულნი ურთიერთპატივისცემით, ამგვარი დეფიციტი კი მრავალი უბედურების მიზეზია.

ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებულ და მშვიდ ადამიანს შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, მასწავლებელი, რომელიც პატივს არ სცემს სხვის აზრს, სხვის უფლებებსა და სხვა კულტურებს თავისი საქმიანობით ურთიერთპატივისცემას, მშვიდობასა და პიროვნულ თავისუფლებას უწყობდეს ხელს. ვერასოდეს აღვზრდით თავისუფალ და ტოლერანტულ მომავალ თაობას, თუ თავად ჩვენ არ ვართ საკმარისად თავისუფლების მოყვარულნი და ტოლერანტული, თუ თავად არ გვჯერა იდეებისა, რომელსაც ვასწავლით.



თანამედროვე სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა – აღზარდოს პიროვნება, რომელიც ჰუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული იდეების მატარებელი და ერთგული იქნება.

სათანადო ენისა და მეთოდების გამოყენების ჩვევა შეიძლება დაეხმაროს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, რომ შეაფასონ მრავალფეროვანი საზოგადოება არა როგორც დისკრეტული და შეუთავსებელი კულტურების ნაკრები, არამედ სიდიდე, სადაც კომპლექსური რელიგიური, კულტურული და ეთნიკური განსხვავებები აღიარებულია საერთო, მთლიან დემოკრატიულ ჩარჩოში.

ტოლერანტული მიდგომა სხვადასხვა საკითხის გათვალისწინებისკენ მოუწოდებს სკოლას, მასწავლებლებს, სასწავლო გეგმის შემდგენლებს და სახელმძღვანელოების ავტორებს, აუცილებელია, მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, განივითარონ ანალიტიკური აზროვნება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტოლერანტული მიდგომისთვის.

ტოლერანტული განათლების პროექტირება და დანერგვა საკლასო ოთახიდან იწყება, რომელიც აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრაციის, ჰუმანიზაციის, შემოქმედებითობის და კულტურიზაციის პრინციპებს. ტოლერანტულ კულტურას მრავალი ასპექტი აქვს, სკოლაში მისი ჩამოყალიბებისთვის და არსებობისთვის კი სამი მნიშვნელოვანი პირობაა საჭირო:

- სკოლის ადმინისტრაციის ნება და მზაობა;
- ტოლერანტული საგანმანათლებლო პროგრამები;

> **„არასოდეს ეგუებოდე ანტიჰუმანურ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და ქსენოფობია, – აი, ნამდვილი ტოლერანტი მასწავლებლის პოზიცია.“**

- ტოლერანტი მასწავლებლები.

ტოლერანტი მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლები სკოლაშიც და სკოლის გარეთაც ეყრდნობა ღიაობის, ნდობის, შემწყნარებლობის, ემპირიული გაგების და თვითკრიტიკულობის პრინციპებს. იგი თავის თავში აერთიანებს ეთნიკურ და სოციალურ ტოლერანტიზმს, ასევე ტოლერანტიზმს ადამიანებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის დონეზეც.

ტოლერანტია პედაგოგი, რომელიც –

- აცნობიერებს, რომ მას აღიქვამენ მაგალითის მიმცემ პიროვნებად;
- აფართოებს შემოქმედებით მიდგომებს პრობლემების აღსაკვეთად;
- აცნობიერებს და იყენებს შესაბამის უნარებს და ცოდნას კომფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტისთვის;
- ერთპიროვნულად არ იღებს გადაწყვეტილებებს კრიტიკულ სიტუაციებში;
- მნიშვნელოვნად თვლის სხვის აზრს და შეხედულებებს;
- ავითარებს მოსწავლეებში კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას;
- აფასებს კულტურულ მრავალფეროვნებას და ცდილობს, შექმნას გარემო, სადაც დააფასებენ კულტურულ განსხვავებებს და შესაძლებელი იქნება მისი თავისუფლად გამოვლენა ცხოვრებაში.

პედაგოგის საქმიანობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის ტოლერანტული ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის უნდა ხორციელდებოდეს, როგორც საგაკვეთილო, ასევე კლასგარეშე პროცესის დროს, აუცილებელია, მოსწავლეებთან ურთიერთობა თანამშრომლობაზე ავაგოთ და მივიღოთ ყოველი მათგანი, როგორც ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი პიროვნება. კომპრომისზე წასვლის  და მოლაპარაკების უნარი, შესაძლებლობა იმისა, რომ კონფლიქტის გარეშე დაარწმუნო ადამიანს საკუთარი სიმართლე, ისე რომ პატივი სცე და დაიცვა მისი შეხედულებები, მისი უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი. ხელს უწყობდე სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური თუ კულტურული მოსწავლეების დაახლოებას და არასოდეს ეგუებოდე ანტიჰუმანურ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და ქსენოფობია, – აი, ნამდვილი ტოლერანტი მასწავლებლის პოზიცია.

მასწავლებლის ტოლერანტობა ვლინდება მის საქციელში: უნარში, მშვიდად გაერკვეს და მოაგვაროს კონფლიქტი მოსწავლეთა შორის, გაგებით ეკიდებოდეს მათ სასწავლო მიღწევებს, ფიზიკურ მონაცემებსა და მათ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საქციელს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მასწავლებლის პროფესიულ კომპეტენციასთან, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილიცაა, საგნის ცოდნასთან და  სწავლების მეთოდებთან ერთად, უნარი, გამოვნახოთ ეფექტური გზები და საშუალებები მოსწავლეებთან საურთიერთოდ და სათანამშრომლოდ.

„მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს, როგორ და რატომ ავითარებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნასა და უნარებს მოსწავლეებში. მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს შემდეგი საკითხები: დემოკრატიული საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, ახალგაზრდების მომზადება აქტიური მოქალაქეობისთვის, საზოგადოებაში ინკლუზია და ინტეგრაცია, პარტნიორობის წახალისება, საერთაშორისო განზომილების პოპულარიზაცია.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ძირითადი ცნებებია: დემოკრატია, ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები, თანაგრძნობა, პატივისცემა, თანასწორობა, საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და თემი. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მოიცავს ცოდნისა და გაგების სხვადასხვა განზომილებას, უნარს, მიდგომასა და ღირებულებას. ეს ყოველივე ერთმანეთს უკავშირდება სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის დახმარებით“ (პიტერ ბრეტი, პასკალ მომპოინტ-გელარდი, მარია ელენა სალემა „მას-

> „მრავალფეროვნება, შემოქმედებითობა და ნოვატორობა ერთად საუკეთესო პირობებს ქმნიან საზოგადოების განვითარებისთვის, როცა უთანასწორობა, პირიქით, სოციალურ კონფლიქტებს იწვევს, რომლებსაც უმთავრესად დამღუპველი შედეგები აქვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის და ადამიანთა ღირსების კუთხით.“

# ნაბეღლავი

ნატურალური მინერალური წყალი

„მრავალფეროვნება, შემოქმედებითობა და ნოვატორობა ერთად საუკეთესო პირობებს ქმნიან საზოგადოების განვითარებისთვის.“

წავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.)

მოსწავლეთა აღზრდა ტოლერანტ მოქალაქეებად რთული და დიდი ხნის პროცესია, პირველი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისეთი კომფორტული გარემოს შექმნა ბავშვებისთვის, სადაც უფროსები მეტად მომთმენნი არიან კრიტიკულ სიტუაციებში და სადაც ემოციები არ განაგებენ ადამიანთა საქციელს. ძირითადად, ბავშვის ფსიქოლოგიური აშლილობები და დისკომფორტი უკავშირდება მის მიმართ უფროსების „ნულოვან ტოლერანტობას“, გამოვლენილს მისი ფიზიკური თუ გონებრივი მიღწევების და შესაძლებლობების გამო – მოსწავლე, რომლისთვისაც სკოლაში სიარული დიდი განსაცდელია და რომელსაც უარყოფითი ემოციები აქვს სასწავლო პროცესის მიმართ, ყოველდღიურად ტოვებს სკოლის კედლებში თავისი ჯანმრთელობის ნაწილს.

მოსწავლეები ხშირად საუბრობენ იმ პრობლემების შესახებ, რომელიც სასკოლო ცხოვრებაში ხვდებათ და რაც ხელის შემშლელ ფაქტორებად მიაჩნიათ მასწავლებლებთან ურთიერთობაში, მაგალითად:

„მე მეშინია, რომ მასწავლებლისგან ჩემი განსხვავებული შეხედულება გამოიწვევს ჩემს უარყოფით შეფასებას საგანში“;

„მე მინდა, რომ ჩემს პრობლემებს მეტი ინტერესით ეკიდებოდნენ მასწავლებლები“;

„მინდა, მასწავლებლები პატივისცემით მეპყრობოდნენ“;

„მე მინდა, ჩემი მასწავლებლები არ კარგავდნენ სამართლიანობის და ობიექტურობის შეგრძნებას“ და ა.შ.

აშკარაა, რომ ბევრ მოსწავლეს ჰქონია ნეგატიური გამოცდილება, მასწავლებლის მხრიდან ტოლერანტული ფასეულობების დარღვევისა და უარყოფის ფაქტებით, ასეთ დროს მათ ყოველთვის აქვთ უსამართლობის, უპატივცემულობისა და უთანასწორობის შეგრძნება, რაც უმთავრესად მთელი ცხოვრება რჩებათ გონებასა და მეხსიერებაში და რაც შემდგომში აისახება მათ ურთიერთობებში სკოლასთან, თანაკლასელებთან, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან და საზოგადოებასთან. მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს და უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ მოსწავლის დემოკრატიული და მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის და უნარების განვითარება მოსწავლეებში მასზეა, უმეტესწილად, დამოკიდებული, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე სკოლის უმთავრესი ამოცანა არის, აღზარდოს მოსწავლე, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს იზიარებს, ჩამოყალიბდეს აქტიურ, ინფორმირებულ და პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქედ, და რომელიც შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

- იცნობს მოქალაქის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს;
- ინფორმირებულია სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე;
- ზრუნავს სხვა ადამიანების კეთილდღეობაზე;
- შეუძლია საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების არტიკულაცია;
- აქტიურია თავის თემში;
- შეუძლია პასუხისმგებლობის აღება თავის საქციელზე.

ტოლერანტული აღზრდის პრობლემები ყველაზე მეტად თავის აქტუალობას იძენს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, სადაც უმნიშვნელოვანესია, არ დავუშვათ მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებში განსხვავებები და უთანასწორობა. სერიოზული ყურადღებაა საჭირო, რათა სკოლამ შეძლოს, აიცილოს სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ინსტიტუტების ზეგავლენა, რომლებიც ნაციონალურ ან რელიგიურ ექსტრემიზმს ეწევიან, რადგან სკოლა ყოველთვის იყო და, ბუნებრივია, ყოველთვის იქნება ასეთი ჯგუფების ინტერესის სფეროში. ხშირი შემთხვევები არსებობს, როცა მშობელი, კონფლიქტური სიტუაციის დროს, არ ცდილობს, გაერკვეს საქმის ვითარებაში და არ სურს, ცივილურად მოგვარდეს კონფლიქტი, არამედ ღიად გამოდის სხვა რელიგიის თუ ნაციონალობის მოსწავლის წინააღმდეგ – „სიმამაცის ტესტი მაშინ დგება, როცა ჩვენ უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობის კი – უმრავლესობაში ყოფნისას“. რალფ უ. სოკმენი.

> **„თანამედროვე სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა – აღზარდოს პიროვნება, რომელიც ჰუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული იდეების მატარებელი და ერთგული იქნება.“**

...„შედარებას რომ მივმართოთ, ტოლერანტობა – ესაა საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაში ამოზრდილი ყვავილი. ტოლერანტობის კონცეფცია სოციალურ-პოლიტიკური აზრის ხანგრძლივი განვითარების ნაყოფია. ტოლერანტობა იმ საზოგადოებაშია შესაძლებელი, სადაც სოციალური და პოლიტიკური განვითარების შედეგად, უსამართლობისა და სიღატაკის შემზარავი ფორმები უკვე აღარ არსებობს. მაგრამ მართებულია საპირისპირო თვალსაზრისიც: საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტოლერანტობის დაუმკვიდრებლად, ძნელია ცივილიზებული საზოგადოების შექმნა“. ბერ-მონაზონი ბენიამინ ნოვიკი.

# მე უნდა ვიყო თვითკრიტიკული

თეო ნეფარიძე

**თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში თვითკრიტიკულობა ეფექტური სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. სწავლების ტრადიციული მოდელები ნაკლებად იყო ორიენტირებული სასწავლო პროცესისა თუ შედეგების ანალიზსა და კრიტიკაზე, სწავლების თანამედროვე ფორმები კი ამ ორი ელემენტის გარეშე უკვე წარმოუდგენელია.**

სწავლისა და სწავლების თეორიების თანახმად, თვითკრიტიკული სწავლების ევოლუცია სამ ეტაპად მოხდა. ტრადიციული, ქცევითი მოდელი, მასწავლებლის უნარ-ჩვევებსა და სასწავლო პროცესის წარმართვის ტექნიკურ მხარეზე იყო ორიენტირებული. ამ მოდელის ფარგლებში, მოსწავლეები სასწავლო მასალას ზუსტად ისე ითვისებდნენ, როგორც წარმოდგენილი იყო, ყოველგვარი ანალიზისა და მსჯელობის გარეშე.

მეორე, კოგნიტივისტური მოდელი შედარებით კომპლექსურია და მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესისადმი ანალიტიკურ მიდგომას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს, მასალის ათვისების გარდა, მისი ანალიზი მოეთხოვებათ.

მესამე, ინტერპრეტაციული მოდელი კი, ანალიზთან ერთად, კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეთა მხრიდან. 1987 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა, დონალდ შონმა ტერმინი „ანალიტიკური პრაქტიკა“ დანერგა, რომლის თანახმადაც, პრაქტიკოსმა სპეციალისტმა მუდმივად უნდა გადახედოს თავის გამოცდილებას და პროფესიონალ კოლეგებთან კოორდინაციის შედეგად გააუმჯობესოს თავისი პროფესიული საქმიანობა. ამ ცნების დანერგვისთანავე, ბევრმა სკოლამ თუ უნივერსიტეტმა ანალიტიკური პრაქტიკის კონცეფციაზე ააგო მასწავლებლის პროფესიული განათლებისა და განვითარების პროგრამები.

მასწავლებელი სწავლების ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, რაც პირველი, ბიჰევიორისტული მოდელის ძირითადი მოთხოვნაა, სამუშაო პრაქტიკის პირველივე წლებში იძენს. ამ პერიოდშივე ეცნობა ის სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ტიპურ სირთულეებს. გარკვეული გამოცდილების მიღებისა და სირთულეების დაძლევის შემდეგ კი, მასწავლებელი, ტექნიკური უნარ-ჩვევების შეძენასთან ერთად, სწავლების ინდივიდუალურ სტილს ივითარებს და შესაბამისად, სწავლების კოგნიტივისტურ დონეზე გადაინაცვლებს. ამ მოდელზე გადასვლა, ერთი მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯია სწავლების მესამე, ინტერპრეტაციულ დონეზე გადასანაცვლებლად, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, ის დამაბრკოლებელი ფაქტორიც გახდეს, თუ მასწავლებელი ინდივიდუალური სწავლების სტილის ჩარჩოებში მექანიკურად მოაქცევს სასწავლო პროცესში შექმნილ ნებისმიერ სიტუაციას.

სწავლების მესამე, ინტერპრეტაციული მოდელი ყველაზე კომპლექსურია და მასწავლებლისგან იმის ზუსტ ცოდნას მოითხოვს, თუ როდის უნდა იმოქმედოს, რა ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს და როგორ ახსნას მასალა, როდის გააკეთოს რეაგირება მოსწავლის ქცევაზე, რა და როგორ შეაფასოს და გააანალიზოს, იმისათვის, რომ შეცვალოს ან გააუმჯობესოს სწავლების პროცესი. სწორედ ამ დონეზე მოეთხოვება მასწავლებელს თვითკრიტიკულობა და მუდმივი პროფესიული ზრდისკენ მისწრაფება. განათლების თანამედროვე სტანდარტები, დღეს, ისე, როგორც არასდროს, მოითხოვს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. საამისოდ კი, პირველ რიგში, მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავად იაზროვნოს კრიტიკულად და მოსწავლეებსაც განუვითაროს ეს უნარ-ჩვევა.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის თვითკრიტიკულობა სწორი მიმართულებით უნდა განვითარდეს, რათა დადებითის ნაცვლად უარყოფითი შედეგი არ მივიღოთ. თუ

მასწავლებელმა თვითკრიტიკულობის სწორი მეთოდების გამოყენება არ იცის, კრიტიკამ, შესაძლოა, ისეთი რისკების წინაშე დააყენოს, როგორიცაა თავდაჯერებულობის, კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობის მხარდაჭერის დაკარგვა, მოსწავლეების ან მშობლების მხრიდან მის მიმართ ნდობის შესუსტება.

## თვითკრიტიკის სფერო და მეთოდები

თვითკრიტიკულობის მიზანი მასწავლებლის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებზე, მოსწავლე-მასწავლებლის კითხვა-პასუხზე, დროის მართვაზე, გაკვეთილის წყობაზე, მასალის ახსნისა და განმტკიცების ტექნიკაზე, აქტივობების ტიპებზე დაკვირვება და მათი გარჩევაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც თვითკრიტიკის მეთოდებს აქტიურად იყენებენ, ბევრად უფრო კარგ შედეგებს იღებენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით.

> სასწავლო პროცესის გაანალიზებისას თვითკრიტიკული მასწავლებელი ოთხ ძირითად ტექნიკას იყენებს: ჩანაწერების წარმოება; ანგარიშები; კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და ანალიზი; გაკვეთილების ჩაწერა და ანალიზი.

პროფესიული განვითარებისთვის მხოლოდ გამოცდილება არ არის საკმარისი. მასწავლებელი ყველაზე უკეთ ხედავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ინტერპრეტაცია ყველა მასწავლებელს არ შეუძლია. იმისათვის, რომ ის თვით-კრიტიკული იყოს, პირველ რიგში, მას უნდა შეეძლოს თავისი ქმედებების ობიექტურად შეფასება, ჰქონდეს დაკვირვების, ექსპერიმენტის ჩატარების, ადაპტირების, კვლევის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, ინოვაციის დანერგვის უნარ-ჩვევები.

## თვითკრიტიკულობის მეთოდები

თვითკრიტიკულობა ინტუიციური უნარ-ჩვევაა, თუმცა ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ თვითკრიტიკული სწავლების კლასიკურ მეთოდებს. სწავლისა და სწავლების თეორიაში თვითკრიტიკულობის ორი მიდგომაა გავრცელებული: კვლევითი და ანალიტიკური. ანალიტიკური მიდგომა, თავის მხრივ, ორ მიმართულებად იყოფა: ანალიზი პროცესის მიმდინარეობისას და პროცესის შემდგომი ანალიზი.

## კვლევითი მიდგომა

კვლევითი მიდგომა, რომლის ფუძემდებელი გახლავთ გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფსიქოლოგი კურტ ლევინი (1946), გულისხმობს დაგეგმილი ქმედებების სისტემატურ განხორციელებას. კონკრეტული ქმედებების დასახვა კი გარკვეული მონაცემების გაანალიზების შედეგად ხდება. მოქმედებათა სისტემური განხორციელება თანმიმდევრულ

პროცესს გულისხმობს. კვლევითი მიდგომა მონაცემთა შეგროვების, დაკვირვების, გაანალიზების, ქმედებათა დაგეგმვისა და განხორციელების, განმეორებითი ანალიზისა და დაგეგმვის ეტაპებს მოიცავს. ავსტრალიელი ლინგვისტი დევიდ ნუნანი აღნიშნავს, რომ კვლევითი მიდგომა მაშინ ატარებს აუთენტური კვლევის სახეს, როცა მისი მიმდინარეობა და შედეგები ღია განხილვის საგანი ხდება. ეს შეიძლება განხორციელდეს პუბლიკაციის, საკონფერენციო პრეზენტაციის ან შიდა-სასკოლო ანგარიშის სახით.

კვლევითი მიდგომის უკეთ აღსაქმელად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ჰონკონგში 38 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა განახორციელეს შეფასებითი კვლევა იმის გასარკვევად, თუ რატომ ამბობდნენ უარს მოსწავლეები ზეპირსიტყვიერ პრაქტიკაში მონაწილეობის მიღებაზე. პირველ რიგში, მასწავლებლებმა შეაგროვეს ასეთი შემთხვევების მაგალითები და წარმოადგინეს მათი სიტუაციური აღწერა; შემდეგ დასახეს სტრატეგიები პრობლემის დასაძლევად, რომელთა პილოტირებაც ოთხი კვირის განმავლობაში განახორციელეს. პილოტირების პროცესში ყველა მათგანი აწარმოებდა დაკვირვებებს, აკეთებდა ჩანაწერებს და აანალიზებდა ცვლილებებს. საპილოტე პერიოდის დასასრულს თითოეულმა მასწავლებელმა გაკვეთილის ვიდეო-ჩანაწერი მოამზადა. მათ ერთობლივად გააანალიზეს გამოყენებული სტრატეგიები, ბოლოს კი შეადგინეს ანგარიში, სადაც აღწერეს პრობლემა, სტრატეგიების განხორციელების პროცესი და მათი შეფასება. ანგარიშის განხილვისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დასკვნა პროგნოზირებადი იყო, ხოლო ზოგი – მართლაც მოულოდნელი და აუცილებლად გასათვალისწინებელი. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ზეპირსიტყვიერ ვარჯიშში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ ენის ცუდად ცოდნისა და შეცდომების დაშვების შიშის გამო. დისკომფორტის შეგრძნება, მოსწავლის პასუხის მოლოდინში მასწავლებლის ხანგრძლივი სიჩუმე, მოსწავლეთა რიგითობის არასწორად გადანაწილება, შეკითხვების გაუგებრად დასმა ზეპირსიტყვიერ ვარჯიშში მოსწავლეთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის უშუალო მიზეზები იყო.

როგორც დევიდ ჰოფკინსი (1985), განათლების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი ლონდონის უნივერსიტეტში, აღნიშნავს, კვლევითი პროექტის განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მასწავლებლის ძირითადი მოვალეობა სწავლებაა და კვლევის მასშტაბმა მის საქმიანობას ხელი არ უნდა შეუშალოს.

კვლევითი მოდელისგან განსხვავებით, ანალიტიკური მიდგომა თვითკრიტიკის უფრო მოქნილი ფორმაა, ნაკლებ დროს მოითხოვს და ცვლილებებისა და შესწორებების უფრო მოკლე დროში განხორციელების საშუალებას იძლევა.

## ანალიტიკური მიდგომა

განათლებისა და სწავლა-სწავლების თეორეტიკოსები ანალიტიკურ მოდელში გულისხმობენ მასწავლებლის მიერ საკუთარი გამოცდილების გაანალიზებას და მიზნის მისაღწევად ტრადიციულისგან განსხვავებული, ალტერნატიული გზების დასახვას. ბარლეტი აღნიშნავს, რომ თვითკრიტიკულობა სწავლების ტექნიკაში დახელოვნების ჩარჩოებს სცდება. თვითკრიტიკული მასწავლებელი სასწავლო პროცესისთვის მომზადებისას სვამს არა მხოლოდ შეკითხვას: „როგორ?“, ასევე შეკითხვებს: „რა?“ და „რატომ?“. ასეთი მიდგომით მასწავლებელი არა მხოლოდ კრიტიკულად აფასებს თავის საქმიანობას, არამედ გარკვეულ ავტონომიასა და კონტროლსაც მოიპოვებს.

როგორც აღვნიშნეთ, ანალიტიკურ მოდელში ორი მიმართულება მოიაზრება: ანალიზი პროცესის მიმდინარეობისას და პროცესის შემდგომი ანალიზი. პირველი მეთოდი უფრო სპონტანური, ინტუიციური ხასიათისაა. თვითკრიტიკულობის ეს ფორმა ერთგვარად პირადი და არასაჯაროა. მასწავლებელი გეგმას გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესშივე ცვლის. პროცესის შემდგომი ანალიზი მოქმედებაზე დაკვირებას, შეფასებას, ცვლილებების განხორციელების მიზნად დასახვას და შემდგომ ქმედებას მოიცავს. შესაბამისად, თვითკრიტიკულობის ეს ფორმა უფრო ინტერპერსონალური და კოლეგიალურია და მასწავლებელთა პროფესიული განათლების პროგრამების ყურადღების ცენტრში ხვდება. მასწავლებლები, რომლებმაც პროცესის ანალიზის ტექნიკა შეისწავლეს, აღნიშნავენ, რომ ბევრი ისეთი რამ დაინახეს საკუთარი სწავლების სტილში, რასაც მანამდე გაუცნობიერებლად აკეთებდნენ.

სასწავლო პროცესის გაანალიზებისას თვითკრიტიკული მასწავლებელი ოთხ ძირითად ტექნიკას იყენებს: **ჩანაწერების წარმოება; ანგარიშები; კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და ანალიზი; გაკვეთილების ჩაწერა და ანალიზი.**

## ჩანაწერების წარმოება

ამ მეთოდის თანახმად, მასწავლებელი ჩანაწერებში აღწერს გაკვეთილის მიმდინარეობას, კონკრეტულ სიტუაციას ან მოვლენას, განსაკუთრებულ შემთხვევებსა და გამოცდილებას. მასწავლებელს შეუძლია ჩანაწერები ინდივიდუალურად აწარმოოს, თუმცა არსებობს მათი წარმოების კოლაბორციული მეთოდიც, როცა ორი ან რამდენიმე მაწავლებელი ერთმანეთს ჩანაწერებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს უზიარებს.

მასწავლებლები, რომლებიც თვითკრიტიკის ამ ხერხს იყენებენ, აღნიშნავენ, რომ ჩანაწერების წარმოებისას მათ ისეთი ნიუანსები ახსენდებათ გაკვეთილის პროცესიდან, რომლებსაც, სხვა შემთხვევაში, უყურადღებოდ დატოვებდნენ. ასევე,

დასტურდება, რომ ჩანაწერების წარმოება ხელს უწყობს მასწავლებლის შემოქმედებითობის განვითარებას და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების საფუძველი ხდება.

### ანგარიშები

ანგარიში გამოიყენება კონკრეტული სასწავლო მეთოდისა და ტექნიკის შეფასებისთვის. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს კითხვარს გაკვეთილის გეგმისა და დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით. სასწავლო ტექნიკის შეფასების ეს მეთოდი იმითაა მოსახერხებელი, რომ სწავლების ეფექტურობის დინამიკაში დაკვირვების საშუალებას იძლევა. შევსებული კითხვარების გაანალიზებით მასწავლებელი დაინახავს, თუ რამდენად გააუმჯობესა ამა თუ იმ სასწავლო ტექნიკის გამოყენება, რომელი აქტივობა უფრო ეფექტურია და რომელი ნაკლებ წარმატებულია, რამდენად მიიღწევა სასწავლო გეგმის მიზნები და ა.შ.

პირადი ანგარიშგების ასეთი ფორმა საშუალებას იძლევა, რომ პედაგოგმა საკუთარი შედეგები კოლეგებისას შეადაროს.

### გაკვეთილზე დასწრება

გაკვეთილზე დასწრებამდე რეკომენდებულია გაკვეთილის გეგმის წინასწარ გაცნობა, მოსწავლეთა დონეებისა და სწავლის სტილის, კლასში არსებული სირთულეების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღება. კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვებისას აუცილებლად უნდა გაკეთდეს ჩანაწერები და მათი განხილვისთვის გაკვეთილის დასრულებისთანავე უნდა შედგეს მოკლე შეხვედრა დამკვირვებელსა და გაკვეთილის წამყვან მასწავლებელს შორის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებლები, რომლებიც კოლეგების გაკვეთილებს დაესწრნენ, უფრო თვითკრიტიკულები გახდნენ. მათ გააცნობიერეს, თუ რა მიმართულებითაა საჭირო სწავლების პროცესის ანალიზი. მათთვის უფრო მისაღები გახდა სხვისი კრიტიკაც.

### გაკვეთილების ჩაწერა და ანალიზი

სწავლების სიღრმისეული შეფასებისთვის გამოიყენება გაკვეთილების აუდიო ან ვიდეო ჩაწერის ტექნიკა. როგორც აღვნიშნეთ, წერილობითი ანგარიშები და ჩანაწერები ეფექტური ხერხებია, თუმცა ვინაიდან შეუძლებელია მასწავლებელმა დააფიქსიროს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კლასში ხდება, აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გამოყენებით სასწავლო პროცესის ბევრად მეტი ასპექტის გაანალიზებაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია ისეთი დეტალებიც გააანალიზოს, როგორიცაა ღია და დახურული შეკითხვების გამოყენების პროპორციულობა, ან ძლიერი და სუსტი მოსწავლეებისთვის დათმობილი დროის ბალანსი.

მართალია, გაკვეთილის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების გაკეთება ანალიზისთვის მდიდარ მასალას გვაძლევს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩანაწერების ხშირად გაკეთებამ, შესაძლოა, გარკვეული გავლენა მოახდინოს კლასში გაკვეთილის მიმდინარეობაზე. მაგალითად, შესაძლოა, ზოგიერთი მოსწავლე უფრო გააქტიურდეს, ხოლო ზოგიერთი უფრო პასიური გახდეს. ამიტომ, ამ ტექნიკის გამოყენებისას, სასურველია, გარკვეული პერიოდულობის დაცვა.

ჩამოთვლილი მეთოდების გარდა, რეკომენდებულია მოსწავლეთა გამოკითხვა და მათი მოსაზრებების გაცნობა. მათი ხედვა განსხვავებულ და ღირებულ პერპექტივას შესძენს მასწავლებლის მუშაობის შეფასებას.

თვითკრიტიკულობა, კვლევითი და ანალიტიკური შეფასების მეთოდების სწორად გამოყენების შემთხვევაში, თვითგანვითარების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა, დასასრულს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითკრიტიკულობისთვის მასწავლებელს სათანადო ხელშეწყობა სჭირდება სკოლის ადმინისტრაციისგან. თუ თვითკრიტიკის შედეგებში სკოლის ადმინისტრაცია მასწავლებლის არაკომპეტენტურობაზე გააკეთებს აქცენტს და არა განვითარების პოტენციალზე, ცხადია, მასწავლებელი არ დაინტერესდება ობიექტური თვითშეფასებითა და კრიტიკით.

# სკოლა ჩემი სახლია

„– საით მივდივართ? – მუდამ შინისაკენ“.

*ნოვალისი*

**რუსუდან კაიშაური**

ჩემს ბავშვობაში ან სხვა ბავშვებზე დაკვირვებისას, აღმომიჩენია, რომ ყველაზე მტკივნეული სახლს მოწყვეტა იყო. რა საბაბითაც უნდა ყოფილიყო ეს წასვლა სხვაგან, ბრჭყვიალა საცდუნები, გასართობ-დასვენებითი სავანე, საზღვაო თუ სოფლური თავგადასავლები – ცოტა ხნის შემდეგ სახლის მონატრება იწყებოდა. ან რას ვთამაშობდით მუდმივად ჩვენ და ყველა ბავშვი?




სახლს ვაშენებდით: მაგიდის ქვეშ ვძვრებოდით, ხის ტოტებში ვიწყობდით სახლ-შტაბს, მუყაოს ყუთებს ვიმხობდით თავზე; ლეიბებითაც კი მოგვიწყვია სახლი.

ბევრი შეგრძნება აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი ცხადი იყო: თავშესაფარს, სიმყუდროვესა და დაცულობას ვესწრაფვოდით. დედის მუცელი-სახლიდან ცოტა ხნის გამოსულებს სამყარო ჯერ სახლად ვერ აღგვექვა, რადგან ძალიან დიდი იყო და თავს იქ უმწეოდ ვგრძნობდით. მართლაცდა, სად ახლა რომ გვაქვს გადაჯავშნული გულ-ტყავ-თავები და სად მაშინ: ჩვილი და უღინღლო.

ადამიანი ნაწარმოებია ფორმით და შინაარსით, მის ავტორს შემოქმედი ჰქვია. აქედან გამომდინარე, განა ბუნებრივი არ არის, რომ მას დაბადებიდან სიკვდილამდე შემოქმედებითი გარემო შეუქმნა. თუმცა ჯერ უნდა დაანახო ის სილამაზეები და იდუმლე-ბები, რაც ბუნებაში უკვეა წარმოდგენილი და მერე ისწავლო მისგან, როგორი ფერებითა და რუდუნებით კვანძავს თავთავებს, ყვავილებს, რომ თვითონაც ასე მოექცე საკუთარ თავსა და შენს გარემოს. ჩვენ კი ჩვენი თავიდან გარეთ გახედვაც გვეზარება, ამ საოცრებათა დაფასებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაშ ასე, გვაჩუქა შემოქმედმა თავისი შედევრი ბავშვი და უფროსებს მოგვანდო. რა ძალისხმევას გამოვიჩენთ, რომ თვითონაც შემოქმედს დავემსგავსოთ. პირველი სიტყვა

ოჯახის წევრებზეა, შემდეგ, ყველა ზღაპარში ასეა, ბედის საძებნელად ოჯახიდან უნდა გამოვიდეს მოზარდი. პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს, უნდა დაიწყოს ბრძოლა არსებობისთვის და აჰა, სკოლის დროც მოვიდა. აქ მასწავლებელი ჩნდება. რა არის სკოლა? ვინ არის მასწავლებელი? განა კარგი არ იქნება, სკოლა სახლს დაამსგავსოს მასწავლებელმა – სახლს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ მოსწავლემ თავი აქ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს, დაიჯეროს, რომ იგი უყვართ, მისი ბედი აღელვებთ; ცხოვრებისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას უზიარებენ ისე, რომ მუდმივად ჭკუას არ არიგებენ. არა, ჭკუის დარიგება როგორ არ არის საჭირო, ოღონდ – სხვანაირად, მეგობრულად და მისი პიროვნების გათვალისწინებით. მოსწავლე და მასწავლებელი ერთად ქმნიან სასწავლო გარემოს გულით, გონებითა და ქმედებით.

მინდა, ყველა გაკვეთილი მოლოდინით იწყებოდეს: აბა, რა სიახლე მოგვიმზადა მასწავლებელმა? რადგან ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ერთხელ, როცა ზღაპარი უნდა ამეხსნა, თავზე გვირგვინი დავიდგი და ისე დავიწყე თხრობა.

ჯერ კიდევ საჯარო სკოლაში ვასწავლიდი, რომ მივხვდი, ბავშვებს ყველაზე მეტად მასწავლებელთა მხრიდან სიყვარული და მათი პიროვნებებად აღიარება აკლდათ. შევდიოდი კლანებად და კიდევ ვიღაც-ვიღაცებად დაყოფილ კლასში (ჩვენი საზოგადოების პატარა მოდელში) და ჩემს თავს ვეკითხებოდი: მოგწონს ეს და თუ არა, რას იღონებ?

ვიმეგობრებთ და ვამეგობრებ ერთმანეთთან – სიყვარულის წებო მოვიმარჯვე და კლასის სახლად ქცევას შევუდექი. დავიწყე თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. აი, ერთი ბავშვი გარიყული ზის, ბაიყუშობს. ისე, რომ მან ვერ გაიგო, თანაკლასელები „მივუსიე“ და გამთლიანდნენ. რომელიღაც მოსწავლე გაჭირვებული ოჯახიდანაა, ექსკურსიის ფულს ვერ დებს. მის ზურგს უკან, შეძლებულ მშობლებთან და შვილებთან მოვაგვარეთ ეს საქმეც. ფულის დამდებებიც კმაყოფილი არიან თავიანთი ქველმოქმედებით.

იმ სკოლაში რომ მივედი სამუშაოდ, დირექტორმა მკითხა: ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება გაქვსო? – არა-მეთქი. ჰოდა, ძალიან კარგიო. კლასში შესვლის წინაც მკითხა: აბა, როგორი განწყობა გაქვსო?

> „უკვე იმდენი ხნის მასწავლებელი ვარ, რამდენი წელიც თვითონ ვიყავი მოსწავლე და ჩემს თავს ვეუბნები, მთავარია, ყურები არ ჩამოყარო, ხალისი არ გაიქრო; შენი მოსწავლეების ასაკიდან შეხედო სამყაროს და გახსოვდეს, რომ მათზე მეტი გამოცდილება მოგეცა იმიტომ, რომ შეგიძლია შენზე უმცროსები გაახარო. და ფიქრობ მეორე დღეზე, როგორ მოაწყო პატარა გაკვეთილი – სანახაობა, რომ შენც ითამაშო და მოსწავლეებიც ათამაშო, თან შენი მიზნები განახორციელო.“

საშინლად მეშინია-მეთქი, – ვუპასუხე (დღემდე ასე ვარ). ეგეც ძალიან კარგიაო. ახლა ვხვდები, რომ ბრძენი და გამჭრიახი იყო ის დირექტორი.

ძაღლი წყალში რომ ჩააგდეს, ცურვა მაშინ ისწავლაო – ამ ანდაზასავით იყო ჩემი საქმე. სწავლას მივეძალე – ტრენინგებზე დავდიოდი, სხვა მასწავლებელთა გაკვეთილებს ვესწრებოდი; რაღას არ ვიგონებდი, რომ გაკვეთილი შოკური და ფერადოვანი გამეხადა, ექსპერიმენტებს ვატარებდი საკუთარ თავზე და მოსწავლეებზე. ზოგჯერ ვფლავდებოდი, მაგრამ მაინც ჯიუტად განვაგრძობდი ძიებას.

სახლის თემას თუ გავაგრძელებ, იატაკიდან საყვედურის გარეშე ვკრეფდი ქაღალდებს, ბუფეტის ნამუსრევს – ასე ვასწავლე მათ სისუფთავე და წესრიგი. სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, გაზაფხულზე ბიჭებს დავიმარტოხელებდი, ათ-ათ თეთრს ვადებინებდი (მე თვითონ ლარს ჩამოვდიოდი) და დილით, გაკვეთილის დაწყების წინ, თანაკლასელ გოგონებს მერხებზე თითო-თითო ყოჩივარდა ხვდებოდათ – ურთიერთპატივისცემა ისწავლეს. ერთიანი რომ გახდნენ, მშობლებიც მიხვდნენ, რომ მე მათი თანამებრძოლი და არა დაპირისპირებული ძალა ვიყავი. სკოლა ჩემი სახლი იყო. სიზმრებშიც მათ ვხედავდი. შეყვარებული ვიყავი ჩემს მოსწავლეებზე, ქუჩაში გამოსულიც ყველა ბავშვში მათთან მსგავსებას ვეძებდი. ერთ ჩემს მოსწავლეს უთქვამს: სკოლაში წასვლა მიხარიაო და მივხვდი, რომ სკოლა მათთვისაც სახლად გადაქცეულიყო. მაგრამ, ერთ დღეს, ჩემს სახლში, საკუთარმა შვილებმა რევოლუცია მომიწყვეს, ლოზუნგით: „ან ჩვენ, ან ისინი“. მე შვილები ვარჩიე იმიტომ, რომ მათ ჩემს მეტი მშობელი არ ჰყავდათ და დიდხანს, ძალიან დიდხანს ცუდად ვიყავი, მოსწავლეებთან ვერყოფნის ავადმყოფობა ძლივს მოვიხადე. იმ სკოლისკენ აღარასოდეს გამიხედავს.

მერე ბედმა „კავკასიურ სახლში“ მიმიყვანა, ჩემი ყოფილი უსაყვარლესი ლექტორის, მწერალ ნაირა გელაშვილის მიერ დაარსებულ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში, სადაც იმხანად საკვირაო სკოლა იყო გახსნილი და დავიწყე მასწავლებლობა. აქ აღარ ვიყავი ისეთი უმწეო და დაუცველი, როგორც მაშინ, როცა პირველად შევდგი ფეხი საჯარო სკოლაში – გამომწვევად, კევის ღეჭვით რომ შემხვდნენ ჩემთვის უცნობი ბავშვები: აბა ერთი, რას იზამსო. მადლობა ღმერთს, ბუნებრივი რეაქცია მქონდა: ჩანთა გავხსენი, კევი ამოვიღე და ყბების ქნევაში

„განა კარგი არ იქნება, სკოლა სახლს დაამსგავსოს მასწავლებელმა – სახლს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ მოსწავლემ თავი აქ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს, დაიჯეროს, რომ იგი უყვართ, მისი ბედი აღელვებთ; ცხოვრებისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას უზიარებენ ისე, რომ მუდმივად ჭკუას არ არიგებენ.“

ავყევი მათ (იმის მერე გაკვეთილზე აღარავის დაუღეჭავს).

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მე ისევ მეშინია ბავშვებისა, გაკვეთილზე შესვლის წინ. და ღმერთმა ნუ ქნას, სხვანაირად იყოს. უკვე იმდენი ხნის მასწავლებელი ვარ, რამდენი წელიც თვითონ ვიყავი მოსწავლე და ჩემს თავს ვეუბნები, მთავარია, ყურები არ ჩამოყარო, ხალისი არ გაიქრო; შენი მოსწავლეების ასაკიდან შეხედო სამყაროს და გახსოვდეს, რომ მათზე მეტი გამოცდილება მოგეცა იმიტომ, რომ შეგიძლია შენზე უმცროსები გაახარო. და ფიქრობ მეორე დღეზე, როგორ მოაწყო პატარა გაკვეთილი – სანახაობა, რომ შენც ითამაშო და მოსწავლეებიც ათამაშო, თან შენი მიზნები განახორციელო.

ერთხელ ბავშვები ჯგუფებად დავყავი, ცარცები დავურიგე, გარეთ ასფალტზე ტერიტორიები გამოვუყავი და დავალება მივეცი, დაეხატათ თავიანთი ოცნების სახლი, დაერქმიათ სახელი; პრეზენტაციის დროს მოეყოლათ, ვინ ან რა ცხოვრობდა ამ სახლში და რა სურდა. ჩემ მიერ შერჩეული ჟიური აფასებდა მათ ნაშრომებს. თან საჭიროა, ბავშვები მუდმივად

გრძნობდნენ, რომ შენ ისინი, ყველანი, განურჩევლად გიყვარს და ყურადღების ცენტრში გყავს. თუ გინდა რაიმე შენიშვნა მისცე, ცალკე გაგყავს და უსაბუთებ, რატომ არ მოგწონს მისი საქციელი. საკუთარ შეცდომებს საჯაროდ აღიარებ მათ წინაშე და ბოდიშს იხდი. ძალიან კარგია, რომ სულ სადღაც დაგყავს, საუკეთესოს აჩვენებ. შეიძლება ყველაფერი ვერ გაიგოს, მაგრამ რაღაც აუცილებლად დაამახსოვრდება, ჩარჩება გონებაში, მის გემოვნებაზე იმოქმედებს და ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის. მთავარია კაცთმოყვარენი გავზარდოთ.

უკვე რაღაცებს ვამეტაფორებ: ყოველი სასწავლო წელი შობა-ახალი წელივით არის, თავიდან იბადები, მოსწავლეებთან ერთად მთელი წლის მანძილზე იზრდები, თავს დაისხამ და პურდები.

სიახლეებია საჭირო. ამისათვის დრო გჭირდება, მარტო ეს საქმე უნდა გებაროს, ფიქრში და ფიქრის გარეთ. შენს თავს ამხნევებ, ხშირ-ხშირად ეუბნები: თუკი ჩვეულებრივი დღე ახლებურად თენდება და ღამდება?... გულში მეცინება, ეს, სხვათა შორის, ჩემი დამსახურებაცაა – ვფიქრობ. ჰოდა, მეტი რაღა გინდა, კეთილი ინებე და არ გაბედო ერთფეროვნება.

ამ შაბათ-კვირის სკოლაში კიდევ უფრო რთულადაა საქმე. აქ არიან ახალი და ძველი დევნილები, სოციალურად დაუცველნი, ეროვნული და რელიგიური უმცირესობანი, მოკლედ, თუ ვინმე სადმე დაკარგულა და თავი ვერ უპოვნია, ისეთებიც. რაღაც თბილი ცისარტყელა გადავჭიმე მე ამ სკოლაში, რადგან ეს მართლაც სახლი უნდა ყოფილიყო ტრავმირებული ბავშვებისთვის. თანაც შაბათ-კვირას ბავშვს დასვენება და თამაში უნდა. რომ იცოდეთ, რამდენ ფერს ვეძებდი, რამდენ ხანს ვქსოვდი ამ ცისარტყელას.

თანამოაზრეებთან ერთად დავიწყეთ სახლის შენება, მე, როგორც რიგითმა მასწავლებელმა, მერე – კოორდინატორმა და დღემდე ვაშენებთ, ყოველ წელს უფრო და უფრო თბილსა და მხიარულს ვხდით სახლს. ასეთია თანამედროვეობის გამოწვევები. ამ ხნის მანძილზე ჯერ არ შემხვედრია უუნარო ბავშვი, არასდროს ყოფილა ჩვენს სკოლაში მოსწავლე, სიყვარულსა და ყურადღებას არ გაეკეთილშობილებინოს. აქ ბავშვები ერთმანეთს კარგი ბავშვობის გამო აფასებენ და არა სხვა რამეთა გამო. ამიტომ არის, რომ ეს პატარა, მრავალფეროვანი, მეგობრული სკოლა, ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული – სოლოლაკში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, №20-ში – ცხოვრობს და ვითარდება. კიდევ ერთი პატარა სახლი შევქმენით 2001 წლიდან ევროპული ფონდის, „ჰორიზონტის“ ფინანსური დახმარებითა და ნაირა გელაშვილის იდეით.

კარგი მასწავლებლობა კი გამოსდით ან ძალიან ახალბედებს და გამოუცდელებს, ან მათ, რომლებიც სულ სწავლობენ და უყვართ.

# მე ვასწავლი და ვსწავლობ

ნაირა ცხვედიანი

**მასწავლებელი და მოსწავლე პირობითი ცნებებია, რადგანაც მასწავლებელიც მთელი ცხოვრება სწავლობს, მათ შორის ბევრ რამეს – საკუთარი მოსწავლეებისგანაც.**

„მე თქვენ გამო უამრავ რამეს ვსწავლობ“, – მადლიერებით მითქვამს ჩემი მოსწავლეებისათვის და ეს გულწრფელი სიტყვებია. რომ არა ისინი, შესაძლოა, საკუთარი ინტერესების გამო არ მომეძებნა ახალი ინფორმაციები და ლიტერატურა, არ გამეხსენებინა ძველი, წლების წინ ნასწავლი და დავიწყებული, არ გადამეშალა ისტორიისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები და ა.შ.; ბოლოს და ბოლოს, არ დამეწერა სასკოლო სახელმძღვანელო.

ბევრ რამეს უშუალოდ მათგანაც ვსწავლობ: გაკვეთილი ხომ შემოქმედებითი პროცესია, როცა მასწავლებლის თავში ყველაზე საინტერესო აზრები იბადება. ამ აზრების თანაშემოქმედნი მოსწავლეები არიან. ისინი გვაიძულებენ, ნაცნობ, გათავისებულ, ზოგჯერ აქსიომად ქცეულ მოსაზრებას ახალი თვალით შევხედოთ, სხვა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ვეძებოთ, მათთან ერთად ახლებური დასკვნები გავაკეთოთ.

რამდენიმე დღის წინ გურამიშვილს ვკითხულობდით: „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა, ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა“.

მე სიტყვა „მწიდნავის“ მნიშვნელობას ვუხსნი, მათ ის უფრო აინტერესებთ, კონკრეტულად როდის სრულყოფს მოსწავლე სწავლას და როდის მოისვენებს. მე არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი, რადგან ვიცი, ეს არ იქნება არც სკოლის დასრულების შემდეგ, არც – უმაღლესი სასწავლებლის, არც – დოქტორანტურის. იქნებ უმჯობესია, ვუთხრა ძველი და მართალი აზრი, რომ სწავლა სიბერემდეა.

ერთადერთი, რითიც შემიძლია ვანუგეშო, ისაა, რომ სწავლის პროცესი დასაწყისშია მწარე და შემდეგ ნელ-ნელა – მათთვის, ვინც გემოს გაუგებს – „გატკბილდების“ (ოღონდ ვაზუსტებ, რომ „გატკბილებაც“ სწავლის პროცესს უკავშირდება და არა – შედეგს).

> **„თუ პედაგოგი კარგად არ ფლობს იმ მასალას, რომელიც უნდა ასწავლოს, ამაოა საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა ასწავლოს. როგორ ასწავლო – ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი თანამედროვე სკოლაში.“**

ვერ ვიტყვი, რომ ამ ახსნა-განმარტებით დიდად არიან აღფრთოვანებულები (ზოგი პროტესტსაც კი გამოთქვამს); არადა, რა მშვენივრად გაიგეს ოთხი სტროფის წინ წაკითხული ტაეპი: „ნუ გენაღვლების სწავლაზე

ყრმის წკეპლის ცემით კივილი...“ არც კითხვა დაუსვამს ვინმეს, არც უკმაყოფილება გამოუხატავს.

სასკოლო ცხოვრება თავისი გზით მიდის – თავისი წარმატებებითა და დაბრკოლებებით. ყველაზე სერიოზული და თვალსაჩინო მიღწევა, რომელიც თანამედროვე სკოლაშია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თვალსაზრისით, ისაა, რომ მოსწავლე დადგა ლიტერატურული ტექსტის შესწავლის აუცილებლობის წინაშე და მას აღარ უწევს ტექსტის შესახებ საყოველთაოდ დაკანონებული მოსაზრებების დაზეპირება. მოსწავლე იძულებული გახდა, მიეჩვიოს თხზულების დაწერას, რადგან აღარაფერში გამოადგება ის თემების რვეული, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მშობლებიდან შვილებს, შვილებიდან – შვილიშვილებს. სკოლებში ნელ-ნელა ქრება „შპარგალკის“ ცნება. მოსწავლემ გაიგო, რომ ქართული ენა მხოლოდ გრამატიკა არაა და რომ არსებობს ლექსიკისა და სტილისტიკის საკითხები. მოსწავლე მიხვდა, რომ ცოდნის გარეშე ეროვნული გამოცდების ჩაბარება შეუძლებელია...

მასწავლებელიც დარწმუნდა, რომ მის წინაშე ახალი მოთხოვნებია. მასაც ბევრი რამის შესწავლა სჭირდება, რათა მუდმივად „ფორმაში იყოს“.

პირველ რიგში, საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის გაცნობა. მასწავლებელმა ზუსტად უნდა იცოდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზანი, ამოცანები, მიმართულებები, იმისათვის, რომ ქაოსურად და ფრაგმენტულად არ წარიმართოს სწავლების პროცესი. მას ზუსტი ორიენტირები უნდა ჰქონდეს და საკუთარი სურვილებისა და ინტერესების მიხედვით არ უნდა მოქმედებდეს.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მასწავლებელი უგულებელყოფს ენის სწავლებას, ზოგიერთი საერთოდ არ აწერინებს მოსწავლეებს თხზულებებს, ზოგიერთი კი მხოლოდ თავისი საყვარელი მწერლის შემოქმედებას ასწავლის. ამ ტიპის სწავლება მოსწავლეთა უნარ-ჩვევებს თანაბრად ვერ ავითარებს. მოსწავლეთა თხზულებების გასწორებისას ეროვნულ გამოცდებზე მკაფიოდ იკვეთება სწავლების პროცესის ნაკლოვანი მხარეები. ზოგჯერ გვხვდება საკმაოდ საინტერესო, ორიგინალურად დაწერილი თხზულება, რომელიც ენობრივად იმდენად „ხორკლიანია“, რომ ხვდები, ამ თვითნაბად აზრებს არასოდეს მიჰკარებია ენობრივი შალაშინი და მისი ავტორი არც საინტერესო მოსაზრებების არგუმენტირების უნარ-ჩვევას ფლობს. ეს უკვე სწავლების ნაკლია, რომელიც მეტწილად პედაგოგთა კვალიფიკაციის პრობლემას უკავშირდება.

მეორე, რასაც მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა ხვეწდეს, საგნის ცოდნაა.

> **სამართლიანობა, ნდობა, პატივისცემა, გულისხმიერება – ეს იყო გრძელი სიის სათავეში დაწერილი სურვილები (თუ მოთხოვნები), რომლებიც 3 წლის წინ ჩამოგვიწერეს დაფაზე დღევანდელმა მეთერთმეტეკლასელებმა, როცა ერთ-ერთ პედაგოგთან დაპირისპირება მოუხდათ. ცოდნა და ინტელექტი სიის ბოლოში იყო. ისინი ასე ალაგებდნენ პრიორიტეტებს სწავლების პროცესში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა უნდათ მათ, რათა თანამშრომლობის შედეგი ეფექტური იყოს.**

დამეთანხმებიან ყველაზე გამოცდილი პედაგოგები, რომელთაც არაერთხელ წაუკითხავთ კლასიკური ტექსტები, რომ ყოველი ახალი წაკითხვისას ახალი ნიუანსები, ახალი ქვეტექსტები, კონკრეტული დროისა და ეპოქის შესატყვისი ახალი ქვედინებები დაუნახავთ მათში. კლასიკური ტექსტების თანამედროვე წახნაგებით წარმოჩენა არის ის უმთავრესი გზა, რომლითაც ისინი გაკვეთილზე შეაქვს პედაგოგს, რათა მოსწავლეს მისთვის საინტერესო და ახლობელი პრობლემებიდან სხვა, ზოგჯერ უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი ფასეულობები დაანახოს, აგრძნობინოს, რომ ეს „ძველი“ ტექსტები მარადიულად „ახალია“. ასეთი სწავლება ხელს შეუწყობს მოზარდს საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს უკეთ შეცნობაში. როგორც გურამიშვილი ამბობს: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო...“

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებმა აჩვენა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებლების ლინგვისტური ცოდნის სრულყოფის საკითხი. იმედია, ამ ნაწერების ანალიზი კეთდება და გამოჩნდება ის რეალობა, რომელიც დღეს სკოლებშია და პედაგოგთა კვალიფიკაციის სტრატეგიაც შესაბამისად განისაზღვრება.

პედაგოგთა ერთ ნაწილს აღიზიანებს ახალი ავტორებისა და ახალი ნაწარმოებების

შეტანა სახელმძღვანელოებში, რადგან მათი შესწავლა, გააზრება, პრობლემათა წარმოჩენა და მოსწავლეებამდე მიტანა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ძველი, შეჩვეული სახელმძღვანელოების ნოსტალგია ამითაც არის განპირობებული. სასურველია, პედაგოგებს დავეხმაროთ სიახლეთა

დაუფლებაში. სახელმძღვანელოთა ავტორები მათ, ძირითადად, მხოლოდ ახალი წიგნების პრეზენტაციისას ხვდებიან. უნდა გავმართოთ მასწავლებელთა კონფერენციები, სადაც კოლეგებს ერთმანეთის მოსმენის, სასკოლო სახელმძღვანელოებში შესული ახალი ტექსტების სწავლების გამოცდილების გაცნობის საშუალება ექნებათ. პედაგოგები უნდა ხვდებოდნენ ლიტერატურათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს, უნდა ეცნობოდნენ უახლეს კრიტიკულ ლიტერატურასა და ენათმეცნიერულ გამოკვლევებს, სპეციალისტებისაგან რჩევა-დარიგებებს უნდა იღებდნენ.

ახალი მეცნიერული გამოკვლევების გაცნობა პედაგოგთა პროფესიული დაოსტატების აუცილებელი პირობაა. ყველაზე ცნობილ და სახელმოხვეჭილ ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომებიც კი (რომლებიც, გარკვეულწილად, საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიითაა დაღდასმული) სრულფასოვნად ვერ პასუხობს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს. სიახლეებს ჩამორჩენილი პედაგოგი კი ველარ ახერხებს, გააცნობიერებინოს მოზარდს ეროვნული კულტურის ღირებულება, აჩვენოს მისი კავშირი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან, ჩამოუყალიბოს ტექსტის შემოქმედებითად აღქმის უნარი.

რა თქმა უნდა, ყურსაც და გულსაც ცუდად ხვდება ტერმინი „ჩამორჩენილი პედაგოგი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენი რეალობაა, ამას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ამ მიზეზებს კვლევა და შეფასება სჭირდება.

თუ პედაგოგი კარგად არ ფლობს იმ მასალას, რომელიც უნდა ასწავლოს, ამაოა საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა ასწავლოს. **როგორ ასწავლო – ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი თანამედროვე სკოლაში**.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკმაო ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ პედაგოგები სწავლების ახალ მეთოდებს დაუფლებოდნენ. იმედია, შედეგები არის და ამ ტრენინგებმა მაინც შეძლო იმ ხარვეზების ამოვსება, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებშია მომავალი პედაგოგების სწავლების თვალსაზრისით.

ყოველთვის, როცა ახალბედა პედაგოგებთან მიწევს ურთიერთობა, ვხედავ, რომ ყველაზე მეტად მათ აშინებთ ის, შეძლებენ თუ არა გაკვეთილის ჩატარებას – მის დაგეგმვასა და წარმართვას.

მე დავესწარი რამდენიმე საჩვენებელ გაკვეთილს,

რომელიც უახლესი მეთოდებით ჩაატარეს პედაგოგებმა და დავინახე ერთი საშიშროება, რომელიც ამ პროცესს ახლავს. მეთოდი არ შეიძლება იქცეს მიზნად, ის მხოლოდ საშუალებაა და ხელს უწყობს პედაგოგს, უფრო გასაგებად და სიღრმისეულად გააცნოს საკითხი მოსწავლეებს. თუ პედაგოგი მეთოდთა ტყვეობაში აღმოჩნდება, ეს სწავლების პროცესს დააზარალებს.

ერთსა და იმავე მასალასაც კი გამოცდილი პედაგოგი ყოველთვის ერთი და იმავე

გაკვეთილს ვერასოდეს ჩაატარებს ისევე, როგორც ერთ მდინარეში ორჯერ ვერავინ შევა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პედაგოგი მუდმივად უნდა სწავლობდეს (თუ აკვირდებოდეს), მოსწავლეებთან ურთიერთობაა. სწავლება ურთულესი პედაგოგიკური პროცესია, რომელშიც ურთიერთობის ხელოვნება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საგნის ღრმა ცოდნა და ეფექტური მეთოდიკური არსენალი. ურთიერთობის

გონივრული დათმობა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მათ იმის სურვილს უჩენს, რომ თავისუფლად იაზროვნონ, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები, ისწავლონ სხვისი მოსაზრებების მოსმენა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან თანაარსებობა. ამ ურთიერთობის დირიჟორი მასწავლებელია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ყოველწლიურად

ზოგჯერ ავტორები არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას; ზოგჯერ სავარჯიშოები და კითხვები მეთოდიკური თვალსაზრისით გაუმართავია; ზოგ შემთხვევაში კი არ არის გათვალისწინებული სწავლების თანამედროვე მეთოდები: მოსწავლეთა ინიციატივა, ახალი მასალის ახსნის პროცესში მისი ჩართვა, შეფასებისა და თვითშეფასების კომპონენტები.

დრომ ბევრი სტერეოტიპი შეცვალა, თუნდაც – მასწავლებლისა. ჩემს ცნობიერებაში იგი ქალბატონ ჟენია გელოვანთანაა დაკავშირებული – მაღალი, ელეგანტური, ჭაღარა, მუდამ თეთრი მაქმანის საყელოთი. ჩემი მეგობრის შვილიშვილი, ბექა მეორე კლასშია. რამდენიმე დღის წინ ნახატი მაჩვენა. თავისი მასწავლებელი დაუხატავს – ისიც მაღალი იყო, ვიწრო შარვლითა და გაშლილი თმებით; ხელში, რატომღაც, დიდი თეთრი ბუშტი ეჭირა.

დარწმუნებული ვარ, გარეგნული სხვაობის მიუხედავად, ჩემი და ბექას მასწავლებლები მაინც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ორივეს უყვარს თავისი საგანი, თავისი მოსწავლეები, თავისი პროფესია. ისინი ყოველდღე სწავლობენ, რათა ასწავლონ, რადგან იციან, რომ დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ.

**„გონივრული დათმობა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მათ იმის სურვილს უჩენს, რომ თავისუფლად იაზროვნონ, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები, ისწავლონ სხვისი მოსაზრებების მოსმენა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან თანაარსებობა. ამ ურთიერთობის დირიჟორი მასწავლებელია.“**

მეთოდით არ გადასცემს მოსწავლეებს, რადგან მეთოდის შერჩევა უამრავ ფაქტორთანაა დაკავშირებული – კლასში მოსწავლეების მომზადების დონესთან, მათ რაოდენობასთან, მოტივაციასთან, განწყობასთან და ა.შ. პედაგოგს მეთოდთა მრავალფეროვანი არსენალიდან ზუსტად იმის გამოყენება უნდა შეეძლოს, რომელიც კონკრეტულ გაკვეთილზე, კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდება. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების ადეკვატური გამოყენება ის უმთავრესი პირობაა, რომელიც გაკვეთილს შემოქმედებით პროცესად აქცევს და არა დაშტამპულ, კალკირებულ ასლად. პროფესიონალი პედაგოგი ორ, ზუსტად ერთნაირ

ბეწვის ხიდი, რომელზეც ყოველ გაკვეთილზე გადის მასწავლებელი, განსაკუთრებულ ალღოსა და ტაქტს მოითხოვს.

სამართლიანობა, ნდობა, პატივისცემა, გულისხმიერება – ეს იყო გრძელი სიის სათავეში დაწერილი სურვილები (თუ მოთხოვნები), რომლებიც 3 წლის წინ ჩამოგვიწერეს დაფაზე დღევანდელმა მეთერთმეტეკლასელებმა, როცა ერთ-ერთ პედაგოგთან დაპირისპირება მოუხდათ. ცოდნა და ინტელექტი სიის ბოლოში იყო. ისინი ასე ალაგებდნენ პრიორიტეტებს სწავლების პროცესში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა უნდათ მათ, რათა თანამშრომლობის შედეგი ეფექტური იყოს.

„სწავლობს“ პედაგოგი, ახალი სახელმძღვანელოებია. მათი გაცნობისა და შერჩევის პროცესი საკმაოდ რთულია. ბაზარზე არსებული უამრავი სახელმძღვანელოს შესწავლა თითქმის შეუძლებელია, მასწავლებელს კი ხელი არ მიუწვდება ყველა სახელმძღვანელოზე, რომ მათი შედარება-შეპირისპირება ან სტანდარტებსა და პროგრამებთან შესაბამისობის თვალსაზრისით გაანალიზება შესძლოს. მოსწავლეები ერთი და იმავე კლასის ალტერნატიული სახელმძღვანელოებით განსხვავებულ ცოდნას იღებენ.

სახელმძღვანელოთა ნაწილი, „სტანდარტთან შესაბამისობის“ თვალსაზრისით, მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

# ვაშენებ სამოქალაქო საზოგადოებას



გიორგი გახელაძე

„მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში.

სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“.

*დიმიტრი უზნაძე (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, 1917წ.)*

სწორედ დღევანდელი, 21-ე საუკუნის სკოლის მიზანს აღწერდა თითქმის 100 წლის წინ დიმიტრი უზნაძე. დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, დემოკრატიული სკოლის უპირატესობა ცხადია. აღნიშნულ უპირატესობას, დღეს, უფრო თვალსაჩინოს ხდის  დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ  გავრცელება მსოფლიოში. ჯანსაღი დემოკრატია ვითარდება მხოლოდ სამოქალაქო, თვითმმართველ საზოგადოებებში და ეს ტენდენცია გლობალურია. სკოლა იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად ვითარდება: რისკენაც ის ისწრაფვის, იმასვე ელის სკოლისაგან.

ჩვენი სკოლის დღევანდელი მდგომარეობის გასააზრებლად ვცადოთ, პასუხი გავცეთ რამდენიმე არსებით კითხვას:

### რისკენ ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება?

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა..., საქვეყნოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“.

*(საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა 1995წ.)*

„უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც





უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში".

*(დიმიტრი უზნაძე, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, 1917 წ.)*

## რას ელის ჩვენი საზოგადოება სკოლისგან?

„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას".

*(ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 წ.)*

## რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

„ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით".

*(Larry Diamond, Toward Demokratik Consolidation, Journal of Democracy, V.5, ¹3, 1994).*

სწორედ, ასეთი საზოგადოება ამკვიდრებს დემოკრატიულ წეს-წყობილებას, რაც ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ურყევ ნებას წარმოადგენს.

## რა კავშირი აქვს სკოლას სამოქალაქო საზოგადოებასთან?

„სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული ერების მიზნების თანმხვედრი ინტერესებისა და ფასეულობების მატარებელი და შესაბამის, ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ქმედებასა და თანამონაწილეობაში ჩართული ინდივიდები. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის არიან:

– საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთაც თავიანთი საქმიანობით წვლილი შეაქვთ ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობადობის ამაღლებაში (სკოლები, უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანოები)".

*(გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა პროგრამასთან თანამშრომლობა. დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისათვის. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი. 2008 წ.)*

## როგორ ავითარებს დღეს სკოლა სამოქალაქო საზოგადოებას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად 2010 წელს ჩატარებული პირველი ეროვნული კვლევის შედეგებს მოვიშველიებთ. ის საქართველოს შეფასების ასოციაციამ ჩაატარა, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც PH International (პროექტი „ჰარმონია"), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს. კვლევის მიზანი იყო საქართველოში სასკოლო სამოქალაქო განათლების მდგომარეობისა და მის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის დაგეგმვის (მიზანი, შერჩევა, მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და ა.შ.), მონაცემების ინტერპრეტაციისა და შედეგების ანალიზის ეტაპებზე აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის ადმინისტრაციის (PH International), პარტნიორი ორგანიზაციის – ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრისა და პროგრამის სასწავლო გეგმებისა და დამხმარე მასალების ჯგუფის წევრები *(ნინო გვარამაძე, ნინო ერემაშვილი, მაკა კორძაძე, ნინო მიწიშვილი, გიორგი გახელაძე და ლევან ახვლედიანი)*. კვლევის სრული ანგარიში გამოქვეყნდება პროგრამის ფარგლებში შექმნილ სამოქალაქო განათლების ვებ-გვერდზე: www.civics.ge

საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სამოქალაქო განათლების საგნისადმი სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს, მშობლებს, საგნის მასწავლებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს.

ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქისა და საქართველოს 9 რეგიონის 51 საჯარო სკოლის მეათე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებმა. გამოიკითხა 1633 რესპონდენტი.

თვისობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა რესპონდენტთა ოთხი კატეგორია, კერძოდ, (1) სამოქალაქო განათლების საგნის მასწავლებლები, (2) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, (3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, (4) მოსწავლეთა მშობლები.

თვისობრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა.

ქვეყნის მასშტაბით, 33 ფოკუს-ჯგუფი გამოიკითხა (ამათგან, 11 – მასწავლებლების, 9 – არასამთავრობო ორგანიზაციების, 10 – ადგილობრივი თვითმმართველობების, 6 – მშობლების). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 272 ადამიანმა.

კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2010 წლის 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

## სამოქალაქო განათლების აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროგრამაში

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა (79,1%) მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება საქართველოს სკოლებში საჭიროა. როგორც მოსწავლეთა, ასევე თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა აზრით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირსეულ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამასთან, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა სამოქალაქო განათლების საგანს საინტერესოდ მიიჩნევს.

## სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხი

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ხარისხით კმაყოფილია გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან ის შედარებით ახალი შეტანილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში (სამოქალაქო განათლების, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილის, სავალდებულო სწავლება 2006-2007 სასწავლო წლიდან დაიწყო). მათი აზრით, გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი ეფექტიანად ისწავლება. ამგვარ განწყობას, ძირითადად, განაპირობებს ის გარემოება, რომ აღნიშნული საგნის საკითხები არ ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

## მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების პირობები

გამოკითხულ მოსწავლეთა 64.6% აცხადებს, რომ პრაქტიკულად გამოუყენებია სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა. თუმცა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საილუსტრაციოდ მოსწავლეთა მიერ მოყვანილი მაგალითები, როგორც წესი, ძალზე ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად, არ ასახავს რაიმე კონკრეტულ სამოქალაქო აქტივობას, ან სხვა ხასიათის აქტივობის მაგალითს წარმოადგენს. ამასთან,






რამდენად საჭიროა სამოქალაქო განათლების საგანი სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით?




უწყობს თუ არა ხელს სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას?

მოსწავლეთა მხოლოდ 29.2% აცხადებს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს აპოლიტიკური ხასიათის სამოქალაქო აქტივობებში, მაშინ, როდესაც რესპონდენტთა 52.3%-ს ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის სურვილი არა აქვს.

### მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის




სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე მაღალი არ არის. გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ მესამედი მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. 44.6%-ის აზრით კი, ეს მეტ-ნაკლებად არის შესაძლებელი სკოლის ფარგლებში. ამის შესაძლებლობას გამორიცხავს რესპონდენტთა 12.5%.

### მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება და მათთვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მეტ-ნაკლებად არის შესაძლებელი მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება. რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას (86.5%) არ დაუგეგმავს საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო აქტივობები. გამოკითხულთა მხოლოდ 13.5%-მა უპასუხა დადებითად ამ კითხვას.



„დემოკრატიის შესახებ აბრაჰამ ლინკოლნის ცნობილი გამონათქვამის პარაფრაზი რომ მოვახდინოთ, პროგრესული განათლების ფილოსოფია გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისათვის განათლებას“.

*ჯონ დიუი, განათლება და გამოცდილება. 1938 წ.*

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევების მეშვეობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად თავად სკოლა იმისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარ სკოლაშივე გამოიყენოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა; რამდენად ეძლევა მას საშუალება, მიიღოს მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში.

### როგორი სკოლა სჭირდება სამოქალაქო საზოგადოებას?

„ნებისყოფის აღზრდა სოციალურსა და მოქალაქეობრივი აღზრდის სფეროში უნდა იყოს გადატანილი. მოწაფეთა ფართო თვითმმართველობის იდეის განხორციელება აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომელიც მთელ სკოლას მარად თვალწინ უნდა ჰქონდეს. უეჭველია, ამ პრინციპის განხორციელება მთელი სკოლის ცხოვრების აწინდელ კონსტრუქციაზე თავისებურ გავლენას მოახდენს, მაგრამ ეს ასეც უნდა მოხდეს.

თვითმმართველობა სკოლის მთელი მუშაობის ბუნებიდან თავის თავად უნდა გამომდინარეობდეს, ამიტომაც მისი მნიშვნელობა მხოლოდ მთელი სასკოლო სისტემის სათანადო გარდაქმნის ნიადაგზე შეიძლება გაიშალოს“.

*(დიმიტრი უზნაძე, განათლების სისტემის ძირითადი ამოცანები. 1918 წ.)*

თუ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევით გვსურს, სინამდვილედ ვაქციოთ ჩვენი ურყევი ნება – დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამკვიდრება, მაშინ ძალისხმევის მიმართულება ნათელია.

სამოქალაქო საზოგადოების წევრების გამოწრთობა მხოლოდ დემოკრატიული და თვითმმართველი სკოლის ცხოვრებაში, ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ხდება.

# ცხრა გზავნილი მასწავლებელს

ირმა კახურაშვილი

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებლებისთვის მომზადებული ცხრა მთავარი გზავნილი მალე ადრესატამდე მივა. განათლების ექსპერტებს იმედი აქვთ, რომ მასწავლებლები მათ საკმარის ყურადღებას დაუთმობენ. სამართლიანობა, სიახლეებისადმი ღიაობა, შემოქმედებითობა, ტოლერანტობა, თვითკრიტიკულობა, სხვისი სწავლებისა და სწავლის სურვილი, ზრუნვა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოებას მშენებლობა და იმის გაცნობიერება, რომ სკოლა სახლია – ესაა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც პროფესიონალი მასწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ. დღეს „მრგვალი მაგიდის" გარშემო სწორედ ის სპეციალისტები შეიკრიბნენ, რომლებმაც გზავნილების განმარტებები ჟურნალ „მასწავლებლის" სპეციალური ნომრისთვის შემოგვთავაზეს.**

**ნატო ინგოროყვა:** *რატომ გადაწყვიტა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ასეთი ტიპის გზავნილები მიეწოდებინა მასწავლებლისთვის?*

**გია მამულაშვილი:** უპირველეს ყოვლისა, ეს გადაწყვეტილება დღევანდელმა რეალობამ მიგვაღებინა. სამწუხაროდ, მასწავლებლები ამ თვისებების დეფიციტს განიცდიან. ამიტომ ცენტრმა მიიჩნია, რომ კარგი იქნებოდა, მასწავლებლების ყურადღება ამაზე გაგვემახვილებინა. ჩემი აზრით, თითოეული გზავნილი მნიშვნელოვანია, მათი ერთობლიობა კი – გადამწყვეტად მნიშვნელოვანი. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, აღვნიშნავ, რომ მასწავლებლისათვის ამ თვისებების ფლობა ხშირად უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე საგნის ცოდნა.

**ნატო ინგოროყვა:** *რას გააკეთებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ასეთი მასწავლებლების არსებობისთვის და მათი განვითარების ხელშეწყობისთვის?*

**ნინო რევიშვილი:** მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ჰქონდეს ცხადი ხედვა, თუ როგორ უნდა დაეხმაროს მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში. არსებობს უამრავი ინიციატივა და პროგრამა იმისათვის, რომ ამ პროცესს ხელი შეეწყოს: სერტიფიცირება, სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტრენინგები. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელს ამ პროცესში ჩართულობის მოტივაცია გაუჩინოს. ამჟამად მასწავლებლების უმრავლესობას პროფესიული განვითარების ეშინია, რადგან ეს გარედან თავსმოხვეულ პროცესად მიაჩნია. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მას სჭირდება პროფესიული განვითარება. მნიშვნელოვანია, მასწავლებლის მხრიდან შეიცვალოს პროფესიული განვითარების, როგორც ცნების, აღქმა. განვითარება არ გულისხმობს გარკვეული ტრენინგების გავლას, ერთჯერად ღონისძიებებში მონაწილეობას. ეს არის უწყვეტი პროცესი, ეს არის არაფორმალური აქტივობა კოლეგებთან და სხვ. მასწავლებელი ყველაფერში უნდა ეძებდეს პროფესიული ზრდის შესაძლებლობას. ჩვენი ცენტრი კი ეცდება, მას ამაში დაეხმაროს.

**ნატო ინგოროყვა:** *მასწავლებლისთვის გამოცდილება ერთგვარი იარაღი და ძალაა, მაგრამ აუცილებელია, ის თვითკრიტიკულიც იყოს. რომელი ბერკეტებია საჭირო იმისათვის, რომ მასწავლებლები უფრო თვითკრიტიკულები გახდნენ?*

**გიორგი გახელაძე:** ჯერ უნდა ვასწავლოთ მასწავლებლებს, რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება, რას ნიშნავს თვითშეფასება. ეს არ არის იოლი ამოცანა. მას სჭირდება ხელშემწყობი პირობები და გარემო სკოლაში. თვითკრიტიკულობის განვითარება

**მრგვალი მაგიდის მონაწილეები:**

**გია მამულაშვილი** – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი*

**თეა კვინტრაძე** – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

**თეონა კუპატაძე** – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

**ნათია ნაცვლიშვილი** – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის კოორდინატორი*

**ნინო რევიშვილი** – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამების სამსახურის უფროსი*

**გიორგი გახელაძე** – *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი*

**მერაბ ლაბაძე** – *ინოვაციური განათლების ფონდის დირექტორი*

**ანა ჯანელიძე** – *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტების კოორდინატორი*

შეხვედრას უძღვებოდა **ნატო ინგოროყვა** – ჟურნალ „მასწავლებლის" მთავარი რედაქტორი.

დამოკიდებული იქნება სხვა გზავნილების რეალიზაციაზე: რამდენად სამართლიანები ვართ, რამდენად გვსურს უწყვეტი განვითარება, რამდენად ღია ვართ სიახლისათვის და ა.შ.

**ნატო ინგოროყვა:** ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა მასწავლებლის ობიექტურობაა. რთულია, განსაზღვრო, რა მახასიათებლით უნდა იყოს მასწავლებელი ობიექტური. რას ფიქრობთ, როგორია ობიექტური მასწავლებელი?

**ანა ჯანელიძე:** ობიექტურობა საგანმანათლებლო პროცესის დროს მასწავლებლის მიუკერძოებლობას გულისხმობს. ის ყველა ბავშვს თანასწორად უნდა ეპყრობოდეს, როგორც დამოკიდებულების, ისე შეფასების მხრივ. მიუკერძოებლობა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ: ეთნიკურ წარმომავლობასთან, რელიგიურ კუთვნილებასთან მიმართებაში... რა თქმა უნდა, თვითკრიტიკულობა მჭიდრო კავშირშია ობიექტურობასთან. რთულია, იყო

თეა კვინტრაძე

> „მასწავლებელმა რომ მოინდომოს, მარტივად შეძლებს ელემენტარული პრიციპების დანერგვას ან ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა ოპონირება, სხვისი აზრის მოსმენა, სხვისი აზრის მიმართ ტოლერანტობა და სხვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის.“

ობიექტური, თუ საკუთარ თავს არ აკვირდები, არ აცნობირებ საკუთარ ნაბიჯებს. ობიექტურობისთვის აუცილებელია სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობა, სხვების თვალით საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება.

**ნატო ინგოროყვა:** როგორ უნდა მოახერხოს მასწავლებელმა, სკოლა სახლად აქციოს?

**თეა კვინტრაძე:** უნდა ცდილობდეს, შექმნას ისეთივე კომფორტი, როგორსაც ნებისმიერი ადამიანი სახლში ქმნის. მაქსიმალურად კომფორტული გარემო უნდა იგრძნობოდეს საგაკვეთილო პროცესში. სკოლაში მოსწავლე, იქ მომუშავე პერსონალი თავს კარგად უნდა გრძნობდეს. ეს დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში: მოსწავლე ცოდნას მიიღებს და მოემზადება სკოლისშემდგომი ცხოვრებისთვის.

**თეონა კუპატაძე:** დავამატებ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოსა და სასკოლო ცხოვრებაში მასწავლებლის ჩართულობა. როგორც სახლში ვუფრთხილდებით საკუთარ ნივთებს, ასევე უნდა მოუფრთხილდეს მასწავლებელი სკოლასაც.

**ნინო რევიშვილი:** მასწავლებელმა მოსწავლეს საკუთრებაზე მზრუნველობის მაგალითი უნდა მისცეს. როგორც წესი, ბავშვები არ აფუჭებენ იმას, რაც მათი შექმნილია. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მაგალითი უმნიშვნელოვანესია მოსწავლეებისთვის.

**ნატო ინგოროყვა:** იმისათვის, რომ სკოლას შემოქმედებითი მასწავლებელი ჰყავდეს, რა გარემო უნდა იყოს სკოლაში?

**ნათია ნაცვლიშვილი:** სანამ მასწავლებელს შემოქმედებითობას მოვთხოვთ, უნდა გავიაზროთ, რას ვდებთ ამ ცნებაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი უნდა იყოს ხელოვნების რომელიმე დარგის სპეციალისტი. პირველ რიგში, მან უნდა შექმნას მამოტივირებელი და საინტერესო საკლასო გარემო, რომელიც ბავშვისთვის სასიამოვნო, შინაურულ, სახალისო გარემოსთან ასოცირდება და არა ცივ, ნაცრისფერ სამყაროსთან, სადაც მას სრულიად უინტერესო საგნებზე, ფრაზებსა და სიტყვებზე უწევს რეაგირება. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი ყოველდღიური საქმიანობა არ იყოს ერთფეროვანი. კვლევები ადასტურებს, რომ კარიერის დასაწყისში, პირველი სამი წლის განმავლობაში მასწავლებელი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე შემდეგ, როცა ის პროფესიაში თავს უფრო თავისუფლად გრძნობს და ნაკლებად შემოქმედებითი ხდება. პირველ წლებში მასწავლებელი უფრო მეტად არის ძიებაში, მეტს სთხოვს საკუთარ თავს. ხშირად მომყავს მაგალითად ჩვენი ცენტრის ერთ-ერთი პროგრამის მონაწილე – ახალბედა მასწავლებელი, რომელიც ჩა-ჩა-ჩა-ს ილეთებით უხსნიდა ბავშვებს მაღალი და დაბალი შაირის არსს. მასწავლებელი ეძებს ბავშვებისთვის ყველაზე

მისაღებ გზას, თუ როგორ დაამახსოვრებინოს მოვლენა, საგანი, თემა. სწორედ ეს არის შემოქმედებითი მუხტის მატარებელი.

**ნატო ინგოროყვა:** ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელი პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და არ კმაყოფილდებოდეს მხოლოდ მიღებული ცოდნა-გამოცდილებით. სწავლების სქემა მასწავლებლისგან სწავლებაში სიახლეების დასანერგად მზაობას გულისხმობს.

**მერაბ ლაბაძე:** ბოლო პერიოდში სკოლაში რეფორმებთან დაკავშირებული უამრავი სიახლე დაინერგა. ბუნებით კონსერვატორ მასწავლებელს შეიძლება  გაუჭირდეს ამასთან შეგუება, მაგრამ თუ არ გაუჭირდება, მთლიანად მოახერხებს მოსაწყენი სასწავლო გარემოს შეცვლას. მეორე წნეხი მასწავლებლისთვის ტექნოლოგიური განვითარება და ე.წ. ახალი ტიპის ბავშვები არიან, რომლებიც ამ ტექნოლოგიური სიახლეების გარემოში იზრდებიან. მათთვის ბევრი ჩვეულებრივი სასწავლო მეთოდი უკვე მიუღებელია. მათი ბუნებრივი გარემო სავსეა მოვლენების ცვალებადობით, ამიტომ ჩვეულებრივი გაკვეთილი არ აკმაყოფილებთ. როგორ უნდა გადააქციოს მასწავლებელმა ბავშვების გარემო საინტერესოდ? – ეს არა მარტო ჩვენთან, არამედ მსოფლიოშიც კრიტიკული საკითხია. განათლების სისტემებში არ არის მიღებული, მზა გადაწყვეტილებები, თუმცა სიახლეების ძიება ამ მხრივაც მიმდინარეობს. მასწავლებელი სხვადასხვა მეთოდის – ტრენინგების, ინტერნეტის დახმარებით უნდა ცდილობდეს, გადაჭრას გრძელვადიანი ამოცანა, მაგრამ ამისათვის მას უნდა ჰქონდეს სიახლის მიღების მზაობა, არ უნდა აშინებდეს ტექნოლოგიები. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმართველიც და მოსწავლის მოკავშირეც.

**ნათია ნაცვლიშვილი:** მასწავლებელი იღებს გარკვეულ სიახლეს, თუნდაც ინფორმაციის დონეზე და მისი ადაპტირების შემდეგ მზად არის, ახლებური სახით შესთავაზოს მოსწავლეებს იმის შესაბამისად, თუ რა ჯგუფთან უწევს მუშაობა. თუ მასწავლებელი მზად არ არის სიახლეების მისაღებად, ბუნებრივია, განსხვავებულს ბავშვებს ვერაფერს შესთავაზებს.

**ნატო ინგოროყვა:** ლოგიკურად მივდივართ იქამდე, რომ მასწავლებელი ყოველთვის სწავლობს, რომ ასწავლოს. მასწავლებელი მეც ვყოფილვარ და ჩემი მოსწავლეებისგან ბევრი რამ მისწავლია. რა შესაძლებლობები გვაქვს საიმისოდ, რომ მასწავლებელმა ისწავლოს მოსწავლეებისგან?

**ნათია ნაცვლიშვილი:** სასწავლო პროცესი ცოცხალი პროცესია. არ არსებობს რეცეპტი, თუ რომელი მეთოდით უნდა მიუდგეს მასწავლებელი ბავშვს. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს და თუნდაც ცალსახად, კომუნიკაციიდან

> „მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოსა და სასკოლო ცხოვრებაში მასწავლებლის ჩართულობა. როგორც სახლში ვუფრთხილდებით საკუთარ ნივთებს, ასევე უნდა მოუფრთხილდეს მასწავლებელი სკოლასაც.“

თეონა კუპატაძე

გამომდინარე, არკვევს, ურთიერთობის რა ფორმაა უფრო ოპტიმალური კონკრეტულ ბავშვთან მიმართებაში.

**ნინო რევიშვილი:** ყველაზე კონსერვატორი მასწავლებელიც კი, შეუძლებელია, ვერ ამჩნევდეს იმას, რამდენად მარტივია თანამედროვე ბავშვისთვის ინფორმაციის მოპოვება, რამდენად მოკლე გზა უნდა გაიაროს მან მასწავლებლისგან დამოუკიდებლად. თუ მასწავლებელი ამ პროცესს ფეხს არ აუწყობს, ასე ვთქვათ, დაჩაგრული იქნება. იმისათვის, რომ მას, როგორც პედაგოგს, საგანმანათლებლო პროცესში ფუნქციური ადგილი ჰქონდეს, მან უნდა ისწავლოს – მოსწავლისგან, კოლეგისგან, მშობლისგან, გარემოსგან. იმედი მაქვს, რომ სწორხაზოვნად მოაზროვნე მასწავლებელიც მიხვდება ამას, როცა ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო შეიქმნება.

**ნატო ინგოროყვა:** ძალიან ხშირად გვესმის გავრცელებული ფრაზა: „ჩვენ ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას“. რა როლი

და ფუნქცია აქვს ამ პროცესში სკოლას? რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა ამის ხელშესაწყობად? რა სურათი გვაქვს დღეს და რისი გამოსწორება შეიძლება? აქვე მინდა, ვისაუბროთ თემაზე: „მე უნდა ვიყო ტოლერანტი“.

**გიორგი გახელაძე**: ეს ორი თემა მართლაც ეხმიანება ერთმანეთს და სხვა გზავნილებს. ტოლერანტობა ის თვისებაა, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ივითარებს. მთავარია, ვიყოთ კაცთმოყვარე, გვიყვარდეს ბავშვები და ახალგაზრდები. ამავე დროს, თუ გვინდა, ვიყოთ კარგი მასწავლებლები, უნდა გვიყვარდეს სწავლა და ეს დაკავშირებულია სამართლიანობასთან, თვითგანვითარებასთან, ინოვაციურობასთან, შემოქმედებითობასთან. მასწავლებლებს არ უნდა მოერიდოთ იმის აღიარების, რომ რაღაც არ იციან, მაგრამ მზად არიან, ისწავლონ. ეს არის ის პირველი ნაბიჯი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადო საქმესთან, თვითკრიტიკულობასა და სკოლის სახლად განცდასთანაც კი. სკოლა მყარი საზოგადოებრივი ინსტიტუტია. მისი დანიშნულება შეუცვლელია. „საზოგადოებრივი“, ამ შემთხვევაში, ნიშნავს საქმის ერთად კეთებას სხვათა მსახურებით, რაც ტოლერანტობის გარეშე წარმოუდგენელია.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, საზოგადოებრივი ინსტიტუტები საქართველოში დიდი ტრადიციით ვერ დაიტრაბახებს. სულ რაღაც 110 წლის წინ არჩილ ჯორჯაძემ მშვენიერი დიაგნოზი დაუსვა ქართულ საზოგადოებას, როდესაც თქვა: „ჩვენთვის პირადული სასიამოვნოა, საზოგადო ძალდატანებაა“. ზოგადად, მენტალური ცვლილებები საზოგადოებებში ხანგრძლივად მიმდინარეობს, მაგრამ XXI-ე საუკუნეში ესეც დაჩქარებულია. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ დანარჩენი რვა გზავნილის დახმარებით სამოქალაქო საზოგადოების აშენება. კაცობრიობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი ხომ სკოლის ინსტიტუტში გაჩნდა, ამაზე შენდება სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

შემოდგომით ჩატარდა კვლევა – რამდენად აქვთ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს იმის განცდა, რომ სამოქალაქო კომპეტენციები, რომლებსაც იძენენ ან სძენენ მოსწავლეებს, ცხოვრებაში გამოიყენება. მაჩვენებელი დაბალია. თუმცა ამას ისინი თვითონვე უძებნიან ახსნას. ყველაზე მთავარი დასკვნა ის არის, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ინიციატივების გამოყენებას სკოლის გარეთ უფრო ხედავენ, ვიდრე სკოლის შიგნით. ეს ნიშნავს, რომ სკოლა უფრო დემოკრატიული უნდა გავხადოთ სხვადასხვა საშუალებებით. ამ ეტაპზე, მასწავლებლებს ეს არ შეუძლიათ.

**თეა კვინტრაძე**: მოსწავლეები გაკვეთილზე საკმაოდ დიდ დროს ატარებენ. ამიტომ მასწავლებელს დიდი რესურსი აქვს: მას შეუძლია პირადი მაგალითი მისცეს მოსწავლეებს. სამოქალაქო საზოგადოება დაფუძნებულია ბევრ დემოკრატიულ პრინციპზე და ბევრ კომპონენტს მოიცავს. მასწავლებელმა რომ მოინდომოს, მარტივად შეძლებს ელემენტარული პრიციპების დანერგვას ან ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა ოპონირება, სხვისი აზრის მოსმენა, სხვისი აზრის მიმართ ტოლერანტობა და სხვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის.

**ნატო ინგოროყვა**: მინდა, მჯეროდეს, რომ ეს მონდომება ერთჯერადი არ იქნება და სამომავლოდ კვლევების უკეთეს შედეგებს მივიღებთ. შეხვედრის ბოლოს ვთქვათ: რა ძალისხმევის გაღება შეუძლია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს იმისათვის, რომ მივიღოთ ისეთი მასწავლებელი, როგორიც გვსურს, გვყავდეს?

**გია მამულაშვილი**: ეს ცხრა გზავნილი აქტუალური უნდა გახდეს საზოგადოებაში და მით უფრო, მასწავლებელთა საზოგადოებაში. ამ თემაზე მუდმივად უნდა ვისაუბროთ, განვიხილოთ ის, შევხვდეთ მასწავლებლებს, მივუძღვნათ მას სემინარები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, სახელმძღვანელოები და გზამკვლევებიც კი. ეს უნდა იყოს ჩვენი ცენტრის მუდმივი ზრუნვის საგანი. ამ კუთხით აქტივობებს ჟურნალი „მასწავლებელი“ მომავალშიც განაგრძობს.

# კვალი ნათელი

გიორგი ალიბეგაშვილი

ძველ დროში მოძღვარსა და მოწაფეებს შორის იგავებით საუბარი და ამ ფორმით მორალის, სენტენციის ან ცხოვრებისეული გამოცდილების სწავლება მიღებული იყო.

სათქმელს ერთი ძველი იგავით დავიწყებ: თურმე ერთხელ ჩინური საბრძოლო ხელოვნების ხანდაზმულ მასწავლებელთან ევროპელი მოსწავლე მისულა და უთქვამს:

- ოსტატო, კრივსა და სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნებაში ჩემს ქვეყანაში უპირველესი ვარ და რა შეგიძლიათ მასწავლოთო.

მოხუცი ერთხანს ჩაფიქრებული დუმდა, შემდეგ კი ღიმილით უპასუხა:

- წარმოიდგინე, რომ ქუჩაში ხეტიალისას თავი ისეთ ქუჩაზე ამოყავი, სადაც ავაზაკები ჩაგისაფრდნენ და მოუთმენლად გელიან, როდის გამოჩნდები, რომ გაგძარცვონ და ცხვირ-პირი დაგინაყონ. ჰოდა, მე გასწავლი, როგორ არ უნდა მოხვდე ასეთ ქუჩაზე.

ზოგმა ამ იგავის მოყვანა ზედმეტად უტრირებულად შეიძლება ჩათვალოს, მაგრამ ამის თქმა გვსურდა: საუკუნეების მანძილზე მასწავლებლის უმთავრესი ფუნქცია, მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემის გარდა, სწორედ მათი აღზრდა, განათლების გონივრულად და შესაფერის დროს გამოყენების უნარის ჩამოყალიბება იყო; თუმცა ნებისმიერი გარჯა ფუჭი და ამაო აღმოჩნდებოდა, თუკი ყოველივეს საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა არ ედებოდა.

**„საუკუნეების მანძილზე მასწავლებლის უმთავრესი ფუნქცია, მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემის გარდა, სწორედ მათი აღზრდა, განათლების გონივრულად და შესაფერის დროს გამოყენების უნარის ჩამოყალიბება იყო; თუმცა ნებისმიერი გარჯა ფუჭი და ამაო აღმოჩნდებოდა, თუკი ყოველივეს საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა არ ედებოდა.“**

მრავალი ისტორიული მაგალითის, თუნდაც ლიტერატურული თხზულების მოხმობაა შესაძლებელი, რომლებშიც ნათლადაა დასაბუთებული, თუ როგორი იყო უძველესი დროიდანვე მოძღვარსა და შეგირდებს შორის ურთიერთობა. ამ კუთხით შეიძლება თვალყური ვადევნოთ სხვადასხვა ცივილიზაციას, სოციალურ სამყაროს, კულტურულ გარემოს, განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებას – დაწყებულს ეგვიპტიდან თუ ბიბლიური წიგნებიდან, გაგრძელებულს წინა-ანტიკური და ანტიკური, ან შუა საუკუნეების ეპოქებით. თითქოს ბევრი რამ შეიცვალა, რადიკალურად გადასხვაფერდა ყველაფერი, მაგრამ უცვლელია ერთი რამ: მომავალ თაობასთან ზედმიწევნით ფაქიზი, გამოზომილი, კორექტული ურთიერთობაა აუცილებელი და ამ დამოკიდებულებას ვერანაირი დრო ვერ შეცვლის.

მრავალი გადმოცემა არსებობს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეფისა და გმირის, ალექსანდრე მაკედონელისა და ასევე ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და მოძღვრის, არისტოტელეს ურთიერთობის შესახებ, ზოგი – მართალი, ზოგიც – ლეგენდარული.

ერთხელ ალექსანდრეს უთქვამს, მამაჩემმა ოდენ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი ცხოვრების ალღოს აღება მასწავლაო.

ეს მრავლისმთქმელი სიტყვები სწორედ იმას გულისხმობს, რომ მხოლოდ განათლების მიღება, ფილოსოფიის, ეთიკისა და სხვა დისციპლინათა შემეცნება ადამიანისათვის არაა საკმარისი. მთავარი აღზრდა, მორალისა და „ცხოვრებისეული ალღოს“ სწავლებაა. ამ დროსაც განსაკუთრებული ტაქტით უნდა იხელმძღვანელოს ოსტატმა, რადგან,

„ხელისგულზე დადებული „თიხის მომცრო ნაჭრები“ არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა. მათი ბედი მასწავლებლის ხელშია და თუ სწორ ფორმას მოვუძებნით ამ „თიხის მომცრო ნაჭრებს“, ქვეყნის წინსვლასაც საიმედო საფუძველი ექნება.“

როგორც წესი, მოზარდი ნებისმიერ ძალდატანებას, თუნდაც კეთილი მიზნით ნაკარნახევს, ძნელად იღებს, მაგრამ გონივრულ, კეთილ რჩევას, გულითადად მიცემულს, აუცილებლად შეიგონებს.

ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებისათვის ბევრი რამაა ცნობილი ბიბლიური წიგნებიდან, განსაკუთრებით კი, ქრისტეს და მისი მოწაფეების ურთიერთობის შესახებ. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სახარებისეულ ისტორიაში – უმაღლეს ზნეთსწავლულებაში ყველაზე თვალნათლივ გამომჟღავნდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ის აუცილებელი წინაპირობა, რომელსაც რწმენა, სიყვარული, ურთიერთნდობა და ღრმა პატივისცემა უდევს საძირკვლად.

„და უთხრა მოსემ მოწაფეებს:

– „შეუძლებელია, არ მოვიდეს ცდუნებები, მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც მოვა; მისთვის უმჯობესი იქნებოდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვაში გადაეგდოთ, ვიდრე ერთი ამ მცირეთაგანი ეცდუნებინა. ფრთხილად იყავით: თუ შენმა ძმამ შეგცოდოს, გაუწყერი მას; თუ მოინანიოს, მიუტევე. დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდოს და შვიდჯერვე მოიქცეს და გითხრას, ვინანიებო, მიუტევე“.

უთხრეს მოციქულებმა უფალს: „მოგვიმატე რწმენა“.

უფალმა უთხრა მათ: „მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლეღვის ხეს: აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებდათ“ (ლუკა, 17. 1-6).

და ეს არ არის მხოლოდ ქადაგება – აქ ცხადდება პრინციპი, რომ ჭეშმარიტ მოძღვარს

პირდაპირ, ლოგიკური მსჯელობის გარეშე შეუძლია აზიაროს მოწაფე სულიერ ნათელს – გაანათლოს, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, მოსწავლეს ჰქონდეს აბსოლუტური რწმენა მოძღვრისა. გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მასწავლებლის პიროვნებას, მის სულიერ სიმაღლეს ენიჭება. ეს არ გამორიცხავს ლოგიკური გზით ცოდნის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ უმთავრესი, დაფარული ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ რწმენით, ნდობითა და სიყვარულითაა შესაძლებელი.

კიდევ არაერთი ისტორიული, რელიგიური, გნებავთ, ლიტერატურული მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ სათუთია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა. გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“ მოძღვრის ნათქვამი:

„ყველაფერი საღმრთოა, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით, და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არა თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა“.

ეს დიდი ილიას სიტყვებია და მასში „ვეფხისტყაოსანი“, ქართველთა საამაყო წიგნი და მისი ავტორი შოთა რუსთაველი იგულისხმებიან, „სანთელსავით“ რომ გვინათებენ გზას.

ერთი შეფასებაც შეიძლება მოგვეყვანა, ამჯერად, იაკობ გოგებაშვილის შესახებ. დიდ ქართველ პედაგოგზე მისი ერთ-ერთი თანამედროვე მასწავლებელი თავის მოსწავლეს ეუბნება:

„დედაენის“ დამწერი, იაკობ გოგებაშვილი, დიდი ნასწავლი კაცია, იგი ჩვენი მასწავლებელია. ამ ჩვენს დიდ მასწავლებელს განსაკუთრებით შენისთანა პატარა ბავშვები უყვარს, იგი ბავშვების გულითადი მეგობარია, იგი მუდამ ცდილობს, რომ შენებრ პატარა ბალღებს თვალები აუხილოს და სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა გულში მაგრად ჩაუნერგოს“.

ასეთია ჭეშმარიტი მასწავლებლის ვალიც და ხვედრიც – სიყვარული, გულითადი მეგობრობა, მოზარდთათვის თვალის ახელა და მათთვის სამშობლოს სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა.

ერთიცაა: შორეული თუ ახლო წარსულიდან ნებისმიერი რამ შეიძლება ცოცხლობდეს აწმყოში, მაგრამ მხოლოდ სულიერი, მხატვრული ან ისტორიული ფასეულობით –

**„დედაენის“ დამწერი, იაკობ გოგებაშვილი, დიდი ნასწავლი კაცია, იგი ჩვენი მასწავლებელია. ამ ჩვენს დიდ მასწავლებელს განსაკუთრებით შენისთანა პატარა ბავშვები უყვარს, იგი ბავშვების გულითადი მეგობარია, იგი მუდამ ცდილობს, რომ შენებრ პატარა ბალღებს თვალები აუხილოს“.**

მხოლოდ ასე შეიძლება ერწყმოდეს აწმყოს. წარსულის გამოცდილება და ნააზრევი არასოდეს დარჩება „ნაშთად ძველი დიდებისა“, თუკი ეს დიდი ადამიანური რწმენით, გულის სითბოთი, სიკეთით და მომავლისათვის თავდადების ძალისხმევითაა გაჯერებული.

ასეთია ნებისმიერი თაობის მასწავლებლის მიერ გადებული ხიდი – კვალი ნათელი.

და ბოლოს, იგავით დავიწყეთ და იგავითვე დავასრულებთ:

როდესაც ღმერთი თიხისგან ადამიანს ძერწავდა, თურმე თიხის გამოუყენებელი ნაჭერი დარჩა.

– კიდევ რა გამოვძერწო? – ჰკითხა ახლადქმნილ ადამიანს უფალმა.

– ბედნიერება გამომიძერწე, – სასწრაფოდ სთხოვა კაცმა.

შემოქმედმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მორჩენილი თიხის ნაჭერი ადამიანს ხელისგულზე დაუდო...

ხელისგულზე დადებული „თიხის მომცრო ნაჭრები“ არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა. მათი ბედი მასწავლებლის ხელშია და თუ სწორ ფორმას მოვუძებნით ამ „თიხის მომცრო ნაჭრებს“, ქვეყნის წინსვლასაც საიმედო საფუძველი ექნება.

# ბავშვობის ისტორია

თამარ ტალიაშვილი

„განათლება მოიაზრება, როგორც სამგანზომილებიანი ერთობა, რომელსაც პროფესიულისა და პირადულის გარდა აქვს კიდევ ერთი მხარე – მოქალაქის აღზრდა. ადამიანებმა, ყველა დროში, უნდა ისწავლონ საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი სხეულის, გონებისა და ხასიათის სრულყოფილი განვითარების შანსი. ამავდროულად, განათლების პროცესის პროფესიული და პიროვნული მხარეები სახიფათოდ ნაკლოვანია იმ დისციპლინის გარეშე, რომელიც მიუთითებს ადამიანებს საკუთარ როლზე სახელმწიფოში და უღვივებს მათ ამ განცდას“.

ამ მოსაზრებაში, რომელიც ცნობილ ინგლისელ პედაგოგსა და სოციოლოგს, ლივინგსტონს ეკუთვნის, კარგად ჩანს განათლების 3 კომპონენტის მნიშვნელობის საკითხი კაცობრიობის განვითარების ისტორიულ კონტექსტში. ესენია: პიროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყნის განათლების საკითხების კვლევისას. ჩვენი მიზანი სამეცნიერო კვლევა არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ ფაქტორების გათვალისწინებით იმ პედაგოგიური იდეების ანალიზი, რომლებიც მე-19 საუკუნის სამოციანელთა პედაგოგიურ აზროვნებას თანამედროვეობასთან აახლოვებს.

ქართული პედაგოგიური აზროვნების საწყისები შორეულ წარსულს განეკუთვნება. მნიშვნელოვან პედაგოგიურ იდეებს ვპოულობთ პეტრე იბერის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, გიორგი მერჩულეს, შოთა რუსთაველის, არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა თუ სხვა მოღვაწეთა ნააზრევში. თუმცა პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, მე-19 საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა და მისი მთავარი ხუროთმოძღვარი იაკობ გოგებაშვილი იყო.

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, დეფინიცია პირველად ილია ჭავჭავაძემ მოგვცა. „პედაგოგიკა ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ყმაწვილების აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ...“ საინტერესოა ილიას შეხედულება აღმზრდელობითი სწავლების შესახებ. იგი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ სწავლება და აღზრდა (წურთვნა) არ არის იგივეობრივი ცნებები: „წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“. ილიას აზრით, აღზრდის იდეალი ამ ორი მხარის (აღზრდისა და სწავლების) ერთმანეთთან დაკავშირებაა, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, ისევ „გონებაუწვრთნელი კაცი სჯობს ზნეობაუწვრთნელსაო“. ილიას სწავლა-განათლება და მეცნიერება ცხოვრების გარდაქმნის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება მასწავლებელს „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“, – ამბობს იგი. მისი მოვალეობა მეტად საპატიოა და ამავე დროს რთული. ამ სირთულეს განაპირობებს ის, რომ „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი გამოსაცნობია, რომ ძნელ წასაკითხს ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის და არა მსხვილ და სრულ

ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი“. აქ, როგორც ვხედავთ, ილია მიანიშნებს აღზრდის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, კერძოდ, ბავშვის ასაკობრივ თავისებურებაზე და მასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, რომელთა გათვალისწინების გარეშე პედაგოგი მიზანს ვერ მიაღწევს.

ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე აყენებს საკითხს ბავშვის კოგნიტური უნარების შესახებ, რაც იმ დროისთვის მეტად პროგრესული იყო სწავლების თეორიის დარგში: „სწავლება მოსწავლეთა ნიჭის მხოლოდ ერთ მხარეს – მახსოვრობას იპყრობს. მოსწავლეთა ნიჭის სხვა თვისებები: წარმოდგენა, აზროვნება, გატაცება და ა.შ. ხელუხლებელი რჩება, ხოლო ადამიანის ყოველგვარი ნიჭის საერთო თვისება ისაა, რომ უმოქმედოდ ყოფნა არ შეუძლია. თანამედროვე პედაგოგიკა კი ამ მხარეს უყურადღებოდ ტოვებს“. ბუნებრივია, მასწავლებელს, როგორც ახალგაზრდების გონების გამხსნელსა და გზის მაჩვენებელს, ამ პრობლემების მოგვარების საქმეში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა.

იმდროინდელ სკოლაში გამეფებული სქოლასტიკა, უაზრო ზეპირობა ხელს უშლიდა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, აქტიური, მებრძოლი ახალგაზრდობის მომზადებას რუსეთის ხელისუფლების კოლონიალური რეჟიმის პირობებში. სწორედ ამიტომ, ქართველ სამოციანელთა პედაგოგიური იდეები წარმოიშვა, როგორც რეაქცია სკოლაში არსებულ რეჟიმსა და სწავლების დრომოჭმულ მეთოდებზე. ასევე დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში მთავარმა მიზანმა – ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ, რომლის პროცესშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: მშობლიურ ენაზე სწავლების შინაარსის მეცნიერულ საფუძველზე აგებას, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის შრომით აღზრდასთან დაკავშირებას, ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ახალგაზრდობის მომზადებას აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება მოსახლეობის ფართო მასების სათანადოდ აღზრდა-განათლებას უკავშირდება. ამის ნათელი დადასტურებაა ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თაოსნობით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლები, სწავლებისა და აღზრდის პრინციპებით, შინაარსითა და მეთოდებით, რადიკალურად უპირისპირდებოდა ოფიციალური სკოლის აუტანელ ატმოსფეროს, რომელსაც ცნობილი პედაგოგი, მწერალი და პუბლიცისტი გიორგი წერეთელი ასე ახასიათებდა: „ჩვენი ახლანდელი აღზრდა ჩვენი გონებისა და მეხსიერებისათვის ისეთივე საპყრობილეა, როგორც მეტეხის ციხე ყაჩაღებისათვის“.

ვინაიდან სკოლას, საბოლოო ანგარიშით, მასწავლებელი ქმნის, საზოგადოების გამგეობა თავის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად თვლიდა მის მიერ დაარსებულ სკოლებში პროგრესულად მოაზროვნე, პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული მასწავლებლის მოზიდვას. საინტერესოა, როგორ ხდებოდა კადრების შერჩევა. მასწავლებლის დანიშვნას წინ უძღვოდა სერიოზული გამოცდა. კომპეტენტურ პირებს (სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრებსა და პედაგოგებს) უნდა მოესმინათ პრეტენდენტის გაკვეთილები (არანაკლებ სამისა, სხვადასხვა საგანში) და განესაზღვრათ მისი პედაგოგიური ვარგისიანობა. სამზრუნველო კომიტეტი იჩენდა პრინციპულობას, მაღალ მომთხოვნელობას: თუ მასწავლებლობის მაძიებელი ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა შემეცნებით აქტივობას, სასწავლო მასალის თანმიმდევრულად და გასაგებად გადაცემას, მას უთუოდ უარს ეტყოდნენ. თუ იგი საკმაო ერუდიციასა და პედაგოგიურ ოსტატობას გამოავლენდა, გაკვეთილებს ერთი წლის ვადით მისცემდნენ. ამ საცდელ პერიოდში მას საბოლოოდ უნდა მოეხვეჭა ნიჭიერი და ბეჯითი პედაგოგის სახელი, რის შემდეგაც საზოგადოების გამგეობა მასწავლებლად დაამტკიცებდა.

პედაგოგიური კადრების შერჩევაზე ამგვარი ზრუნვის შედეგი იყო ის, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლებში ბევრი შეგნებული, ნიჭიერი პედაგოგი მოღვაწეობდა. ესენი იყვნენ: ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა თედო რაზიკაშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე

„განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იაკობ გოგებაშვილი ახალი მეთოდების დანერგვას პედაგოგიურ პრაქტიკაში, რადგან, მისი აზრით: „უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვის გონებისათვის, თუ მისი ხეირიანათ მოხმარება შეუძლებელია სპეციალურად მოუმზადებელ მასწავლებლებისათვის”.“

ჭიჭინაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ცხვედაძე, იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, ივანე გომელაური და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, ეს ადამიანები გამოირჩეოდნენ თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარულითა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ დიდ და საშვილიშვილო საქმეში, რომელიც ამ პედაგოგებმა შეასრულეს.

„მე ყოველთვის ვარ, ვიყავი და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა. იგი მიმაჩნია ყველა ერისათვის უფრო ნაყოფიერ სისტემად, მეტადრე ქართველებისთვის", – წერდა იაკობ გოგებაშვილი. რეალური განათლების სისტემა გულისხმობდა, რომ განათლების შინაარსი ცხოვრებისათვის მომზადების ამოცანის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. სკოლაში შესასწავლი საგნების პროგრამებში უნდა შეეტანათ ცოდნის აუცილებელი ნიმუშები და არა მეცნიერების მოძველებული დოქტრინები და გამოუსადეგარი ცნობები.

იაკობ გოგებაშვილი მოზარდ თაობას ერის მომავლად თვლიდა, ამიტომ ზრუნვა სკოლაზე, მასწავლებელზე, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდა, სინამდვილეში, ხალხის, ერის მომავალზე ზრუნვას ნიშნავდა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი კონცეფცია „ახალი ტიპის ქართველის" აღზრდის შესახებ. როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის ქართველთა თაობა? პირველ რიგში, მას სამშობლოს სიყვარული და მრავალმხრივი განათლება გამოარჩევდა. ამ თაობას სიცოცხლის დაუშურებლად უნდა ებრძოლა ეროვნულობის შენარჩუნების, ენისა და ტერიტორიის გადარჩენის, ეროვნული კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

„ახალი ტიპის ქართველისათვის" იაკობ გოგებაშვილი აუცილებლად თვლიდა ისეთ ცოდნასა და ჩვევებს, რომლებიც მას „ბუნების ძალთა მოხმარებას" გაუადვილებდა. ამასთან ერთად, ის მზად იქნებოდა ხალხისათვის საბედნიერო და სასარგებლო სოციალური ცვლილებებისთვის საბრძოლველად. ამ ამოცანის შესრულებას იგი აკისრებდა ახალი ტიპის სკოლას, რომელიც „საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილი კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მართალის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისს იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ".

დღესაც აქტუალურად ჟღერს დიდი პედაგოგის რჩევები მასწავლებლებისადმი. ის მათ ურჩევს, რომ სწავლების პირველი დღიდანვე ბავშვები სწავლობდნენ გააზრებულად, შეგნებულად, რათა არ მიეჩვიონ მექანიკურ, უაზრო ზეპირობას. მას მეტად ანგარიშგასაწევი შეხედულებები აქვს გამოთქმული სწავლების მეთოდების შესახებ. იაკობი მართებულად აღნიშნავდა, რომ სწავლების მეთოდების შერჩევისას უნდა გამოვდიოდეთ სწავლების მიზნებიდან, მოსწავლეთა განვითარების დონიდან, საგნის სპეციფიკიდან და ა.შ. როგორც ცნობილია, თავისი სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით „დედაენის" შედგენისას, იგი ხელმძღვანელობდა მეთოდიკური აზროვნების უახლესი მიღწევებით. „დედაენა" – ეს უნიკალური სახელმძღვანელო შედგენილია ანალიზურ-სინთეზური, ანუ სინკრეტული მეთოდით, რომელიც წერისა და კითხვის ერთდროულ სწავლებას გულისხმობს, ისე, რომ წერა წინ უძღვის კითხვას.

განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იაკობ გოგებაშვილი ახალი მეთოდების დანერგვას პედაგოგიურ პრაქტიკაში, რადგან, მისი აზრით: „უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვის გონებისათვის, თუ მისი ხეირიანათ მოხმარება შეუძლებელია სპეციალურად მოუმზადებელ მასწავლებლებისათვის". მეორე მხრივ, მას კარგად ესმოდა, რომ პროგრესული პედაგოგიური იდეების პრაქტიკაში დანერგვას მასწავლებელთა კადრების მომზადება სჭირდებოდა, რაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ".

რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? – ეს, ალბათ, ის ორი შეკითხვაა, რომელიც ყველა დროისა და ეპოქის საგანმანათლებლო სივრცეს ავსებს თავისი ფორმითა და შინაარსით, თუმცა ასეთივე ძველია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ასწავლოს. ამიტომ ჩემი გზავნილი მინდა, დავასრულო ჩილელი პოეტის, გაბრიელა მისტრალის „მასწავლებლის 10 მცნებით", რომელიც, იმედია, ჩვენს მასწავლებლებს მოეწონებათ:

### მასწავლებლის ათი მცნება

1. **გიყვარდეს მთელი გულითა და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს.**
2. **ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე, რომ მთავარი არ გაგეფანტოს.**
3. **გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევს სრულყოფილებას.**
4. **ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი.**
5. **იყავი გულანთებული. ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.**
6. **სული შთაბერე გაკვეთილს. ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით.**
7. **იზრუნე სულის ამაღლებაზე. რომ გასცე, უნდა გქონდეს.**
8. **გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა.**
9. **ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.**
10. **იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.**

ჯეოსელი

# მოიგე ავტომობილი ჯეოსელში!

უფასო რეგისტრაცია *011# OK

2011 წლის 10 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით ყოველ ჩატვირთულ 5 ლარზე მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს. ილბლიანი აბონენტების გამოვლენა მოხდება 2011 წლის 15 მარტს 23:00 საათზე რუსთავი2-ის პირდაპირ ეთერში.

822770177 7007 (ზარი უფასოა) www.geocell.ge

ნებართვა №19-03/264

ფრანგ სკულპტორს როდენს ჰკითხეს, როგორ ჰქმნის იგი თავის ნაწარმოებებს.

– უბრალოდ, უპასუხა როდენმა, – ვიღებ მარმარილოს და ვაცლი ყველაფერს რაც ზედმეტია.